

გურამ ბათიაშვილი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი

დოკუმენტური პიესა  
ორ ნაწილად

მოქმედი პირნი:

კოტე მარჯანიშვილი – რეჟისორი  
ტრაგიკოსი ქალი  
ტრაგიკოსი კაცი  
კომიკოსი – მსახიობი  
ცისფერთვალება – მსახიობი  
ბუნჩულა – მსახიობი  
რეჟისორი  
თამარი – მსახიობი  
ელენე – მსახიობი  
გელეონი -- რეკვიზიტორი  
მიტო -- გამნათებელი  
მაყვალა -- მკერავი  
ნინელი -- ჩამცმელი  
კრიტიკოსი, პროზაიკოსი, პოეტი

კანდელაკი  
მამულა { კომისიის წევრები  
ორახელაშვილი

მიხეილ კახიანი – საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი  
მდივანი  
შალვა ელიავა – ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე  
აბელ ენუქიძე – სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი  
ანატოლი ლუნაჩარსკი – სსრ კავშირის განსახკომის  
კომისარი  
ჟორჟიკაშვილი – თბილისის განათლების კომიტეტის  
ხელმძღვანელი  
ჭეიშვილი – სახალხო განათლების ქუთაისის კომიტეტის  
ხელმძღვანელი  
კომანძე – სახალხო განათლების ბათუმის კომიტეტის  
ხელმძღვანელი  
ნუგზარა – ოფიციანტი ჩილინგარაშვილის კაფეში

თეატრის სამკერვალო. მკერავ ქალს – მაყვალას – ოფიცრის მუნდირი უჭირავს, სამხრეს აკერებს. ჩამცმელ ქალს – ნინელის კი დედოფლის კაბა მაგიდაზე გაუშლია და აუთოებს.

**გედეონი** (ერთობ უგუნებოდაა, მაგიდის წინა პლანზე დადგმას ცდილობს, მაგრამ მაგიდაზე გაშლილი კაბა ხელს უშლის). ხომ ხედავ, ისედაც ვერა ვარ გუნებაზე, შემეშვი მაგ შენი დედოფლით, ეგეც სპექტაკლია, რა!

**ნინელი** (ალერსით). თეატრში ყველაფერი ხდება, გულს გაუფრთხილდი.

**გედეონი**. (მიტოს.) მოდი, მომეშველე, რა ფაშასავით გაგიშლია ფეხები. ეს მაგიდა აი, იქ წინ უნდა დავდგა!

**მიტო**. ქალი ალერსით გელაპარაკება, შენ იღრინები.

**გედეონი**. არა ვარ გუნებაზე, დამანებეთ თავი!

**მიტო**. მე რომ მაყვალა ეგრე დამელაპარაკოს?..

**გედეონი**. მოდი, მოდი, მომეშველე!

**მიტო**. სტუმრად მოვედი, იმის მაგიერ, რომ ჩამოასხა, ლამის დედა შემაგინო.

**ნინელი**. დღეს ჩამოსხმის ხასიათზე არავინ არი, ხომ ხედავ, რა ხდება!

**მიტო**. მერე მაგის წამალი რა არის, არ იცით? ერთი ბოთლი თეთრი, კარგი ყველი, დედას პური და...

**ნინელი**. მუცლის ხეთქვა...

**მიტო**. (გედეონს). ასეთი რა ხდება, იქნება გვითხრა! რა საქვეყნო დარდი დაგხატვია მაგ სიფათზე. ლამის ქვეყანა თავზე დაგვამხო!

**გედეონი**. არ იცით, რაც ხდება?

**მაყვალა** (ნერვიულად). დღეს, დღეს წყდება ყველაფერი!

**ნინელი** (გედეონს კვლავ ალერსით). გამაგებინე, რა ხდება, დღეს რა წყდება!..

**გედეონი** (წითელი ქსოვილი აიღო, მაგიდაზე გადაფარებას ლამობს). მომეშველე, გადამაფარებინე, ეს წითელი ქსოვილი რისთვის არის, ვერ ხვდები?

**მაყვალა**. კომისიის სხდომა იწყება, სადაცაა მთავრობის კომისია შემოვა.

**მიტო**. აბა, მთავრობას სხვა რა საქმე აქვს: კომისიის სხდომა, გადაწყვეტილების მიღება, მისი შესრულებისათვის ბრძოლა... ხალხო, მთავრობის სხდომებს უსმენთ? ე თქვენა ყოფილხართ და ეგ არის!

**გედეონი**. მე კიდევ გული მეღევა, რას გადაწყვეტენ... როგორ მოუკლავენ გულს გინდა ერთს, გინდა – მეორეს. ბიჭო, ეგ ამბავი ჩვენც მოგვხვდება.

**მიტო**. აი, მაგიტომაც, გული რომ არ დაისევდიანო, მაგიტომაც არი საჭირო ერთი-ორი თხლაშავი და მისი ჯანი. ამის მერე გონება ისე დაგეწმინდება...

**მაყვალა** (აწყვეტინებს). გაჩუმდი მაინც, ხმას თუ არ ამოიღებ, რა გიშავ, დაილაპარაკებ და ბნელი ხარ, ბნელი!

**მიტო**. მერე გამანათლე, მაყვალ, გამანათლე, წინ გამიძებს, ვინც არ მოგყვეს იმის...რა კომისია იწყებაო, რა უნდათ, არაფერი ვიცი!

**გედეონი**. (მაყვალას), მიდი, მაგას შენი ხმა ბუღბუღლის გალობასავით ჩაესმის!

**ნინელი**. ნუციკოს ხმაც ეგრე ჩაესმოდა, ახლა? აღარც კი ახსოვს.

**მაყვალა**. უშანგი ჩხეიძე, შალვა ლამბაშიძე, თამარ ჭავჭავაძე, ივლიტა ჯორჯაძე, სანდრო ჟორჟოლიანი რუსთაველის თეატრიდან ხომ წავიდნენ, ახმეტელი ხომ მიატოვეს!

**მიტო**. რა ხანია – მას მერე ორ თვეზე მეტი გავიდა.

**ნინელი**. რისთვის წავიდნენ, რა არ მოსწონდათ?

**გედეონი.** რეპერტუარი გაღარიბდაო...

**ნინელი.** კი მაგრამ... უშანგიმ ახლახან „რღვევა“...

**გედეონი.** ეგ ამბავი არ გვაკმაყოფილებს, ახმეტელი არასწორედ ირჯება, წვრილმანმა თემებმა გაიტაცა და ჩვენი მოძღვარი – მარჯანიშვილი უთეატროდ

4.

არისო.

**მიტო.** ძმებო და დებო, ეგ ყველაფერი იცით, როგორ უნდა წაიკითხოთ? ახმეტელი აღარ გვინდა, მარჯანიშვილი დაგვიბრუნეთო. ერთმა კამანდამ მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრიდან მოტეხა? მოტეხა! ახლა ესენი ახმეტელს უთხრიან ძირს...

**მაყვალა.** შენ რა ყოჩალი ყოფილხარ!

**მიტო.** და ღღევანდელი კომისია გადაწყვეტს, ვის ჩასცხებენ თავში მუშტსა და ვის დარჩება რუსთაველის თეატრი – მარჯანიშვილს თუ ახმეტელს.

**ნინელი** (შეიცხადებს). უი, რას ამბობ, ეგ როგორ იქნება!

**მაყვალა** (გამნათებელს). ეგ კი მომწონს: არყით დაბინდული შენი გონება, მყისვე ჩასწვდა ყველაფერს.

**მიტო.** მაყვალ, იქნებ სხვა საქმეშიც გამოძცადო? აი, მაგალითად, ისა, აი, ისა... თუ მთელი ღამე სიამოვნების ალმურში არ გაგატარებინე, ხმაც აღარ გამცე, თუ არა და რას მერჩი?

**ნინელი.** გესმით, რეებსა ბედავს! შენ ხომ ნუციკოსაც ეგრე ეუბნებოდი და ღღესაც იმ ალმურში ჰგონია თავი.

**მაყვალა.** ჰო, სულ სხვების ალმურშია როა!

**მიტო.** ეგ იცით, რატომ? ჩემთან ისეთი საამური იყო, ჩემნაირის ძებნაში სინჯავს და სინჯავს. ძიება გრძელდება.

**ნინელი.** შენ გამნათებლის ჯიხურში რა გინდა, შენ სცენაზე უნდა იდგე!

**მიტო** (გედეონს.) რამე იმნაირი უთხარი, დაშოშმინდეს, თორემ საქმეს ამირევს.

**გედეონი.** ეგ კომისია რასაც გადაწყვეტს, ცეკაც იმას მიჰყვება. ამიტომ არი ეს სხდომა ძალიან მნიშვნელოვანი.

**მიტო.** ხოო, კარგად კი დამიშოშმინე ეს ქალი, სუ ამას ელოდა!

**შემოდინ და მაგიდას უხმოდ მიუსხდებიან კანდელაკი,  
ორახელაშვილი, მამულია.**

რა უქმურები მოდიან! ის კაცი ვინ არის?

**გედეონი.** დღეს, 1928 წლის 15 აპრილს რუსთაველის თეატრის მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის სხდომაა, ორახელაშვილი, მამულია. აი, კრების თავმჯდომარე კი კანდელაკია.

**კანდელაკი** (დარბაზს). თქვენ უკვე მოისმინეთ რუსთაველის თეატრის მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის ანგარიში. რას იტყვიან ამხანაგი ქართველი მწერლები, მეცნიერები. რას იტყვის კულტურის ფრონტი.

**კრიტიკოსი.** არავითარი შესწავლა რუსთაველის თეატრის მდგომარეობას არ სჭირდება. ამას არ უნდა ათი დღე. განა ჩვენ ყოველდღე არ ვცხოვრობთ ამ თეატრის ცხოვრებით? ხომ ხედავთ, რომ თეატრში შემოქმედება გარდაიცვალა.

**შეძახილი.** ისტორიას რა პასუხს აძლევთ!

**კრიტიკოსი.** ისტორიას პასუხს მე გავცემ. დღეს რუსთაველის თეატრში აღარ გვყავს მარჯანიშვილი, თეატრიდან წასვლა აიძულეს ანჯაფარიძეს, ჩხეიძეს, ანთაძეს, ლამბაშიძეს, თამარ ჭავჭავაძეს და კიდევ გულუბრყვილოდ ელოდებით რუსთაველის თეატრის აღმასვლას. ჩვენი მთავრობის ვალია გამოიყენოს მარჯანიშვილის ერუდიცია, ენერგია. დღეს რუსთაველის თეატრი კარგად ორგანიზებული დაწესებულებაა. ჩვენ კი თეატრი გვინდა.

**პროზაიკოსი** (დინჯად, აუჩქარებლად, მისი ყოველი მოძრაობა, ჟესტი, გააზრებულია). ჩემთვის ცხადია, თუ როგორ დგას საკითხი დღეს აქ. საკითხი დგას ასე: ვინ უნდა იდგეს რუსთაველის თეატრის სათავეში – მარჯანიშვილი თუ

ახმეტელი? რუსთაველის თეატრში უნდა იყოს ორივე რეჟისორი. მე ვერცერთს ვერ გავიმეტებ უთეატროდ ცხოვრებისათვის. მარჯანიშვილი დაგაბრუნოთ თავის თეატრში, მაგრამ არც მარჯანიშვილი იყოს თეატრის ხელმძღვანელი და არც – ახმეტელი. ორივე უნდა იყოს თანაბარი უფლების მქონე დამდგმელი რეჟისორი.

**პოეტი.** თუ დაისმება საკითხი, ვინ უხელმძღვანელოს რუსთაველის თეატრს, პასუხი მხოლოდ ერთი იქნება – მარჯანიშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემ ახმეტელის ტალანტს, ენერგიას, ეროვნულობას, მე მაინც ვიტყვოდი – მარჯანიშვილმა! (გასასვლელისაკენ გაემართება).

**კანდელაკი.** თქვენ ესაუბრეთ მარჯანიშვილს?

**პოეტი.** დიან, მარჯანიშვილი თანახმაა შეურიგდეს დასს და იმუშაოს მასთან ერთად. (გადის).

**ახალგაზრდა მსახიობი** (აღელვებული). გამოვთქვამ პროტესტს – თეატრი არ არსებობს კონფლიქტების გარეშე. ჩვენ დავდგით „რღვევა“. ახმეტელმა რუსთაველის თეატრში მოიტანა რევოლუციური თემა. დღემდე ქართულ თეატრში რევოლუცია ასე არ ასახულა! (ბრაზმორეული გადის. კულისიდან მობრუნდება). ახმეტელმა მთხოვა გადმოგცეთ ეს განცხადება. (გადის).

**კანდელაკი.** მართალს ამბობს. „რღვევა“ ოქტომბრის რევოლუციის ჰიმნია... მაგრამ... რაღაც...

**მამულია.** არ მოგწონთ? არ გჯერათ?

**კანდელაკი** (ფიქრში ჩაძირული). ჰიმნია-მეთქი, ესეიგი მომწონს, ძალიან მომწონს, მაგრამ... (პაუზა). ახმეტელი სულ რამდენიმე წლის წინათ მენშევიკური ხელისუფლების გვერდით იდგა. იყო დამფუძნებელი კრების წევრი, მერე ჩვენს წინააღმდეგ იარაღით იბრძოდა. დღეს კი ოქტომბრის რევოლუციის ჰიმნი?

**მამულია.** მხოლოდ იდიოტები და მიცვალებულები არ იცვლიან აზრს.

**კანდელაკი** (ერთხანს იჭვით შესცქერის მამულიას). თუ? (პაუზა) მაშინ ისე ირჩევდა, ახლა ასე ირჩევს? და ყველაფერი ეს ხდება, სულ რაღაც ხუთ-შვიდ წელიწადში...

**ორახელაშვილი.** აგერ უკვე ორი წელიწადია რუსთაველის თეატრი არ ასრულებს განათლების სახალხო კომისარიატის დირექტივებს. ახმეტელი აღარაფერს გვეკითხება. მოქმედებს დამოუკიდებლად. ამიტომ თეატრის ხელმძღვანელობა უნდა დაეკისროს განათლების სახალხო კომისარიატს. რამდენიმე კაცი გავგ-ზავნოთ მოსკოვში, იქ დაეუფლონ თეატრის საქმეს.

**მამულია.** ახმეტელი? ახმეტელს რა ვუყოთ?

**ორახელაშვილი.** მოსკოვს გავგზავნოთ.

**მამულია.** ახმეტელის განცხადება დაგვიტოვეს. იქნებ, წავიკითხოთ?

**კანდელაკი** (კითხულობს). „რუსთაველის თეატრის მდგომარეობის შემსწავლელ კომისიას ერთხელ კიდევ უნდა ვაუწყო, რომ მე ბევრი რამ გავაკეთე რუსთაველის თეატრში. ამ მოკლე ხანში თეატრში შემოქმედებითად დაწინაურდნენ მსახიობები ვასაძე და ხორავა“.

**ორახელაშვილი.** არ არის სწორი – ვასაძე ჯერ კიდევ მარჯანიშვილის მეოხებით დაწინაურდა.

**მამულია** (უკმაყოფილოდ განაგრძობს კითხვას). „ხორავა უკვე ჩინებული მსახიობი დადგა და სულ მალე ქვეყნიერება ალაპარაკდება მასზე, ხოლო რეჟისორმა პატარიძემ „ჯუმა მაშიდის“ დადგმით დაამტკიცა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორია. მსაყვედურობენ, თითქოს თეატრს არ ჰქონდეს პოლიტიკურად

გამართული რეპერტუარი. ამ რეპერტუარს მე მიმტკიცებს ზემდგომი ორგანოები. მინდა გაგახსენოთ ჩვენი თეატრის სპექტაკლი „რღვევა“. ჩვენ სწორედ ამ გზით ვივლით. აი, ახლა თეატრში მოვიტანეთ ახალი პიესა „ჯავშანო“. იგი რუს

6.

დრამატურგს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენი მაცურებლისთვის რომ უფრო გასაგები გახდეს, პიესის სიუჟეტს კავკასიის ცხოვრებას დავუკავშირებთ, რაზეც უკვე მუშაობს შანშიაშვილი. მე თეატრზე უარს არ ვამბობ, ვიმუშავებ იქ, სადაც მამუშავებთ, მაგრამ უარს ვამბობ იმ ექსპერიმენტზე, რომ რუსთაველის თეატრში ვიმუშაო მარჯანიშვილთან ერთად“. ალექსანდრე ახმეტელი.

**კანდელაკი.** რას იტყვით, ამხანაგებო? (კომისიის წევრები სდუმან). მარჯანიშვილი თანახმაა იმუშაოს დასთან, ახმეტელმა თეატრი ჩააგლო და მარჯანიშვილთან თანამშრომლობაც არ სურს.

**მამულია.** ახმეტელი დიდი შემოქმედია. თუ მას დავითხოვთ, მსახიობებიც გაჰყვებიან.

**ორახელაშვილი.** ერთ თვეში უკან მოცუნცულდებიან და მარჯანიშვილს შეიყვარებენ.

**კანდელაკი.** გთავაზობთ პარტიის ცეკაში გასაგზავნი დადგენილების პროექტს: „განთავისუფლდეს ალექსანდრე ახმეტელი რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან და გაიგზავნოს ორი-სამი წლით სასწავლებლად მოსკოვში. რუსთაველის თეატრში მოწვეული იქნას კოტე მარჯანიშვილი, მასთან ერთად დამდგმელ-რეჟისორად ქუშიტაშვილი. 15 მაისიდან მთლიანად დაიშალოს რუსთაველის თეატრის დასი, 30 მაისიდან დასი ხელახლა დაკომპლექტდეს“.

### დაბნელება.

**ჟორჟიკაშვილი** (სცენის სიღრმიდან შემობრბის). რას ჰგავს ეს, ამხანაგებო, რატომ ჰკარგავთ ბოლშევიკურ სიფხიზლეს! ასე უფროთხილდებით საბჭოურ კადრებს? ეს აღმაშფოთებელია! ეს უგუნური ნაბიჯია და მე ვიბრძოლებ ზემდგომი ორგანოები დავარწმუნო...

**მიტო** (ჟორჟიკაშვილს). რა ხდება, ამხანაგო – მშრომელთა მყუდროებას რატომ არღვევთ?

**ჟორჟიკაშვილი.** პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ოფიციალურად უნდა განვაცხადო: არ შეიძლება ასე მოვექცეთ ახმეტელს, ახმეტელი უფრო ჩვენი კაცია, ვიდრე მარჯანიშვილი.

**მიტო** (გედეონს). აჰა, რა გინდათ, ამ კაცს მოსწონს რუსთაველის თეატრი!

**ჟორჟიკაშვილი.** რუსთაველის თეატრში ცუდი მდგომარეობაა, მაგრამ შემოქმედის პოლიტიკური პროფილიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ? ახმეტელი სრული საბჭოთა ელემენტია. ამასთან პრინციპული, გაუტეხელი. ძალიან ნიჭიერი! მე დავარწმუნებ საქართველოს კომპარტიასა და მთავრობას, რომ ეს მცდარი გადაწყვეტილებაა. არ შეიძლება ახმეტელის თეატრიდან დათხოვნა (გარბის).

**მიტო.** ე რა მაგარი ვინმე იყო, კაცო, სიტყვა ვერ ჩავუგდე, რა!

**გედეონი.** არაფერი გაუვა – მარჯანიშვილი დაბრუნდება თეატრში.

**მიტო** (ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით.) ბიჭო, შენ კომუნისტები არა გცოდნია და არც ახმეტელი გცოდნია! ეგ იცი ვინ არი? ლომია, ლომი!

**გედეონი.** ცეკას ბიურო უკვე იკრიბება. კიბეზე აღიან პირქუში ბოლშევიკები.

**მიტო.** მაგათ უსტავში ღიმილი არა წერია? რასა გვანან! ერთი ამას უგლე ყური! (კითხულობს.) პირველი საკითხი: „ინტერნაციონალური აღზრდა ქვემო ქართლის დაბა-ქალაქებში“, მესამე საკითხი: „ტროცკისტების გამოვლენა – სადღეისო ამოცანა“, მეშვიდე საკითხი: „მეზოსტნეობის განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში...“ თეატრი? თეატრი სადაა?

**გელეონი** (ქალაღდს ათვალეერებს). „სამკერვალო საამქროები და...“ „პარტუჯ-რედის მუშაობა...“ აჰა, აგერაა: „შოთა რუსთაველის სახ. თეატრში მდგომა-

7.

რეობის გაჯანსაღების გადაუდებელი ამოცანები“.

### **შუქი სცენაზე.**

**წითელი თეატრი ჟორესის ქუჩაზე. მარჯვენა ფლიგელში, კიბის თავში, პატარა ოთახი.**

**რეჟისორი.** ბიუროს სხდომა შვიდ საათზე იწყებოდა. მეთერთმეტე საათია...

**ტრაგიკოსი ქალი.** რატომ არ გვირეკავენ, რატომ არ გვილოცავენ რუსთაველის თეატრში დაბრუნებას!

**ბუნჩულა.** მთავრობა არ ჩქარობს. მთავრობა ღინჯად იქცევა.

**კომიკოსი.** ბატონმა კოტემ ღღეს გეგმებზე ილაპარაკა!

**რეჟისორი.** აღრინდელი შეცდომები აღარ გავიმეოროთ. ფრთხილად ვიყოთ.

**ტრაგიკოსი ქალი.** რა შეცდომებზე ლაპარაკობ!

**რეჟისორი.** მსახიობებთან, ჩვენს მეგობრებთან ურთიერთობისას გვქონდა შეცდომები. ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით და თანასწორნი ვართ!

**ტრაგიკოსი ქალი.** თანასწორნი არიან პარტიაში და სასაფლაოზე! თეატრში არიან ვარსკვლავები და არიან რიგითნი. არა-რა შეცდომა ჩვენ არა გვქონია.

ხომ ხედავ, რუსთაველის თეატრში ვბრუნდებით. ეს კი იმას ნიშნავს, სწორი გზით მივდიოდით.

### **შემოდის სასოწარკვეთილი ტრაგიკოსი კაცი.**

**ტრაგიკოსი კაცი.** „რად არ მეშლება ეს სხეული ესრეთ მაგარი?“

რად არ გაღნება და ცის ნამად რად არ იქცევა?

ან შემოქმედი, თავის მოკვლას, ნეტავ, რად გვიშლის?

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ყველა საქმე ამ წუთისოფლის

როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობებული...“

### **შეკრებილთ აცქერდება. თითქოს ყოველ მათგანს მიმართავს.**

„ცუდ ამბებს ვხედავ, კვლავაც უნდა ცუდს მოველოდეთ,

გაიპე გულო, რაკი ენა უნდა დადუმდეს“.

**ბუნჩულა.** ააარა... ეს რაღაც... რა ხდება?!

**ტრაგიკოსი ქალი** (ტრაგიკოსს მიუახლოვდება, ალერსით). ხომ კარგად ხარ!

**ელენე** (ბრაზით). მთვრალია, ღღეს დათრობა?!

**ტრაგიკოსი.** სჯობია, იყო მთვრალი, ბრმა, ან სულაც ყრუ, უენო და ვერ ხედავდე, არ გესმოდეს, როგორ იმსხვრევა ოცნება. ცრემლი დამშრალია, გინდა



იღრიალო, ამ მთებს შესჩვილო, მაგრამ ხროტინებ, მხოლოდ ხროტინს თუ ახერხებ...

**ტრაგიკოსი ქალი.** გაგვაგებინე, რა ამბავია!

**რეჟისორი.** რაღაცა მოხდა. ცუდი, საშინელი!

**ტრაგიკოსი.** მოგვატყუეს, გაგვამასხარავეს!

**ერთხმად.** რაა!!!

**ტრაგიკოსი.** მარჯანიშვილი ბურჟუაზიული ესთეტიკის მტარებელიაო...

### ყველა ადგილიდან წამოიჭრება.

**ტრაგიკოსი ქალი.** რას ამბობ!

**ტრაგიკოსი.** როგორ მეწადა იმ სცენაზე თამაში!.. (ტრაგიკოს ქალს.) რომ

8.

იცოდე, ჩემო ოფელია, როგორ მინდოდა ზღვასავით ძლიერი, ზღვასავით გარინდებული, სუნთქვაშეკრული დარბაზი...

**რეჟისორი.** გაგვამასხარავეს?

**ბუნჩულა.** მოგვატყუეს?

**ტრაგიკოსი ქალი.** არა, არ მჯერა, ეს შეუძლებელია, (ნერვიულად.) მე დამპირდნენ!

**ტრაგიკოსი.** ეს უკვე მოხდა! ცეკამ გადაწყვიტა, რომ ახმეტელი სოციალიზმის რელსებზე დგას... სრული საბჭოთა ელემენტია, მარჯანიშვილი კი...

**ტრაგიკოსი ქალი** (მივარდება, ტუჩებზე ხელს აფარებს). გაჩუმდი, გაჩუმდი!

**თამარი.** ნუთუ, ყველაფერი არარად მიიჩნიეს... ნუთუ, თამაშის უფლება წაგვართვეს. კოტეს მოტყუებაც იკადრეს, არარად ჩააგდეს!

**ტრაგიკოსი ქალი.** ჩვენ ომი გვაქვს, თამარ, მრისხანე, დაუნდობელ ომში ვართ ჩაბმული.

**თამარი.** მერედა, რატომ, რისთვის ვართ ომში, ვინ დაიწყო, ან ვის სჭირდება!

**ელენე.** ჩვენში ღირსეულს მუდამ გზას უღობავდნენ.

**ტრაგიკოსი** (თითქმის თავისთვის). ჩვენ აღარავის ვჭირდებით.

**ტრაგიკოსი ქალი** (წამოხტება). კ ჩორტუ ვსიო! (ელენეს.) სად არის, სად არის მოძღვარი ჩვენი!

**ელენე.** შინ დავტოვე.

**ტრაგიკოსი ქალი.** ადექით, წამოიშალეთ, წავიდეთ, ეს ამბავი ჩვენგან უნდა გაიგოს.

**კომიკოსი.** არა, ბატონო, არ იქნება!

**რეჟისორი.** მე ვერ მივეკარები.

**ტრაგიკოსი.** მარტო დავტოვოთ?

**ტრაგიკოსი ქალი.** რა მეხი დაგეცათ, წავიდეთ!

**ბუნჩულა.** კი, წავიდეთ, მაგრამ, რა ვუთხრათ?

**ტრაგიკოსი ქალი.** ჩქარა, ჩქარა, უჩვენოდ არ გაიგოს ეს ამბავი!

წამოიშლებიან. შემოდის ილაჯწართმეული მარჯანიშვილი. მსახიობებს ყურადღებით აცქერდება. რეჟისორი სავარძელს მოარბენინებს, მარჯანიშვილი სავარძელში ჩაეშვება.

**მარჯანიშვილი.** ყველანი აქ ხართ, კარგია! (თავჩაქინდრული ზის, ხელებით ჯოხს ეყრდნობა.)

**ტრაგიკოსი ქალი** (ლამის აცახცახებული). გადაგვარჩინეთ... არტისტები ვართ, ჩვენ აქ, მხოლოდ აქ, სცენაზე ვცოცხლობთ... სხვა რამ არ შეგვიძლია, დღეს ხმელეთზე გამორიყული თევზები ვართ!

**თამარი.** სიცოცხლეს და სიკვდილიც მხოლოდ აქ შეგვიძლია, მხოლოდ სცენაზე. სხვაგან სიკვდილი ჩაძაღლება იქნება, აქ -- ცად ამალლება!

**მარჯანიშვილი.** ათიოდე წლის წინათ მოსკოვში კორშის თეატრს ვთხოვლობდი. მინდოდა იქ გამემართა ახალი თეატრი. ტროცკი დამპირდა, მაგრამ... პირობა არ შეასრულა -- ის შენობა მეიერხოლდს მისცა. (პაუზა. მსახიობებს ყურადღებით შესცქერის) წავედი და სხვაგან გავაგრძელე ცხოვრება. პეტროგრადას... (წამოდგება, ლამის სათითაოდ ათვალიერებს ყოველ მსახიობს). **А знаете, что – давайте поедем в Кутаиси и покажем всем, как надо создавать театр.**

**მსახიობთა სახეებზე იმედის სხივი აკიაფდება.  
ეს სხივი უფრო და უფრო საჩინო ხდება.**

9.

-- Ну, чего молчите, не хотите?

**მსახიობთა შეძახილები:**

-- როგორ არა!

-- მოვდივართ!

-- წავიდეთ, ბატონო კოტე!

-- თქვენთან ყველგან წამოვალთ!

-- თეატრი იქნება იქ, სადაც იქნება მარჯანიშვილი!

-- ჩვენ თქვენთანა ვართ, ბატონო კოტე!

**მარჯანიშვილი** (წამოდგება. იმედგაღვიძებული, რწმენადაბრუნებული). რეჟისორები ხვალ დილით ჩემთან. **А сейчас пошли гулять!** რესტორანი „ფუნტე ოვეხუნა“ კიდევ არსებობს?

**დაბნელება.**

**პროექტორის შუქი დროდადრო, რეპლიკების წარმოთქმისას, მსახიობთა სახეებს ანათებს.**

**ბუნჩულა** რა ბედნიერებაა, ბატონო კოტე, თქვენს გვერდით ყოფნა სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

**ტრაგიკოსი** თქვენ ფრთები გამოგვასხით, თქვენს ხელში ფრენას ვსწავლობთ, ქართული თეატრის გენია ხართ, ნუ მიგვატოვებთ!

**რეჟისორი.** ჩვენო დილო მასწავლებლო, გვაჩუქეთ ბედნიერება ვქმნიდეთ თქვენს გვერდით, თქვენთან ერთად.

**მარჯანიშვილი** (გულიანად იცინის) ის, ვინც მაგას არ დაიჯერებს, დიდხანს იცოცხლებს. მე კი მჯერა.

**შეძახილები:**

– უნდა გჯეროდეთ!

– ეს ჭეშმარიტებაა!

– თქვენ ახალი დროის, ნამდვილ თეატრს უქმნით ქართველ ხალხს.

**მარჯანიშვილი.** ეს არის ჩემი სამსახური სამშობლოსადმი, რომ იცოდეთ, როგორ მენატრებოდა მშობლიური ზეცა. გაგვიმარჯოს!

**ბუნჩულა.** ამიტომაც მრავალჯამიერი სიცოცხლე გელით!

**წამოიწყებენ „მრავალჯამიერს“.** დაბნელება.

**ნათლება თეატრის სახელოსნო.** აქ არიან მაყვალა და მიტო.

**მიტო.** ნუ დამაძნე, მაყვალ, აქეთ მომხედე! (ცდილობს ხელი მოხვიოს).

**მაყვალა.** ხელი გასწვი, ბიჭო, ეგ რა არი!

**მიტო.** აღარ შემიძლია მეტი, გამიღიმე, ქალო!

**მაყვალა.** ხელებს ნუ კი აფათურებ, აი, ეს ნახე, ამას შეხედე! (კითხულობს).

„ახალი თეატრის ჩამოყალიბებისათვის შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი ვერიკო ანჯაფარიძის, უშანგი ჩხეიძის, დოდო ანთაძის, შალვა ღამბაშიძის, ივლიტა ჯორჯაძის, სანდრო ჟორჟოლიანის შემადგენლობით. ჯგუფს დაევალოს განუხრელად შეასრულოს ჩემი ყველა მითითება და იბრძოლოს თეატრისათვის“.

**მიტო.** მაგას ვინ ამბობს? (კვლავ ცდილობს ხელი მოხვიოს).

**მნაყვალა.** შენ კიდევ გეთქვა, ვინ გაგიგონებდა. ეგ ხელი იმას მოუფათურე, ვისაც ადრე უფათურებდი.

**მიტო.** მაყვალ, ღმერთი არა გწამს? ის იყო, მორჩა, შენა, შენა ხარ ერთადერთი... **მაყვალა** (გაზეთს აფრიალებს) ეს კი არაფერია, ხომ! გუშინდელი „კომუნი-

სტი“ 1928 წელი, ნომერი 158 (კითხულობს). „საბოლოოდ გადაწყდა, ქართულმა აკადემიურმა დრამამ იმუშაოს ქუთაისში. მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც მომავალ სეზონში ეს დრამა იმუშავებს ბათომშიც. რეპერტუარი შედგება რევოლუციური, ორიგინალური და კლასიკური პიესებისაგან. თეატრს ხელმძღვანელობს კოტე მარჯანიშვილი, სარეჟისორო კოლეგიაში შედიან: გრიგოლ სულიაშვილი, ვახტანგ აბაშიძე, შოთა აღსაბაძე, დოდო ანთაძე.“

**მიტო.** აბა, მაჩვენე! (ძალიან მიუახლოვდება, ლამის მიეკრას. გაზეთის კითხვას განაგრძობს). „დასის წევრები არიან ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე დონაური, ირინე დონაური, სოფიკო ვაჩნაძე, მერი დავითაშვილი, ნუნუ მაჭავარიანი, ანეტა ქიქოძე, მედეა ქორელი, ივლიტა ჯორჯაძე, ცეცილია წუწუნავა, თამარ ჭავჭავაძე.

**მაყვალა.** იქით, იქით-მეთქი, რა ამბავში ხარ!

**მიტო.** ვაჟები, ვაჟები მაინტერესებს!

**მაყვალა.** ვაჟები ეგენი არიან, თუ არიან, აბა, შენა? (ხელს ჰკრავს, მოიშორებს, კითხულობს). შაქრო გომელაური, ალექსანდრე იმედაშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, სერგო ზაქარიაძე, ბუხუტი მალლაკელიძე, შალვა ღამბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, შალვა ჩხეიძე, ვლადიმერ ჩომახიძე, (ნათდება კინიგზის სადგური. ისმის ორთქმავლის ქშენა, ქუთაისში მიმავალი მსახიობები თანდათან იყრიან თავს) მიხეილ სულთანაშვილი, სერგო ჭელიძე, გრიგოლ კოსტავა, პეტრე ჭიჭინაძე, ჭიჭიკო ბეგალიშვილი, კუკური გოგიაშვილი.

### ვიდრე მაყვალა სიას კითხულობდა, ცსენა ივსებოდა დასის წევრებით.

**ცისფერთვალეზა** (შემორბის). მე? მე რას მიშვრებით, ძმებო, სად მტოვებთ?

**რეჟისორი.** შენ რა გინდა?

**ტრაგიკოსი ქალი.** ეს ვინ არის?

**ბუნჩულა.** ჩვენთან რა ხელი გაქვს!

**ტრაგიკოსი.** გვითხარი, საიდან მოსულხარ, ვინ ხარ!

**ცისფერთვალეზა.** ვინა ვარ და აქლემის კუზი, ფუტკრის რტო, დიონისეს ბიძაშვილი, არა, თავადა ვარ დიონისე. (წრეს უვლის, ცეკვავს, ხტუნავს).

**ტრაგიკოსი.** მერედა, ჩვენთან რა გინდა?

**რეჟისორი.** ვერ იცანით? მშვენიერი კომიკოსია, ჩვენი დიდად მოყვარული.

**ცისფერთვალეზა.** მერედა, ასე უნდა მომექცეთ? ა, აგერ, აქ ვდებ თავს, აი, მომჭერით და ეს მაინც წაიღეთ!

**რეჟისორი.** შენ ჩვენი დასისთვის ძალიან საჭირო ხარ, მაგრამ ხელფასი ხომ უნდა მოგცეთ? დოტაცია ძალიან მცირეა.

**ცისფერთვალეზა.** არაფერს არ გთხოვთ, ბატონო, კოტეს უთხარით, მხალისა და ჭადის ფული მომცეს, იოლად გავალ, თქვენთან ყოფნა მინდა!

**რეჟისორი.** ჩვენც არ გვყოფნის ხელფასის ფონდი... ორი დღეა მოძღვარი ცუდ გუნებაზეა.

**ტრაგიკოსი ქალი** (აწყვეტინებს). მე ეს საუბარი არ მესმის. როცა ასეთ საქმეს ვიწყებთ, შიმშილიც უნდა ავიტანოთ, ღამისთევაც... ჩვენ ხომ ნოქრები არა ვართ (ელენეს) ლენა, წერე! (ელენეს კარნახობს.) „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ვაძლევთ ამ ხელწერილს კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე მარჯანიშვილს, რომ თანახმა ვართ ვიმსახუროთ ქუთაის-ბათომის სახელმწიფო თეატრში, მისი –

მარჯანიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობის ქვეშ იმ პირობით, რომ მუშაობა იწარმოებს პირველი აგვისტოდან 15 აპრილამდე, რისთვისაც ჯამაგირს ვლებულობთ მხოლოდ რვათვენახევარი!“.

11.

**ელენე.** ნელა, ნუ ჩქარობ!

**ტრაგიკოსი ქალი** (პაუზის შემდეგ). „ფულადი გასაჭირის გამო პირველ ორ თვეს მივიღებთ ხელფასის 75 პროცენტს, (იმეორებს) ხელფასის 75 პროცენტს. ბათომ-ში ყოფნის დროს უარს ვამბობთ დღიურებზე. დირექცია ვაღიარებდა გადაიხდოს მხოლოდ გზის, ეტლის და სასტუმროს ხარჯები.“ (რეჟისორს) რას იტყვი?

**რეჟისორი.** გვალვისას მოსული მხაპუნა წვიმაა.

**ტრაგიკოსი ქალი.** ვისაც ეს არ მოეწონება, თხოვნას ნუ დაუწყებთ, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზეც არის თეატრი, ჩვენგან მისულს, პატივით მიიღებენ – მეტ ხელფასს დაუნიშნავენ.

**დაბნელება.**

**სცენა განათდება:** ჩილინგარაშვილის კაფე. ეს კაფე იყო ქუთაისში ჩასულ მარჯანიშვილის მსახიობთა „როტონდა“, „ქიმერიონი“ -- ორი სეზონის განმავლობაში აქ იყრიდნენ თავს.

**ტრაგიკოსი.** ეეჰ, როგორ დაცარიელებულა ქუთაისი, რა გაძლებს აქ...

**ბუნჩულა.** კარგი ახლა, ნუ დაიწყე შენებურად.

**კომიკოსი.** შეხედეთ, ერთი შეხედეთ. ცხრამეტჯერ შემოუარა ბაღის კიდე.

**ბუნჩულა.** არ მოსწყინდა? არ მობეზრდა?

**კომიკოსი.** ნახე, რა საქმიანი იერთ დააბიჯებს. (წაჰბაძა ქუჩაში გამღვლელებს.)

**ცისფერთვალეა.** ჰა, მეოცეც დაიწყე!

**კომიკოსი.** ქვეყანა რომ თავზე ჩამომექცეს, მაინც უნდა დავთვალო, რამდენჯერ შემოუვლის.

**ბუნჩულა.** ნაღდად ნათავადარია, ნახეთ, თავს როგორ უკრავს ხალხს. მშვიერი ნათავადარი!

**კომიკოსი.** ღირსება კი შეუნარჩუნებია!

**ცისფერთვალეა.** გადამრევს ეს კაცი ვიღაცა! მაინც რა ხალხია ეს ქუთაისელები!

**კომიკოსი.** რა გჭირს ამისთანა გადასარევი, თლა ნუკი გამიბითურებ ამ ჩემ ქუთაისს!

**ცისფერთვალეა.** ქუთაისი, თორემ ეგეც პარიზი არ იყოს ერთბაშად!

**კომიკოსი.** პარიზიო, თორემ ეგეც ქუთაისი არ იყოს! დიდი ამბავი, ერთი ეიფელ-ლოვია ბაშნია, ერთი კონკორდა, ერთი სობორა, ერთი მონპარნასიე, მერე ლუვრია, თუ რაცხა, ერთი ტრიუმფალნაია არკა და მორჩა! აბა, სხვა რა გაქვს მაგ პარიზში! ბაღის კიდე არის? არ არის. მე მგონი, არც ბაგრატის ტაძარია იქ და თეთრი ხიდი სიდან იქნება!. ჰო და გაათავე ახლა!

**ვაშაკიძე** (რომლის სუფრასთან ტკბილად მღერიან). ნუგზარა, ბიჭო!

**ნუგზარა.** ბატონო! (ვაშაკიძესთან მიირბენს, ჩურჩულებენ, თავს უქნევს). კი ბატონო, კაი, ბატონო, მასე ვიზამ.

**მედეა** (მანერულად ნაზია). ნუგზარია, ბიჭო, შეეკითხე ერთი მაგ მსახიობებს, იმნაირი ლამაზი ქალები ხო არ ჩამოუყვანიათ, აბაშიძის სილამაზე რომ გაგვიპუსტიაკოს?

**ნუგზარა**. ვინც უნდა ჩამოვიდეს, მედიკოზე ლამაზი ვინ იქნება!

**მედეა**. ო, რა დათაფლული ენა გაქვს, ნუგზარია!

**მსახიობი**. არ მეგონა, ქუთაისი ასე მოწყენილი ქალაქი თუ იყო.

**ცისფერთვალება**. ბატონმა კოტემ ბრძანა, დიდი ხანია ასეთ მივარდნილ ქალაქში არ მიმუშავიაო.

**ტრაგიკოსი**. ქუთაისს ჩვენ დიდ თეატრალურ ქალაქად ვაქცევთ. შენ ნახე, რა

12.

ამბები დატრიალდება აქ.

**ცისფერთვალება**. უნდა კი ამ ქალაქს თეატრი?

**ტრაგიკოსი**. შენ ერთი ნაკვერცხალი გადააგდე და ნახე, როგორ გაღვივდება.

**ბუნჩულა**. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, თუ ჩვენ რამეს მივცემთ, ენდომებათ, თუ არა და...

**კომიკოსი**. ნუგზარა, ნუგზარა-თქვა!

**ნუგზარა**. მოვდივარ, ბატონო! (მოირბენს, როგორც ჩანს, კომიკოსი იცნო.) უჰ, ჩემს ძმას და მეგობარს კაი ქუთაისური...

**კომიკოსი** (გათამაშებული სიმკაცრით შეაწყვეტინებს). დედაქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს ასე ხვდებით?

**ნუგზარა**. (ტონი შეიცვალა, ოფიციალურად). რა ხდება ამხანაგო!

**ცისფერთვალება**. ამხანაგო კი არა, პირველი მსახიობია დედაქალაქში!

**ნუგზარა**. უყურე, შენ! არც მეორე, არც მესამე. პირდაპირ პირველი! (კომიკოსს ათვალიერებს. გაოცების ნიშნად თავი გააქნია.) პირველი, აბა?!

**კომიკოსი**. მართლა ვერ მიცანი?

**ნუგზარა**. პირველ კაცთან მე რა საქმე მაქვს, მეათე-მეთერთმეტე რო იყო, კილო შეიძლება გიცნობდე...

**ცისფერთვალება**. კი, მარა, ეს რა არის, მუხლთან შარვალი რომ შემოგფ-ხრეწია! ვერ დააკერებინე ვინმეს?

**ნუგზარა**. შენ როდის ჩამოხვედი, ქუთაისში?

**ცისფერთვალება**. კი იქნება სამი საათი.

**ნუგზარა**. მერედა, წადი ბიძია, ბაგრატიის ტაძარი ნახე, დინოზავრის ნაკვალევიც არაა გლახა სანახავი, დიდად გამოგადგება ცხოვრებაშიო, ამბობენ თვარა მე რა ვიცი! ბულვარზეც გეიარე. რალა ამ შარვალს მოაჩერდი. შენ გგონია, ქუთაისში მეტი არაფერია სანახავი? (გარბის.)

**ცისფერთვალება**. უყურე შენ, არ გაგვაბითურა?

**კომიკოსი**. ახლა ეგ შიმშილითაც დაგვხოცავს, არაფერს გვაჭმევს.

**ნუგზარამ კუთხეში მაგიდები ერთმანეთს მიადგა და გაფაციცებით შლის სუფრას.**

**ტრაგიკოსი**. ვილაც დიდკაცებს ელოდებიან, ჩვენი დარდი არა აქვთ.

**ბუნჩულა**. დიდკაცები... დიდკაცები! სანამ პატარანი არიან, ქვეყნის აშენების სურვილით დიდკაცდებიან, მაგრამ მერე...

**რეჟისორი**. რა გუნებაზე ხართ ამ საღამოს. რა იყო ასეთი!

**ბუნჩულა.** ეეჰ, კაი ერთი!

**კომიკოსი.** ეს არის ქუთაისი? სტუმარი კაცი რესტორანში შევიდოდა და ასე მიაგდებდნენ?

**რეჟისორი.** მოთმინება!

**კომიკოსი.** მოთმინება კი არა. გული მიმდის შიმშილით!

**რეჟისორი.** ნუგზარ ბატონო!

**ნუგზარა (მოიბრუნს).** ბატონო!

**რეჟისორი.** მოგვხედე, გვაჭამე რამე!

**ნუგზარა.** ახლავე ყველაფერს მოგართმევთ, ბატონო, ყველაფერს.

**ბუნჩულა.** ამისთანა ვინ დიდკაცებს ელოდებით, იმ სუფრას მოწიწებით რომ შლით?

**ნუგზარა.** დიდი ხალხი ჩამოსულა ქალაქში და გაამზადეო, მიბრძანეს.

**კომიკოსი.** გაზიანი წყლის გაყიდვას როდის დაანებე, თავი?

13.

**ნუგზარა.** კი იქნება ორი წელიწადი.

**კომიკოსი.** რაფერ გძინავს ღამე, არ გეშინია?

**ნუგზარა.** ერთხელ ძალიან შემეშინდა და წაიღეს რაც მქონდა, აწი რაღა მაქვს საშიშარი?!

**კომიკოსი.** იმ გაზიანი წყლით ორსართულიანი სახლი რომ წამოგიჭიმავს, გგონია, შეგარჩენენ?

**ნუგზარა.** თბილისთან ზაჰესი არ გამოიარე? ხომ ნახე, ბოლშევიკები უბრალო წყალზე ჰესებს აშენებენ და მე გაზიანით ორსართულიანი სახლი ავაშენე, რა მოხდა, შე კაცო!

**კომიკოსი.** ქუთაისლებს მაგრად გაქვთ ენა ალესილი.

**ნუგზარა.** ქუთაისლებს შეეშვი, თვარა, გაგიჭირდება ცხოვრებაში, იმიტო რომე აქანა პატიოსანი და გამგები ხალხია! (გარბის)

### ვაშაკიძის სუფრასთან კვლავ ტკბილად მღერიან.

**მელეა (გიორგის).** ნუ გვჭრი თავს, გიორგი, ამ უცხო ხალხში რატომ ურევ პირველს და მეორეს?

**გიორგი.** სს... (ვაშაკიძეს.) რას შვრება ნუგზარია ამდენ ხანს.

**ვაშაკიძე.** ნუგზარია-თქვა, ვის დაფუძახე მე!

**ნუგზარა.** ბატონო, ბატონო! (მოიბრუნა. ვაშაკიძე ხმადაბლა ელაპარაკება.) აა... კაი კაცო, უყურე შენ? რავარც მიბრძანებ... კი ბატონო.

**ვაშაკიძე.** ღროზე ქენი ახლა, თორემ გათენდა.

### ნუგზარა გარბის, კომიკოსს უახლოვდება და მხარზე ისე დაჰკრავს თითს, თითქოს კარზე აკაკუნებსო.

**კომიკოსი.** აა... შენა ხარ? გვეშველა?

**ნუგზარა.** ერთი წუთით, აქეთ მიბრძანდი (განაპირდება). ისე რავა ხარ, თუ იცი?

**კომიკოსი.** მიცანი?

**ნუგზარა.** რა მჭირდა შენი უცნობი, ბიჭო, მარა, თბილისიდან ჩამოვედიო, რომ მებრიქებოდი, მაგიტომ არ ჩაგაგდე არაფრად. რავა ხარ, ისე, რავა! (გაუძღვება

სუფრისკენ, რომელსაც ასე მოწიწებით შლიდა.) დაუძახე შენს ამხანაგებს და შეუდექით საქმეს.

**კომიკოსი.** კი, მაგრამ, ეს სუფრა ხომ...

**ნუგზარა.** თქვენია ბატონო, თქვენი სუფრაა! (მსახიობებს გასძახის.) მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით! ასე კი არ არის საქმე, არც ისე წამხდარა ყოლიფერი!

**შეძახილები:**

-- აბა, ვილაც დიდკაცებს ელოდებიანო!

-- თურმე ჩვენთვის შლიდნენ ამ სუფრას!

-- ესეც შენი ქუთაისი!

-- ქუთაისი მაინც ქუთაისია!

-- ქუთაისი მანამ უნდა გენახათ, სანამ თბილისში გაიკრიფებოდა ხალხი!

-- დიდკაცებო, რომ თქვეს?

-- რაიმე გაუგებრობა არ იყოს!

**ვაშაკიძე** (თავის მეგობრებთან ერთად სტუმრებისკენ გამოემშურება). ჭეშმარიტ არტისტზე და ჭეშმარიტ პოეტზე დიდი კაცი ქუთაისში არ ჩამოვა! (ყანწს ავსებს.) მე პირველი კაცი ვარ, ვინც თქვენს დასს ქუთაისში შეხვდა. ამაზე უარესად,

14.

არასოდეს არსად არ შეგხვედროდნენ. ამ ქალაქში თქვენს ჩამობრძანებას მივესალმები ერთი ქუთაისელი კაცი და ჩემს ქალაქს ვულოცავ თქვენს ჩამოსვლას.

**შეძახილები:**

-- გაუმარჯოს!

-- ყოჩაღ!

-- დახვედრაც ასეთი უნდა! (სვამენ)

**ვაშაკიძე.** მითხრეს, ბატონი კოტე მარჯანიშვილი ჩამობრძანდაო.

**რეჟისორი.** სასტუმრო „ფრანციაშია“, ისვენებს.

**ვაშაკიძე.** უიმისოდ ქეიფს ეშხი არ ექნება.

**კომიკოსი.** სადაცაა გამოჩნდება და მოლხენაც დაიწყება.

**ვაშაკიძე.** ბატონებო, შევავსოთ. (ყანწი შეავსო.) ქუთაისს მიუულოცავ ბატონ კოტეს დაბრუნებას. ბატონ კოტესა და ცხონებულ მამაჩემს ბევრი დამე უტენიათ ქეიფში. ჩვენს ოჯახშიც არაერთხელ ყოფილა. რუსეთშიც გამასპინძლებია მამაჩემს... გთხოვთ მიირთვათ.

**კომიკოსი** (ნუგზარას). მატყუებდი ხომ, ნუგზარა?

**ნუგზარა.** ასე იყო საჭირო.

**კომიკოსი.** მერე და როდის დაიწყეს ქუთაისლებმა ტყუილები, ბიჭო, ა?

**ნუგზარა.** თუ კაცს ესიმოვნება, ტყუილს კი არა, სიმართლესაც ვეტყვი.

**კომიკოსი.** ამ ფილოსოფოსობას მაინც არ შეეშვი ხომ!

**ნუგზარა.** ეეჰ... ქუთაისელი კაცი ყოველთვის ფილოსოფოსი იყო, შენ ხომ მაინც იცი, ეს ამბავი!

**ვაშაკიძე**(ყანწს ავსებს) ამ ქალაქში თქვენს სიხარულს გაუმარჯოს. წაღმა დატრიალებულიყოს თქვენი თეატრის ბედი, ბატონებო. თქვენი ცხოვრება დღეს იწყება და არასოდეს დამთავრებულიყოს!

**შეძახილები:**

-- გაუმარჯოს!

-- კარგია!



- ყოჩაღ!
- ლამაზად თქვა!

სვამენ. ვილაცამ გიტარის სიმებს ჩამოჰკრა, ვილაცამ სიმღერა წამოიწყო და გათბა ჩილინგარაშვილების კაფე.

სცენაზე შუქი ქრება. პროექტორის შუქი ავანსცენაზე სავარძელში მოკალათებულ მარჯანიშვილს ეცემა.

**მარჯანიშვილი.** „დღეს, 1928 წლის 7 აგვისტოს, ახალ ცხოვრებას ვიწყებთ. წინ დიდი საქმე გველოდება. ყოველი ჩვენთაგანის ხელშია ჩვენი ახალგაზრდა თეატრის ბედი. ჩვენი პირველი გამარჯვება უნდა იყოს დისციპლინა, მეორე – ქვეყნად სიცოცხლის წყარო – სიყვარული, მესამე – საქმის თავდადებული ერთგულება. ჩვენ უფრო დიდი საქმის გაკეთება გვარგუნა ბედმა, ვიდრე რუსთაველის თეატრში დაბრუნება იქნებოდა – ჩვენ ვქმნით ახალ ქართულ თეატრს. (პაუზა.) უკანასკნელ დროს მეტად დაცარიელდა რეპერტუარი. აიხსნება ეს იმით, რომ დრამატურგია უკიდურესობაში გადავარდა – პიესებში მოქმედი პირები გამოყვანილია ცალმხრივად, თუ დადებითი პიროვნებაა, ის თავიდან ბოლომდე დადებითია და პირიქით. ასეთი ნაწარმოები ვერ არის დამაჯერებელი. შექსპირი მით არის შესანიშნავი, რომ მისი გმირები საკუთარ თავთან ბრძოლას აწარმოებენ და ამიტომ ისინი არასოდეს არ დაკარგავენ ინტერესს. ამ პიესის – „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“ გამარჯვებაც იმით აიხსნება, რომ იქ გამოყვანილია

15.

ადამიანები, რაც იძლევა მასალას მსახიობისათვის. სადამოს წარმოგიდგენთ თეატრის მთავარ მხატვარს – პეტია ოცხელს, იგი სულ ახალგაზრდაა – 19 წლის. იყავით მოწყალე ამ გამოუცდელი ჭაბუკის მიმართ. სამაგიეროს თავისი ნიჭით გადაგიხდით. ახვლედიანს ყველანი კარგად იცნობთ. ჩვენს სპექტაკლებზე იმუშავენ: გუდიაშვილი, შარლემანი, ლანსერე და ლათიკო კაკაბაძე. ვახვანიშვილს და მაჭავარიანს ბევრი იცნობთ. ახლა კი გთხოვთ ფეხზე წამოდგეთ, გავიხსენოთ, რომ ჩვენ შემოვედით წმინდათაწმინდა ტაძარში და ყველამ ერთად ვთქვათ: „დღეს ჩვენ მუშაობას ვიწყებთ და ვფიცავთ მთელი ენერგია, ნიჭი მოვახმართ თეატრის პატიოსან სამსახურს“.

**დასის ხმა:** დღეს ჩვენ მუშაობას ვიწყებთ და ვფიცავთ მთელი ენერგია, ნიჭი მოვახმართ თეატრის პატიოსან სამსახურს.

**მარჯანიშვილი.** ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

**ელენე.** პირველი დღიდანვე იყო დიდი მოკრძალება. იგი ხომ საქართველოში აღიარებული შემოქმედი ჩამოვიდა. მას ეთაყვებებოდნენ, მისი სახელის ხსენებაზე ადამიანებს სახე უნათლებოდათ. არასოდეს, არასოდეს ფიქრადაც კი არ გამივლია მასთან რაიმე სიახლოვე... ან როგორ გავბედავდი. სად მე, ქმრისგან მიტოვებული, ბავშვიანი მსახიობი ქალი და სად დიდი კოტე მარჯანიშვილი. იმ დღეს კი... რეპეტიციაზე ორჯერ მაჩვენა ქოხიდან შეუმჩნევლად როგორ გავსუ-ლიყავი და როგორ ამოვფარებოდი დიდი მუხის ხეს. ისე ვიქცეოდი, როგორც მეუბნებოდა... გადავდიოდი, მაგრამ... მას სხვა რიტმი ეწადა, სხვაგვარი მოძრაობა. სცენაზე ამოვიდა, ჯერ მაჩვენა ქოხიდან შეუმჩნევლად როგორ უნდა გამოვიდე, მერე ხელი მომხვია და... მუხისაკენ წამიყვანა, მაგრამ... (პაუზა.) ხელი მომხვია თუ არა... ლამის ჩავიკეცე, მომეჩვენა, რომ მთელი ჩემი სითბო, ენერგია მის სხეულში გადავიდა... უძალო, ღონე გამოცლილი მივყვებოდი. იგრძ-ნო, მისი ხელის შეხებამ

ჩემს სხეულში რაღაც შეცვალა... თუ დაბადა... გაკვირვებულმა ჩამხედა თვალებში და... მე მუხისაკენ მივყავდი თმაშევერცხლილ ჭაბუკს, რომლის თვალებშიც ელვა კრთოდა. მისი სხეულიდან კი ისეთი საამო სითბო ამოდიოდა, ჟრუანტელმა კიდევ ერთხელ დამიარა და რომ არ ჩავკეცილიყავ, მხარზე მივეყრდენი. მან ეს იგრძნო, ხელი გამიშვა და დამაცქერდა. ის მზერა, ის სხივი მისი თვალებიდან რომ მოდიოდა, თითქმის ახლაც აგერ აქ არის... თითქოს პირველად დამინახა, აღმომაჩინა. ისევ გავიაროთო, მითხრა, კვლავ გავემართეთ დიდი მუხისაკენ. იგი იყო საქმიანი, ცივი, შორეული. მელაპა-რაკებოდა, არა, შთამაგონებდა ხმადაბლა. მე კი მექანიკურად ვმოძრაობდი, უაზროდ. მერე თავბრუდახვეული, თითქოს ბურანში მოქცეული ვიჯექი კულისე-ბში და ველოდი, კიდევ როდის დადგებოდა ჩემი ჯერი. კვლავ მეწადა არა მუხისაკენ სვლა, ის ვნებისამშლელი, სიტკბოების მომგვრელი ჟრუანტელი – ქმარი რამდენიმე წელიწადი მყავდა, მაგრამ ასეთი ჟრუანტელი არასოდეს მიგრძვნიდა. ისევ დამიძახეს. გავედი, არ გავაკეთე ისე, როგორც მას ეწადა, მინდოდა ისევ ამოსულიყო სცენაზე, ისევ მოეხვია ხელი.

**მარჯანიშვილი. Леночка, что с тобой?!**

**ელენე.** მოვტრიალდი და მუდართ სავსე მზერა მივაპყარი. არ ვიცი მიხვდა თუ არა რაიმეს. არა ვგონებ...

**მარჯანიშვილი. Перекур! ათი წუთი!**

**ელენე.** მთელი კვირა ისე გავიდა, არაფერი უთქვამს. ათიოდე დღის შემდეგ, რეპეტიცია რომ დამთავრდა, ხელით მანიშნა ჩემთან მოდიო.

**მარჯანიშვილი. Пошли ко мне!**

**ელენე.** და ეტლისაკენ გამიძღვა. ეტლი ქვაფენილზე მიირწეოდა, მე კი ახლის, მოულოდნელის მოლოდინში აღმური მედებოდა. სახლში რომ მივედით, მრგვალ

მაგიდას მიუჯდა და თქვა:

**მარჯანიშვილი.** ახლა კი ჩაი ვსვათ და ვისაუბროთ თეატრზე, ცხოვრებაზე, ოჯახზე.

**ელენე.** იმ დღიდან დიდი ხანი გავიდა... შვიდი წელი? არა, მეტი. მე ისევ აქ ვარ... აქ ვიქნები, მის გვერდით, ამ მზერაანთებული ჭაბუკის გვერდით, რომელსაც ვჭირდები, ყოველდღე სჭირდება ჩემი სითბო. კოტეს ერთი ჩვეულება ჰქონდა -- უბის წიგნაკში იწერდა ყველაფერს: აი, 1928 წლის უბის წიგნაკი. ამ ფურცლებს ივნისამდე კალამი თითქმის არ შეხებია. ივნისში კი... (კითხულობს.) „ოთხშაბათი, 27 ივნისი. ბესო ჟღენტს სათარგმნელად გადავეცი „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“. „ხუთშაბათი. 28 ივნისი. სიმონ ჩიქოვანს სათარგმნელად გადავეცი კირმონის „ლიანდაგი გუგუნებს“. „პარასკევი. 29 ივნისი“. დავამთავრე „ჰოპლას“ მონტაჟი და გადავეცი დოლოს“.

**ბუნჩულა.** „შაბათი. 30 ივნისი. „ჰოპლა“ გადავეცი დათიკო კაკაბაძეს. უნდა ვიშოვო კიდევ ერთი ეგზემპლარი“.

**ელენე.** „კვირა. პირველი ივლისი. ქუთაისიდან მივიღე თოხაძის დეპეშა. მოლაპარაკება ჰქონდა ბათომში. უნდა გაირკვეს გელოვანის საკითხი“.

**ბუნჩულა.** „ორშაბათი. 2 ივლისი. „ჟანა დ არკი“ გადავეცი აბაშიძეს. კანდელაკს უნდა მოველაპარაკო თოხაძის დეპეშის გამო“.

**ელენე.** „ქუთაისიდან დარეკა თოხაძემ. არ აკმაყოფილებს გაანგარიშება“.

**ბუნჩულა.** „კვირა. 8 ივლისი. გერცელ ბააზოვის პიესის კითხვა“.

**ელენე.** „დღეს მოვიდნენ თოხაძე და თუთბერიძე. მინიშნავენ ხუთი ათასს“

**ტრაგიკოსი.** „ხუთი აგვისტო. დღეს მივდივართ ქუთაისში“.

**ტრაგიკოსი ქალი.** მოძღვრის უბის წიგნაკი. 7 აგვისტო. „სალამოს ვიწყებ „ჰოპლას““.

**ტრაგიკოსი.** 8 აგვისტო. „დილით დავიწყე „ურიელი“, სალამოს -- „ჟანა დ არკი“.

**ელენე.** 10 აგვისტო. „სალამოს რვა საათზე უნდა გავსინჯო გადაღების ადგილი „ჰოპლასათვის““.

**ცისფერთვალება.** „ჩამოვიდა კაკაბაძე. ჩამოიტანა „სამანიშვილის დედინაცვლის“ მაკეტი.“

### **შემოდინ რეჟისორი და ქუთაისის სამაზრო კომიტეტის განსახკომის ხელმძღვანელი ჭეიშვილი.**

**ჭეიშვილი** (მშრალად, გამოკვეთილი დიქციით კითხულობს ქუთაისის სამაზრო კომიტეტის დადგენილებას). გუშინ... 1928 წლის 15 სექტემბერს ქუთაისის სამაზრო კომიტეტმა განიხილა ქუთაის-ბათომის თეატრის საკითხი. თეატრში არის ბოლშევიკური პარტიის ერთი წევრი, ექვსი კომკავშირელი, მაგრამ ჯერაც არ შეუქმნიათ კომკავშირული ორგანიზაცია.

**რეჟისორი.** რას ამბობთ, ბატონო, ჩვენ ჯერ სპექტაკლიც არ შეგვიქმნია.

**ჭეიშვილი.** მეიცა! (კითხვას განაგრძობს) თეატრის დირექტორი უპარტიოა.

**რეჟისორი.** ჩვენი დირექტორი მგზნებარე უპარტიო ბოლშევიკია.

**ჭეიშვილი.** მივიღებთ მხედველობაში (კითხვას განაგრძობს.) „სამაზრო კომი-

ტეტმა მოისმინა სარეპერტუარო გეგმა და დაადგინა, რომ ძირითადად მოი-წონოს იგი, მაგრამ დამაკმაყოფილებლად არ მიიჩნევს 12 პიესისაგან შემდგარ რეპერტუარს. სამაზრო კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია, რეპერტუარი გაძლიერდეს რევოლუციური შინაარსის პიესებით. დაემატოს მას, აგრეთვე კლასიკური პიესები. რეპერტუარიდან ამოღებული იქნას „სამანიშვილის დედინაცვალი“.

**რეჟისორი.** რას ამბობთ!

**ჭეიშვილი.** რავა ბატონო, რაში სჭირდება ბოლშევიკურ საქართველოს ერთი

ატრუებული ბერიკაცის ამბავი, მაშინ როცა ჩვენს ირგვლივ სოციალიზმის უამრავი მშენებელია? ა? ხო არ უნდა! (დადგენილების კითხვას განაგრძობს.)

„სამაზრო კომიტეტი კვლავაც ადასტურებს, რომ თეატრს დოტაციის სახით მისცემს 43 ათას მანეთს. სამაზრო კომიტეტი ცნობად ღებულობს ბათომის საქალაქო საბჭოს დადგენილებას, რომ თეატრს დოტაციად მისცეს არა 42 ათასი მანეთი, როგორც ადრე იყო დადგენილი, არამედ 22 ათას ხუთასი მანეთი.“

**რეჟისორი** (აღელვებული აწყვეტინებს). რას ამბობთ, ეს რა წამიკითხეთ!

**ჭეიშვილი**. ბათომი უარს ამბობს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებაზე – თეატრისათვის 42 ათას მანეთს ვერ მოვიძიებთო.

**რეჟისორი**. გვლუპავთ, ბატონო? ეგ როგორ...

**ჭეიშვილი**. მხოლოდ 22 ათას ხუთასი მანეთითო.

**რეჟისორი**. გამოდის რომ... ესე იგი... ღარიბმა კაცმა შეიძლება უმწეობა რაიმეთი დაფაროს, მაგრამ თეატრის სიღარიბე იმას ჩაგვძახის, რომ ამ ქვეყანას უკეთესი ხვალე არ სურს.

**ჭეიშვილი**. კიდევ ერთი გლახა ამბავი უნდა გითხრა: საქართველოს განსახკომმა ითავა მარჯანიშვილის ხელფასის გადახდა, ხოლო დოტაციას ოცი ათას მანეთს დაუმატებთო. გუშინ დეპუტა მივიღეთ: ოცი ათასს ვერ გადავიხდით. სამი ათასს, მოვახერხებთო.

**რეჟისორი** (ელღანაცემი). რაო, რა ბრძანეთ?

**ჭეიშვილი**. მოდი, ბიძიკო, აგერ მომიწერე ხელი. (სასოწარკვეთილი რეჟისორი ულონოდ დაემუგება სკამზე.) ხელი ხო უნდა მომიწერო!

**რეჟისორი**. ვერა, მე ვერც ხელს მოგიწერ და...

**ჭეიშვილი**. კაი, შე კაცო, ნუ მოიკალი თავი!

**რეჟისორი**. ვერც მარჯანიშვილს მივუტან მაგ ქალღმერთს.

**ჭეიშვილი**. დაიწყეთ და გამოჩნდება საშველი.

**რეჟისორი**. თეატრი როგორიც დაიბადება, ისეთი იქნება. ან კარგად უნდა დავიწყოთ, ან სულაც... არა, თავი უნდა გადავდოთ და...

**ჭეიშვილი**. ამ ამბავს სულაც ნუ გააგებინებ მარჯანიშვილს, დილას ჩემს ეტლს გამოგიგზავნი, ჩადი ბათომში, მოელაპარაკე კონსრეიძეს, იქნება, გამოდნეს რამე, თუ არადა...

**რეჟისორი**. თუ არადა?..

**ჭეიშვილი**. თუ არადა... რა ვიცი, ბიძიკო, რით გიმველო მე... იმას კი დაგპირდები, რომ ქუთაისი პირს არ გეიტეხს. დილის ექვს საათზე სასტუმროსთან იქნება ეტლი.

**დაბნელება**. გვესმის იმერეთის მტვრიან გზაზე, როგორ

მიფრატუნობენ ეტლში შებმული ცხენები.

შუქი სცენაზე. კონსრეიძე და რეჟისორი.

**რეჟისორი**. თეატრი პირნათლად შეასრულებს იმ ვალდებულებას, რაც იკისრა.

**კონსრეიძე**. მჯერა, ამხანაგო, მაგრამ – მუშათა კლასს ვერ დავაღალატებთ.

**რეჟისორი**. ჩვენ? მსახიობებს ხელფასი ხომ უნდა მივცეთ?

**კონსრეიძე**. ერთი რამ ვერ გამიგია მე, ამხანაგო: თქვენ უნდა იცეკვოთ, უნდა იმღეროთ, იხტუნაოთ და ხალხმა ფული გიხადოთ?

**რეჟისორი** (ერთხანს დაჟინებით შესცქერის კონსრეიძეს. აუღელვებლად). ეგ შეკითხვა საქართველოს კომპარტიის აგიტპროპს დაუსვი. ასე აჯობებს.

**კონსრეიძე** (პაუზის შემდეგ). აუცილებლად. თბილისში რო ვიქნები, აუცილებლად ვიკითხავ.

რეჟისორი. მანამდე ეს კაბინეტი დაცალე, ისე ყოველი შემთხვევისთვის.

18.

**კობრეიძე.** გარეთ ხალხი მელოდება.

**რეჟისორი.** თქვენ არ გესმით, თუ რა ამოცანას უსახავს პარტია თეატრს.

**კობრეიძე.** მაგრამ იმას ითხოვენ, წყალსაქაჩის მშენებლობა დააჩქარეო. ხალხი მელოდება-მეთქი.

**რეჟისორი.** ყოველ საღამოს დღიურს ვწერ. ვიცი, ეს მეცხრამეტე საუკუნის ჩვევაა, მაგრამ დიდი ბოლშევიკებიც წერდნენ დღიურებს. ქუთაისში რომ ჩავალ, დღიურში ჩავწერ: „19 სექტემბერი. ვიყავი ბათომში. ამხანაგმა კობრეიძემ არა-რა დახმარება არ აღმოუჩინა თეატრს“ ამაზე ცუდს მე ვერაფერს გაგიკეთებთ. იმას კი დაგპირდებით, რომ ჩემს დღიურებს თქვენი შვილიშვილები წაიკითხავენ (მიდის).

**კობრეიძე** (წამოენთება, ადგილიდან წამოხტება). მე რას მემუქრები, იმათ მიხედვით იქ, თბილისში, იმ თეატრში, საიდანაც გამოიქეცით. მე, რასაც მეუბნებიან, იმას ვაკეთებ.

**რეჟისორი** (მობრუნდება). რაო, რა მითხარით?

**კობრეიძე.** ასეა ეს! აქ ნუ გაქვთ დიდი გული, გუშინ რო ერთმანეთს პროშნდით, იქ, თეატრში, ისინი არ გინდობენ და მე რა გიყოთ!

**ელენე.** კოტე აღვზნებული იყო. სახლში თუ რეპეტიციაზე, არ მახსოვს წუთი, როცა პაპიროსი არ ელო პირში. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ იყო პირველი სპექტაკლი. ამ სპექტაკლით უნდა ეთქვა ყველასთვის, რომ ვარსებობთ, ვქმნით, ვიბრძვით. თბილისიდან პრემიერაზე ბევრი ხალხი ჩამოვიდა, გაივსო ქუთაისის თეატრი. ძალიან კარგად ჩაიარა პირველმა მოქმედებამ. აი, მეორეც დაიწყო: კაფე-შანტანი. დიალოგის პარალელურად ცეკვები... დიალოგი ცეკვების ფონზე... იცეკვეს მედეა ქორეღმა და სერგო ზაქარიადემ, ნუნუ მაჭავარიანმა და მიშა აბაზაძემ. და აი...

სცენაზე შემოიჭრება ტრაგიკოსი ქალი. მაღალყელიანი, შემოჭერილი, მარცხენა ფეხთან ჩახსნილი ფარჩის კაბა აცვია. ზანგ პარტნიორთან ერთად „ჩარლსტონს“ ცეკვავს. ცეკვისას აკრობატულ ნომრებს მიმართავს. ტრაგიკოსი ქალი და ზანგი ბიჭი გატაცებით ცეკვავენ. ტრაგიკოსი ქალი განსაკუთრებულად გამოირჩევა. გრძნობს, რომ დარბაზი მოხიბლა, დაატყვევა თავისი ხელოვნებით. ეს კიდევ უფრო შთააგონებს. ცეკვის საფინალო ნაწილში პარტნიორს ორივე ხელს გაუწვდის. ახტება და გულმკერდზე მიეყრდნობა მას, მერე გადაიზნიქება და მხარზე მოექცევა..

**მაყურებელი აღფრთოვანებულია, თავდაუზოგაცად უკრავს ტაშს.**

**ტრაგიკოსი ქალი** (ავანსცენაზე მოდის, აუჩქარებლად მიმოიხედავს). რისთვის მოვსულვარ მე აქ, რატომ ვარ მსახიობი, ასე რატომ მწადია, ყოველ საღამოს უარი ვთქვა საკუთარ სახეზე, ხმაზე, სულზე? განა, ბუნებრივია, ასე გინდოდეს, სხვად ქცევა, ესწრაფოდე სხვა ადამიანის ტყავში შეძრომას? მე ხომ არ მიყვარს ოინბაზობა, არც თქვენი გართობისათვის მოვსულვარ აქ, პირდაპირი, მართალი და შეუპოვარი ადამიანი, ყოველ საღამოს სხვად უნდა გარდავისახო. რატომ? აი, ამისათვის? (ქარიშხალივით შემოიჭრება მაყურებელთა ტაში, ოვაცია.) არა, სულაც არა! მე კარგად ვიცი, თუ რა არის წარმავალი და რა –

მარადიული, არა, ტაშისთვის არ ვარ მსახიობი... (პაუზა.) ჩვენ გვაქვს ათი მცნება. ღმერთთან, ადამიანებთან ურთიერთობის მცნებები... მე მივდეგ, ვასრულებ მათ, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მცნება: გაისარჯე ადამიანის სულისათვის... (მცირე პაუზის შემდეგ.) თქვენ გნებავთ, საღვთო საქმე დაარქვით... გნებავთ, მცნება... გაისარჯე ადამიანის სულისათვის... ჩემთვის ეს მეთერთმეტე

19.

მცნებაა. მინდა სულიერი შვება მოვგვარო... იმით რომ თუნდაც მცირე ხნით სხვათა ცხოვრებით ვაცხოვრო, სხვის სულში ჩავახედო, ვაცინო და ამ სიცილით, ამ ცრემლით გავაკრიადლო... (თითქმის თავისთვის.) გა-ვა-კრი-ალო, ახალშობილის სახე დავუბრუნო ადამიანის ყოველდღიურობის სევდა-კაემნით ამღვრეულ სულს. (პაუზა.) ადამიანის სულში პირველქმნილი სინათლის დაბრუნება... (პაუზა.) იქნებ, ამ სინათლისაკენ ლტოლვის სურვილი მაინც გავაღვიძოთ? ვიცი, ადამიანის სულზე ზემოქმედება, ადამიანის სულის... გაუმჯობესება... (პაუზა) ადამიანის სული... ეს ღვთის რჩეულთა ხვედრია.. მხოლოდ უფლის ნებით გვენიჭება საამისო ძალა, ისე, როგორც წინასწარმეტყველთ ჩაუნერგა ნიჭი, დაენახათ მომავალი... ღვთის რჩეულნი კი ცოტანი არიან... ძალიან ცოტა... და ვიდრე ახალგაზრდები ვართ, ვიდრე მოგვდევს ღონე, გვწადია, აღვასრულოთ მეთერთმეტე მცნება... ადამიანისათვის, იმისათვის, რომ თქვენ ხვალ უკეთესი იყოთ, ვიდრე ხართ დღეს... იმისათვის, რომ აი, ამ დარბაზიდან გასულ ადამიანს სიკეთის გამარჯვება სჯეროდეს. სულში სინათლედებრუნებულ ადამიანს სჯერა, უთუოდ სჯერა, სიკეთის უძლეველობა.

მოისმის ალბერტ კროლი-ტრაგიკოსის ხმა. ეს გახლავთ მთავარი მოქმედი პირის საფინანსო მონოლოგი მარჯანიშვილის თეატრის პირველ სპექტაკლში „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“.

**ხმა.** „ნუ ტირით, არ არის საჭირო, კარლი გარდაიცვალა, კარლი ჩვენგან წავიდა. რას ვიზამთ, მას გამძლეობამ უმტყუნა – სიმხდალე გამოიჩინა, ცხოვრებას გაექცა, მაგრამ ჩვენ, ჩვენ ვართ დამნაშავე, ჩვენ წავედით შემთან-ხმებლობაზე, ჩვენ ავიღეთ ხელი ბრძოლაზე. იგი მოკვდა და თვალი აგვიხილა. ვინც თომასი მოჰკლა, ნუ ეგონებათ, რომ ჩვენც მოგვკლა! მაშ, კვლავ წინ, საბრძოლველად, ნუ ვღვრით ცრემლს, ნუ ვიტანჯებით, გავსწიოთ საბრძოლველად. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

### **მონოლოგი დამთავრდა და ირგვლივ დუმილმა დაისადგურა.**

**ტრაგიკოსი ქალი** (ლამის აცახცახებული, თითქმის ჩურჩულით). ღმერთო, რა სიჩუმეა! ირგვლივ დუმილი! სამარეში ხომ არ ჩავგარდი!

იქუხებს ტაში. ერთმანეთში ირევა სიხარულის გამომხატველი შეძახი-ლები. ხალხი არ ცდილობს დაიოკოს ემოცია. ტრაგიკოსი ქალის შიშამდგარ, ელდისაგან დაღმეჭილ სახეს სხივი ეფინება.

**შეძახილები:**

- დიდება თქვენ!
- დიდება მარჯანიშვილს!
- გაუმარჯოს თავისუფლებას!
- გაუმარჯოს სოციალიზმს!

**ტრაგიკოსი ქალი.** ღმერთო, ასრულდა, ის არის... ისეთი დაბადებაა, როგორიც გვეწადა.

**რეჟისორი** (ადგილიდან ძალამოცემული, ბედნიერი წამოიჭრება). კონრეიძე, წყალსაქანს მიმიხედუ, წყალსაქანს! რეზინის ჩექმების ჩაცმა არ დაგავიწყდეს!

**ტრაგიკოსი** (შემორბის. ტრაგიკოს ქალს ხელში აიჭაცებს). ჩემო ოფელია, ჩემო ძვირფასო, ჩვენ დავიბადენით, ყური მიუგდე, რა ხდება დარბაზში, ქუჩაში. ეს



ნამდვილი დაბადებაა!

**ტრაგიკოსი ქალი.** ჩვენ დავიბადეთ, ჩვენ ვარსებობთ!

**ცისფერთვალეა** (ცრემლი აწვება, სლუკუნით ლაპარაკობს). აწი თუ გინდა, ჩემი სულიც ჩაიბარე, ღმერთო, რახან ამ დღეს მოვესწარი...

**რეჟისორი** (ტრაგიკოსსა და ტრაგიკოს ქალს). სცენაზე, სცენაზე, ხალხი, გიხმობთ! (ორივენი გადიან).

**დარბაზში შემოიჭრება ტელეგრაფის სიგნალის ხმა.  
ტელეგრაფისტს დეპეშების ტექსტს კარნახობენ.**

**მამაკაცის ხმა.** სასწრაფო, ელვა! თბილისი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. „ვნახეთ „ჰოპლას“ პრემიერა, აღტაცებული ვართ. ეს სპექტაკლი ქართული თეატრის აღორძინების დასაწყისია.“

**ქალის ხმა.** „მოსკოვი, განათლების სახალხო კომისარიატი, ამხანაგ ლუნაჩარსკის. „საბჭოთა თეატრის ყოველ მოყვარულს ვულოცავთ მარჯანიშვილის დიდ გამარჯვებას და ახალი თეატრის დაბადებას.“

**კრიტიკოსი.** „თბილისი, მწერალთა კავშირს. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

**დაბნელება.**

**რეპეტიციის წინ. სცენაზე მიტო და გელეონი არიან.**

**მიტო.** თეატრში გამარჯვებას მოსდევს გამარჯვებულთა ჭამა – ცოცხლად, ღიმილით, ხვევნა-ალერსით შეხრამუნება. გამარჯვების გეშინოდეთ, არტისტებო, გამარჯვებით ნუ გაიხარებთ, უფალო რეჟისორებო, თორემ ისინი გაგითხრიან სამარეს, ვინც მწვერვალზე შემოასკუპეთ.

**გელეონი.** რა ბითური ხარ!

**მიტო.** აბა, უხმაურო, უჩინარი ვის უნდინხარ! (შემოდინ „ურიელ აკოსტას“ მესამე მოქმედების პირველი სურათის პერსონაჟთა შემსრულებელი მსახიობები.)

**ტრაგიკოსი ქალი.** (ტექსტს იმეორებს). ახლა არ შეგვიძლია, სხვა დროს!

**ტრაგიკოსი.** რა ხდება, რაზე უნდა გიპასუხოთ?!

**ტრაგიკოსი ქალი** (არ სურს ტექსტის გამეორებას მოწყდეს). სხვა დროს, ახლა არა!

**მაყვალა.** ჩვენ დაუსწრებელზე ვსწავლობთ, თეატრზე დაწერა დაგვაგაღეს. გეხვეწებით: რას ირჩევდით, სიცოცხლეს, თუ უკვდავებას?

**ტრაგიკოსი.** განა სიცოცხლე... (შეყოვნდება. ტრაგიკოსი ქალი ხელს აიქნევს, რა დროს ეს არისო) არა, განა უკვდავება სიცოცხლე არ არის?

**ნინელი.** არა, ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანური სიცოცხლე, როცა ყოველდღე შეჭყურებ, თუ როგორ ისხამს ხე ნაყოფს, როგორ იდგამს ბავშვი ენას, როგორ ღალატობს მეგობარი მეგობარს და მერე როგორ კვდება ადამიანი – უბრალოდ, ჩვეულებრივად.

**ტრაგიკოსი ქალი.** თქვენ გგონიათ, სიცოცხლე ჩვენია, ჩვენ გვეკუთნის?

**მაყვალა** (გაკვირვებული). აბა?

**ტრაგიკოსი ქალი.** აი, ამ სცენას.

**მაყვალა.** მერედა, რატომ აკეთებთ ამას. სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა. ვინ გავალებთ, ვინ გთხოვთ, სცენას შესწიროთ ის, რაც ერთხელ გეძლევათ?!

**ტრაგიკოსი.** ბედისწერაა, ყველაფერი ბედისწერაა!

ტრაგიკოსი ქალი. ჩვენს ხელთ არაფერი არ არის. ბედისწერა მბრძანებლობს ჩვენზე.

21.

ტრაგიკოსი. უკვდავება კი ის ფრინველია, ყოველ ღვთის გაჩენილს რომ ჩაუქროლებს, მხარზე კი მილიონთაგან ერთს დააფრინდება.

მარჯანიშვილი (შემოდის). მზად ვართ? დავიწყით?

იწყება რეპეტიცია. მიმდინარეობს ზემოთხსენებული სცენა. მარჯანიშვილი ყურადღებით ადევნებს თვალს მსახიობთა მოქმედებას. როდესაც ეპიზოდი მიაღწევს ურიელის სინაგოგისაკენ წასვლის სცენამდე, ივლითი – ტრაგიკოსი ქალი შედგება.

ტრაგიკოსი ქალი (მარჯანიშვილს). ამის მერე აღარ გაგვიკეთებია. ამის შემდეგ...

მარჯანიშვილი. ნუ შეწყვეტ, განაგრძე! მუსიკა! (ტრაგიკოს ქალს ოვალურ სკამზე შეახტუნებს.) აი, იქ ფანჯარაა, შენ აქედან ადევნებ თვალს ურიელის მოძრაობას. რას აკეთებს ურიელი? აი, ამ წუთში რას შვრება?

ივლითი. „აი, ის შედგა. იგი ყოყმანობს, საითკენ წავა?“

მარჯანიშვილი. შენ აქ ხარ, მაგრამ მისდევ, გადაიხნიქე, კიდევ, კიდევ გადაიხნიქე. შენ ხომ არ გინდა ურიელმა უარი თქვას იდეალებზე, იმაზე, რაც ძლიერ სწამს, რითაც სულღმულობს. შენ ასეთი ურიელი გიყვარს -- ეურჩებოდეს სქოლასტიკას... რას აკეთებს ამ წუთში?

ივლითი. „იგი შევიდა სინაგოგაში“.

მარჯანიშვილი. არა, არა! ჩვენ ყველამ ვიცით, რომ იგი სინაგოგისაკენ წავიდა, ვიცით, რომ შევა, მაგრამ როცა შენ ამას ამბობ, ისიც გაგვაგებინე, რას ნიშნავს შენთვის ურიელის სინაგოგაში შესვლა. მხოლოდ ის კი არ გამაგებინო, რომ სინაგოგაში შევიდა, მთავარია ის, თუ რას ნიშნავს ეს შენთვის?

ივლითი. „იგი შევიდა სინაგოგაში“.

მარჯანიშვილი. ეს ვიცით. მაგრამ ურიელის სინაგოგაში შესვლა შენთვის ხომ დრამაა – შენს სატრფოში ჰკლავენ მამაცს, გმირს. იქიდან მორჩილი გამოვა. ებრაელი კი მორჩილი არ შეიძლება იყოს. ურიელი თავისუფალი აზრის კაცია!

ივლითი. „აი, ის შედგა. იგი ყოყმანობს, საითკენ წავა? (შეჰკივლებს.) იგი შევიდა სინაგოგაში“.

მარჯანიშვილი. შენს სიცოცხლეში ყველაზე საშინელი, სასტიკი წუთი დადგა. შენს რჩეულში იმას ჰკლავენ, რისთვისაც იგი შეგიყვარდა, ამით შენც გკლავენ, ახლა, ამ წუთში ორივეს გკლავენ!

ივლითი (დრამატულად). „აი, ის შედგა. იგი ყოყმანობს, საითკენ წავა? (მბაფ-რად შეჰკივლებს.) იგი შევიდა სინაგოგაში!“ (სკამის ხარისხას გადაეკიდება).

მარჯანიშვილი. ჰო... (ერთხანს დუმს. ფიქრობს.) კიდევ ერთხელ. ყველანი სცენაზე. ურიელი, მისი დედა, ძმები, ივლითი. კიდევ ერთხელ გავიაროთ.

იწყებენ სცენას. მარჯანიშვილი არ აწყვეტინებს. მშვიდად შესცქერის. სცენა გასრულდება, შემსრულებლები მარჯანიშვილს მოუბრუნდებიან.

მარჯანიშვილი (ფიქრობს). ჰო... შეიძლება... მაგრამ რაღაც აკლია, რაღაც კიდევ უნდა.

რეჟისორი. თამაში უნდა.

მარჯანიშვილი. თამაში?

ტრაგიკოსი. კარგი გამოვიდა.

რეჟისორი. კარგია, ძალიან კარგია!

ბუნჩულა (შემოდის). ბატონო კოტე!..

მარჯანიშვილი. ამ სცენაში დე სილვას რა უნდა?!

22.

ბუნჩულა. არა, არაფერი. იმისთვის შემოვედი, რომ გითხრათ: დიდებული სცენაა.

ტრაგიკოსი ქალი. და ყველაფერ ამას გვჩუქნით თქვენ!

ბუნჩულა. თქვენ ხელახლა გვშობეთ ჩვენ.

ტრაგიკოსი. რა ვიქნებოდით, რომ არა თქვენ, რა ვიქნებოდით!

მარჯანიშვილი (ფიქრში წასული თითქმის არ უსმენდა) რა თქვით?

ტრაგიკოსი. რა ვიქნებოდით, რომ არა თქვენ, რა ვიქნებოდით!

მარჯანიშვილი (ღიმილით). და მაინც, ზოგიერთი თქვენგანი გამწირავს მე (მსახიობებს მოათვალიერებს.) პირველი რომელი აიღებს ქვას?

### მსახიობები იცინიან.

ტრაგიკოსი. რას ამბობთ, ბატონო კოტე!

ტრაგიკოსი ქალი. ღმერთმა გაგვიფაროს!

ბუნჩულა (გულიანად იცინის). რა კარგი იუმორი გაქვთ, ბატონო კოტე!

მარჯანიშვილი. რომელი? პირველ ქვას რომელი დამკრავს? თუ ყველა ერთად?

### მსახიობები ხმამაღლა იცინიან.

„ურიელ აკოსტას“ საფინანსო მუსიკალური აკორდი.

გედეონი. და აი, პრემიერის საღამოც. იმ საღამოს საქართველოში ორი დიდი მსახიობი დაიბადა. ერთს დაარქვეს ვერიკო, მეორეს -- უშანგი! მათი სიცოცხლე იმ დღეს დაიწყო. დღესაც გრძელდება.

მიტო (ირონიულად შესცქერის აღფრთოვანებულ დარბაზს). ჰო, ჰო... ახლა სულ ამაზე უნდა ვილაპარაკოთ?! მე ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. გამოგადგებათ -- ჩვენში თუ კბილები კარგად არ დააჭირე ერთმანეთს, ენა ურჩი კვიცივით გამოხტება და რა დღეში ჩაგაგდებს...

**გელეონი.** შენმა ენამ კბილების ალყა გაარღვია?

**მიტო.** მე ისეთი კლიტე დავადე... (სცენას დაჟინებით შესცქერის.) აი, შეხედე, რომ აქეს და ადიდეს, ახლა თავად არის საგონებელში -- როგორ მოაბას საქმეს თავი?

**გელეონი.** ჰო, რეჟისორი ძალიან დაბნეული ჩანს, ვგონებ, შეშინებულიც.

**მიტო.** აი, შედეგი ქება-დიდებისა. რად უნდა ამდენი ლაპარაკი -- დაასხი და დალიე, რა!

**გელეონი.** მერედა, სად – ყმაწვილკაცობის – მეგობრის ბუნჩულას კართან.

**მიტო.** აი, ძალა მოიკრიფა, კარზე აკაკუნებს.

**ბუნჩულა.** ოჰ, რა იყო, ბიჭო, ნალიაში გეძინა? (კარს აღებს.) დილა მშვიდობის!

**რეჟისორი.** სად გაიპარე წუხელის, რატო დაგვყარე ასე უპატრონო ლეკვებივით.

**ბუნჩულა.** ხო იცი, არც ნამეტნავი სმა მიყვარს და არც ნამეტნავი ლაპარაკი.

**რეჟისორი.** მაინც რა გვიყო, იმ ოჯახქორმა -- არ დაგვხოცა ლაპარაკით? სიტყვის ფაღარათი აქვს მაგ კაცს და უაქიმონ იქნება!

**ბუნჩულა.** მაგ სიტყვისთვის ოქროს გალიას ავიშენებ, ჩემსას რომ მოვრჩები მერე.

**რეჟისორი.** ოქროს გალიას? ეს რამ გაფიქრებინა!

**ბუნჩულა.** ხომ ასე ლაპარაკობს ყვარყვარეა, თუ ვინცხა ბედოვლათი?!

**რეჟისორი.** ჰო... ყვარყვარე! რა ვუყოთ ამ მაქსიმინს, რა ეშველება!

**ბუნჩულა.** ვინ მაქსიმინია?!

**რეჟისორი.** ჩვენი სანდრო, ყვარყვარეს ხო ეგ თამაშობდა!..

**ბუნჩულა** (შეშფოთებული). ხო არაფერი მოუვიდა?!

**რეჟისორი.** არ გაგიგია?! მაღალი სიცხეები, ფილტვების ანთება...

**ბუნჩულა.** ფარსავი ამბავი მეგონა, რა მოხდა მერე! რას ჩააცივდა კოტე მაგ „ყვარყვარე თუთაბერს“, მთელი თეატრი ეუბნება, არ ვარგაო.

**რეჟისორი.** კაი ერთი, ნუ იცით ახირება!

**ბუნჩულა.** არ გამოვა, ეგ საქმე, არ არი პიესა!

**რეჟისორი.** მაგას შენ ამბობ, კოტემ კილო დიდი ხანია საქართველოში ამნაირი რამ არ დაწერილაო.

**ბუნჩულა.** მთელი დასი წამოდგა და არ მოგვწონს ეგ პიესაო, იმან კილო, ისე გოუკეთა პოდრუჩკი კაკაბაძეს, გეგონებოდა, მოლიერმა შემოუარა თეატრში.

**რეჟისორი.** ჩვენი მოლიერი კაკაბაძეა, აბა, რავა გინდა!

**ბუნჩულა.** ოლოლე და ხვალეო, პრემიერა ხომ შაბათსაა. ყველაფერი იქ გამოჩნდება!

**რეჟისორი.** როგორ, რანაირად! მაქსიმინი ყვარყვარეს შაბათს კი არა, ბარე ორსამ კვირას ვერ ითამაშებს. არ უნდა ლაპარაკი!

**ბუნჩულა.** მეტი არაფერი დაკლებოდეს ჩვენს თეატრს!

**რეჟისორი (რალაცას დაეძებს).** აქ რო შავი ქლიავის ჩირი გქონდა, სად არი!

**ბუნჩულა.** შესანახი ჩირი ვინ მომაშავა!

**რეჟისორი.** არც პურის ნატეხი გაქვს? (ბუნჩულა უარის ნიშნად თავს გააქნევს.) აბა, რა ვქნა მე!

**ბუნჩულა.** მჭადი უნდა იყოს საღვაც...

**რეჟისორი.** ხო არ გადაირიე – ცივ მჭადს რა მაჭმევს!

**ბუნჩულა.** როცა გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია!

**რეჟისორი.** ბიჭო, ცივი მჭადი ვჭამო?!

**ბუნჩულა.** ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო!

**რეჟისორი.** სულ ყვარყვარესავით რომ მელაპარაკები, ეგ როლი გულში ხო არ ჩაგივარდა, ასე თუ მოგვწონს, ბარელამ დასწერე ჯვარი! მართალი ყოფილა ის კაცი – არ არი ეს მაქსიმინის როლი, მართლა შენზეა ზედგამოჭრილი.

**ბუნჩულა.** არ გინდა გამაგებინო, რაზე მელაპარაკები?!

**რეჟისორი.** ამისთანა მიუხვედრელი რა გითხარი. იმ კაცს ეგ როლი ისედაც შენთვის დაუწერია!

**ბუნჩულა.** ჩემთვის დაუწერია?!

**რეჟისორი.** რას მეთამაშები, იქ არ იყავი იმ დღეს, ჩილინგარაშვილის კაფეში ჩაის რომ ვსვამდით და პოლიკარპემ რო გითხრა, ყვარყვარეს როლი შენთვის დავწერეო?!

**ბუნჩულა.** კაკაბაძესთან ჩაი არასოდეს არ დამილევია.

**რეჟისორი.** შენ არ იყავი? აბა, ვინ იყო იქ? ხო, კაი, დავანებოთ მაგას თავი! გადასარევი ამბავი: კოტემ ვინცხა შავგულიძე მოიყვანა თეატრში, რიონის პირზე უნახავს, ნიჭითაა გაპენტილი, ალბათ, მაგას მისცემს ყვარყვარეს როლს. ნიჭიერია, მუშაობა სწყურია.

**ბუნჩულა.** აბა, ასე თქვა, რომ ეს როლი ჩემთვის დაწერა?

**რეჟისორი.** კი, ბატონო, მაგისტრის დავწერეო და...

**ბუნჩულა.** რა მითხარი ეს!

**რეჟისორი.** გული დამწყდა, რომ არ მისცა ეს როლი, მაგრამ ბატონ კოტეს ვერაფერი შევკადრე, ხმა ვერ ამოვიღეო. შავგულიძე არ გინახავს, ხო?

**ბუნჩულა.** რაფერ ეტყოდა, ვერ გაუბედავდა.

**რეჟისორი.** კაი ვაჟკაცია, დიდებული!

**ბუნჩულა.** როდის იყო მაგ ამბავი?

**რეჟისორი.** წინა კვირაში რიონის პირას უნახავს თურმე. გიორგი ქვია სახელად.

24.

**ბუნჩულა.** მე პოლიკარპეზე გეკითხები, კაკაბაძეზე. ვისთან თქვა, მაგისტრის დავწერო?

**რეჟისორი.** ე, ბიჭო, მომკალი და ესაა! ვერაფრით ვერ მოვიგონე. არა, ჩვენები

-- მსახიობები -- არ იყვნენ, ქალაქის ინტელიგენციიდან ვიღაც... გამახსენდება და გეტყვი, გამახსენდება.

**ბუნჩულა.** კი, მაგრამ, მე რომ მაგ სპექტაკლში მეწისქვილეს ვთამაშობ!

**რეჟისორი.** ჰოდა, დაანებე თავი, ეგერ არი შავგულიძე, ჯერ სცენაზე ფეხიც არ დაუდგამს, თამაში უნდა და ითამაშოს ყვარყვარე.

**ბუნჩულა.** კაცო, რა გამიწყალე გული მაგ შავგულიძეა თუ ვინცხა!

**რეჟისორი.** ნუ მასულელებ, მეწისქვილის როლი კიდო რა სახსენებელია!

**ბუნჩულა.** რატო ამბობ მასე. კარგი სახეა. მომწონს ძალიან.

**რეჟისორი.** არა, დასაწუნი არაფერი აქვს, მაგრამ ყვარყვარეს როლთან მაგას როლი ეთქმის?

**ბუნჩულა.** არა, რად უნდა ლაპარაკი, ყვარყვარესთან ვერ მივა, მარა...

**რეჟისორი.** ხომ უყურებ, რა არი ბედი, რაფერ მოაწყო ღმერთმა საქმე... მაქსიმინი ლოგინად ჩავარდა, და ამხელა როლი ახალმა კაცმა უნდა ითამაშოს.

**ბუნჩულა.** თუ იმ კაცს როლი ჩემთვის დაუწერია?

**რეჟისორი.** კი, შენთვის დაუწერია, მარა...

**ბუნჩულა.** როგორ, რანაირად, ოთხ-ხუთ დღეში ამხელა როლი როგორ ვითამაშო!

**რეჟისორი.** თუ ასე გულით გინდა, მასწავლებელს მიჰყევი, ხომ იცი, უთუოდ გაგიყვანს ნაპირზე.

**ბუნჩულა** (ყოყმანობს). ძნელია, ძალიან ძნელი, არ შევრცხვე, კაცო!

**რეჟისორი.** მიენდე, დაჰყე ნებას და... ა, აგერ არი როლი, მოგიტანე, სამ საათში რეპეტიცია იწყება. არ დააგვიანო. (აჩქარებულად გადის).

**ბუნჩულა** (ფიქრიანად). რა დაფუფქულივით გავარდა, მაგრამ თუ იმ კაცს ეს როლი ჩემთვის დაუწერია, აბა, რა უნდა ვქნა?

### დაბნელება.

**გედეონი.** მართლა ყოფილა სიბრძნე სიცრუეში!

**მიტო.** თქვენ ხომ ვერაფერს გაგიგებთ კაცი – როცა გჭირდებათ, სიცრუე სიგლაზე, უკადრისი საქმეაო, როცა გჭირდებათ, სიბრძნეაო.

**გედეონი.** ითქვა სიცრუე და გაკეთდა საქმე! არ არის სიბრძნე? შენ მაყვალასთან არაფერი შეგეშალოს! ეგ მშრომელი და წესიერი გოგოა.

**მიტო.** მაყვალა მიყვარს, რა უნდა შემეშალოს!

**გედეონი.** ფრთხილად იყავ, ბევრი გყვარებია!

ნათლება მარჯანიშვილის ოთახი.  
შემოდის გაღიებული, გაბადრული რეჟისორი.

მარჯანიშვილი. ჰო, რაო?

რეჟისორი. თქვენი დავალება შევასრულე, ძალიან შორს დაიჭირა, მაგრამ...

მარჯანიშვილი. კარგი კაცია. ნებას დაგყვებოდა, თუმცა... არა, არა!

რეჟისორი (შეშფოთებული). მოხდა რამე?

მარჯანიშვილი. მაგას დავანებოთ თავი. კარგად მუშაობს. მეწისქვილის როლი სანაქებო გამოსდის.

რეჟისორი (სასოწარკვეთილი, უღონოდ ეშვება სკამზე). მერე?

მარჯანიშვილი (ჰალსტუხს ინასკავს). ხომ მართალს ვამბობ? პასუხს რატომ არ მაძლევ, ხომ მართალს ვამბობ-მეთქი!

რეჟისორი (უღონოდ). აბა, მე რო გამგზავნეთ...

მარჯანიშვილი. ცოლოა კაცი, გამზადებული როლი წავართვათ?

რეჟისორი. არა, არ წავართვათ, მაგრამ...

მარჯანიშვილი. არ ივარგებს... ნამდვილად არ ივარგებს. **А знаешь, что, давай дадим трагик у эту роль!**

რეჟისორი (ლამის რეტდასხმული) რა?

მარჯანიშვილი. ჰო... სხვა არავინ... იმას დავანებოთ თავი, მისი მეწისქვილე მშვენიერია.

რეჟისორი. კი, მაგრამ...

მარჯანიშვილი. ჰო, მითხარი, ნუ გერიდება...

რეჟისორი. ეგ ხომ გმირია, ჰამლეტია... ურიელია და უცებ ყვარყვარე?

მარჯანიშვილი. ყოჩაღ, სწორად მსჯელობ... საქმეც ეგ არი... მაგიტომაც უნდა ვათამაშოთ ეგ როლი, ნიჭის სულ სხვა მხარეს გვაჩვენებს. მიდი, მიუტანე როლი და დაარწმუნე, რომ ასე სჯობია. **Падать, так лучше с коня!** რეპეტიცია დაიწყება ზუსტად პირველ საათზე. შაბათს ბათომში პრემიერა გვაქვს. როლი იქ დევს, როიალთან. აბა, შენ იცი, არ დამაღალატო, დროებით! (გადის).

რეჟისორი (უღონოდ მილასლასებს). შე დალოცვილო, მაგის დაყოლიებას ეხუმრები?! სულ გადაირევა! (უილაჯოდ.) რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე! **ტრაგიკოსი** (გამოდის). ცუდი სიზმარი უნდა გქონდეს ნანახი.

რეჟისორი. სიზმარი რად მინდა, სიგლახეს ცხადშივე ვხედავ.

ტრაგიკოსი. ადამიანის ფერი არ გადევს. შემოდი, ჩამოჯექი.

რეჟისორი. კარგი ფერი კაი ჭამა-სმამ და საამური ამბების გაგებამ იცის, ყოველდღე რო ამას გაგონებენ, ფერი კიდეც გქონდეს, გაგექცევა!

ტრაგიკოსი. ცუდი ამბის მაცნე ხარ!

რეჟისორი. არა და არ დავიშალებთ ნიჭთან ბრძოლა. ამ სიგლახეში დუნიაზე ვერავინ გვაჯობებს. ნიჭიერია? უნდა ჩაქოლო, მითუმეტეს, თუ რამე სიკეთე გაგიკეთა.

ტრაგიკოსი. იქნება დადგა დრო, გამაგებინო, რა ხდება?

რეჟისორი. მოკლავენ ამ ბუმბერაზ კაცს. მეტი რა ვითხრა!

ტრაგიკოსი. ვის? ვის უპირებენ მოკვლას!

რეჟისორი. რამდენი ბუმბერაზი კაცი გყავს საქართველოში!

ტრაგიკოსი. მოძღვარზე ამბობ?

რეჟისორი. აბა, სხვა ვინ გყავს, ვინ არი კიდევ?! ერთ დღეს აღარ გვეყოლება მარჯანიშვილი და რისი მაქნისიც ვიქნებით, ვნახავთ.

ტრაგიკოსი. დამაყენებ თუ არა საშველს!

რეჟისორი (გაზეთს გაშლის) უსმინე, რას წერენ „ზარია ვოსტოკაში“, როგორ გვიხარებენ გულს. (კითხულობს.) „კოტე მარჯანიშვილი თავისი მხატვრული მსოფლშეგრძნებით მთლიანად წარსულს ეკუთვნის“.

ტრაგიკოსი (არაფრად მიიჩნევს). უჰ, გული არ გადამიტრიალდა?

რეჟისორი (მიმოიხედავს, ხომ არავინ გვისმენსო, ხმადაბლა, ლამის ჩურჩულით). დაიმახსოვრე: წარსული ამათი მტერია!

ტრაგიკოსი. მარჯანიშვილი არავის მტერი არ არის. მარჯანიშვილი თეატრის რეკოლუციონერია.



**რეჟისორი.** ეს დულუჩავა კი, ყური უგდე, რას წერს გაზეთში: „მარჯანიშვილი მისდევს ესთეტიზმის გზას“. ახლა მითხარი მე შენ: რატომ წერს ამას? (ტრაგი-

26.

კოსი უხმოდ შეჰყურებს.) ესთეტიური ხომ იცი, რაც არი -- ლამაზი, მშვენიერი, ხო? ესთეტიზმი ბურჟუაზიისთვისაა დამახასიათებელი. მუშათა კლასს, გლეხობას ესთეტიზმი რაში სჭირდება? მუშათა კლასი -- დაბანჯგვლული, დაგლახავებული! ესეიგი, არც ესთეტიური მარჯანიშვილი სჭირ-დებათ! და კიდევ: რავა გგონია შენ: ცეკას გაზეთში იმნაირი რამე დაიბეჭდება, რაც მას არ უნდა? და მესამე: ესე იგი?!

**ტრაგიკოსი.** „ცუდ ამბებს ვხედავ, კვლავაც უნდა ცუდს მოველოდეთ“.

**რეჟისორი.** ახლა კიდევ მაქსიმინის ავადმყოფობა! თუ შაბათს პრემიერა არ ვითამაშეთ, მე ხომ ვიცი, რა ამბავიც ატყდება!

**ტრაგიკოსი.** ბათომში, ხომ?

**რეჟისორი.** კი, პრემიერა ბათომში უნდა იყოს, მაგრამ როგორ, რანაირად! მაქსიმინი ორი კვირა მინც ვერ დადგება ფეხზე. მოძღვარს დაუწყებენ რქენას: მშრომელ მასებს პრემიერას პირდება და არ აჩვენებსო, საბჭოთა მაყურებელს ატყუებსო...

**ტრაგიკოსი.** მთავრობა არ უნდა ავიტეხოთ. რამენაირად უნდა ვუშველოთ ამ გაფუჭებულ საქმეს.

**რეჟისორი.** უნდა ვუშველოთ, რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ... როგორ, რანაირად?

**ტრაგიკოსი** (ფიქრობს). რა მოხდა -- მაქსიმინი შეეცვალათ, სხვამ ითამაშოს ეს როლი!

**რეჟისორი.** შეიძლება, რატომაც არა, მაგრამ ვინ?

**ტრაგიკოსი** (ფიქრობს). ვინ? აბა, რა გითხრა.

**რეჟისორი.** არადა, აქ ამბავი ატყდება? მონიელებენ ამ კაცს!

**ტრაგიკოსი.** ბუნჩულა -- ალალი, გულუბრყვილო, მართალი...

**რეჟისორი.** გვქონდა ლაპარაკი კოტესთან -- არაო, მეწისქვილის როლი მზადა აქვსო... ძალიან კარგიაო...

**ტრაგიკოსი** (ფიქრობს). ჰო... აბა, ვინ შეიძლება... ვინ არი ისეთი... კაპია?! კაპია აბესაძეს რო ვუთხრათ!

**რეჟისორი.** აჰ, მწვანე ჯეჯილია ჯერ!..

**ტრაგიკოსი** (დაძაბული). რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?

**რეჟისორი.** ასე უცებ სპექტაკლში შესვლას ძალიან ნიჭიერი მსახიობი უნდა, ძალიან ნიჭიერი... არადა, ბათომში ყველა ბილეთი გაყიდულია... ხალხი ძლიერ ელოდება ახალ ქართულ პიესას, სპექტაკლს. აი, შენ რო მონიელებდე და მიეშველებოდე მოძღვარს...

**ტრაგიკოსი.** მე რა...

**რეჟისორი.** შენ შეგიძლია კოტეს უშველო. ამ სპექტაკლის შველა ძალიან ნიჭიერ კაცს შეუძლია!

**ტრაგიკოსი.** მე რა, მე რით უნდა ვუშველო!

**რეჟისორი.** თუნდაც იმით, რომ ყვარყვარეს რეპლიკები მიაწოდო მსახიობებს, რეპეტიცია გაარონიო... პრემიერა რამენაირად ითამაშო!

**ტრაგიკოსი.** ცოტა ახლოს მოიწი! (შუბლზე ხელს დაადებს.) არა, სიცხე არ უნდა გქონდეს! რატო გაბოდებს? მე მაგისტრის უნდა გავცდე?!

**რეჟისორი.** აჰ, მახლობლებს, ხომ? ესეიგი მახლობლებს, არა! შენ მხოლოდ დანიელი პრინცი უნდა ითამაშო, ურიელ აკოსტა უნდა ითამაშო, კროლი უნდა ითამაშო... იმერელმა კაცმა რომ ჩვენებური ნაცარქექია ითამაშო, არ გეკადრება!

**ტრაგიკოსი.** ვინ არი ნაცარქექია! ეგ შენი ყვარყვარე ღიდი თახსირი, გაიძვერა და ქვეშ-ქვეშა ვინმეა!

**რეჟისორი.** თუ არტისტი ხარ, მეფეც უნდა ითამაშო, ხელიც და ნაცარქექიაც. მარჯანიშვილმა იცის როგორ გაზარდოს არტისტი, მის გაზრდილებს კი არაფე-

27.

რი ახსოვთ, გარდა, საკუთარი თავისა!

**ტრაგიკოსი.** მაცალე, შენ შენს სათქმელს მეუბნები, თუ მოძღვრისას?

**რეჟისორი.** გლესკაცი რომ ითამაშო, რა მოხდება!

**ტრაგიკოსი** (თითქმის ყვირის). შენს სათქმელს მეუბნები, თუ მარჯანიშვილისას?

**რეჟისორი.** აგერ, როლი და არტისტი თუ ხარ, მიხედე საქმეს, გამოიყვანე თეატრი გასაჭირიდან.

**ტრაგიკოსი.** ჰაიტ, შე გლახა, შენგან მოტყუებულმა ამქვეყნად როგორ ვიარო!

**რეჟისორი.** ნუ გადაირევი!

**ტრაგიკოსი.** გადარევას გაჩვენებ მე შენ! (დაედევნება. რეჟისორი გარბის).

**რეჟისორი.** დადექი, მანდ დადექი!

**ტრაგიკოსი.** მითხარი, იმან გამოგვზავნა? მართალი მითხარი!

**რეჟისორი.** ეს არის ყვარყვარე თუთაბერის როლი. გადახედე და ორ საათში სარეპეტიციო დარბაზის კარი მშვიდად, აუჩქარებლად შემოალე. მორჩა! (მიდის).

### დაბნელება

სარეპეტიციო დარბაზი. მარჯანიშვილი მოუთმენლად ბოლთას სცემს.

**მარჯანიშვილი.** რაო, მაინც რა ვითხრა?

**რეჟისორი.** მოვა, ბატონო კოტე, უსათუოდ მოვა!

**მარჯანიშვილი.** რომ არ ჩანს? არ მინდაო?

**რეჟისორი.** არ უნდა, მაგრამ...

**მარჯანიშვილი.** ნახევარი საათი გავიდა.

**რეჟისორი.** ტექსტს ჩაუჯდა... მე მჯერა, ტექსტს ამუშავებს.

**მარჯანიშვილი.** ინტონაცია, ზუსტი ინტონაცია თუ იპოვა, ველარ გაექცევა.

**რეჟისორი.** სწორედ მაგას თუ დაეძებს.

**მარჯანიშვილი** (სახე გაუბრწყინდება). მოდის! შეხედე, როგორ მოდის! ეს უკვე ყვარყვარეა... (შემოდის ტრაგიკოსი) მოდი, მოდი!

**ტრაგიკოსი.** მოვედი, ბატონო კოტე, მაგრამ...

**რეჟისორი.** ნახევარი საათი დაავიანე, ასე ჩავწერ სარეპეტიციო დღიურში.

**ტრაგიკოსი** (რეჟისორს საყვედურით გადახედავს. მარჯანიშვილს). საგონებელსა ვარ... ტექსტს ჩაუვლრმავდი და... ეს ყვარყვარე ერთი შეხედვით ჩანს უბრალო, თორემ...

**რეჟისორი.** მოსწონებია თურმე!

**მარჯანიშვილი.** თუ შეგიძლია, ყვარყვარეს რომელიმე ტექსტი მითხრა, ნებისმიერი ტექსტი, გნებავს დასაწყისში, გნებავს, ბოლოში, მინდა ინტონაცია მოვისმინო.

**ტრაგიკოსი.** კი, ბატონო.

**მარჯანიშვილი.** აი, იქ დადექ... რომელიც გენებოს, ის ტექსტი.

**ტრაგიკოსი.** ახლავე! (გაირინდება.) „ენის მასალით ქალთან კაცი პირს ყოველთვის მოიბან. ეს ვერ გამიგია, ზოგიერთი კაცი სირცხვილით მიწაში რომ ჩაძვრება. სირცხვილს რომ სჭამ კაცი, თუ ვარგხარ, მაშინ თავი უფრო მაღლა უნდა ასწიო. ასეა... ახლა ისეთი რამე უნდა მოვიგონო, რომ მისი თეთრი პერანგი ხელში დავაფრიალო... უკ, რა ქალია! ცეცხლივით არ შემომმენტო! რა დროს ნაცრის ქექვა! გათავდა, ყვარყვარე შენთვის თბილი ნაცრის ქექვა! ერთხელ დავბადებულვარ და ერთხელ უნდა მოვკვდე! ჭკუით, ყვარყვარე თუთაბერო! მართალია, ერთხელ დაიბადე, მაგრამ... მეორეჯერ კი არ დაიბადე-ბი... მოითმინე, ფეხის ერთი გაკვრით ბურთი ლელოზე ვის გაუტანია. ოო, ასეა...“

**მარჯანიშვილი** (ერთხანს დუმს, ფიქრობს). კარგია... კარგია... მთავარი ისაა,

28.

რომ ინტონაცია თითქმის ნაპოვნი გაქვს. მხოლოდ... ოღონდ... უფრო რბილად, უფრო უბრალოდ... „ყვარყვარე“ სხვანაირია, მას არაფერი აქვს საერთო რომანტიულ თეატრთან... ამიტომ უბრალოდ, ისე ვცადოთ, როგორც შენი მეზობლები ლაპარაკობდნენ იმერეთში.

**ტრაგიკოსი.** ჰო... გასაგებია. „ენის მასალით ქალთან კაცი პირს ყოველთვის მოიბან!“

**შემოდის ბუნჩულა მსახიობი. ტრაგიკოსის ხმა აღარ გვესმის.**

**ვხედავთ მარჯანიშვილის და ტრაგიკოსის მოძრაობას.**

**ბუნჩულა გაოგნებული შესცქერის რეჰეტიციას.**

**რეჟისორი** (ბუნჩულასთან მიიბრუნს, ცდილობს კულისებში გაიყვანოს). აქეთ მოდი! (ბუნჩულა თავს გაიქნევს, ხელს ნუ მიშლიო.) რაღაც უნდა გითხრა, მოიწი აქეთ!

**ბუნჩულა.** რა არი, ეს, ამას რას ვხედავ!

**რეჟისორი.** ჩამოიწიე აქეთ ცოტა, ყველაფერს გეტყვი.

**ბუნჩულა.** რაღა უნდა მითხრა მე შენ, რა გაქვს სათქმელი!

**რეჟისორი.** მოიწი-მეთქი, რა მოგივიდა, შე კაცო!

**ბუნჩულა.** რატომ მიყავი ეს საქმე, რატომ გამოძვყაყე თეატრში, დამცინე, ხომ?

**მარჯანიშვილი** (ბუნჩულას დაინახავს). აი, მეწისქვილეც მოვიდა, მოდი, მოდი, მივეხმაროთ ყვარყვარეს შემსრულებელს!

**ბუნჩულა მარჯანიშვილისაკენ მორჩილად გაემართება.**

**სცენაზე შუქი ქრება.**

**გედეონი.** გამოძვრნენ, მოახერხეს, აჯობეს დროს, თავს! ახლა კი თბილისისაკენ. გასტროლები თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრში.

**მიტო** (ქირქილებს). ამათ იცი, რა უნდათ? რუსთაველის თეატრი აქვე დაამარცხონ – თეატრიდან 300 მეტრის მანძილზე. სურთ თბილისი დაარწმუნონ, რომ ნამდვილი თეატრი ქუთაისშია. თბილისში არაფერი კეთდება, რუსთაველის თეატრში მხოლოდ წითელ ბაირალებს აფრია-ლებენ. შენ იცი, ახმეტელი ვინ არი?

**გედეონი.** ვიცი, რატომაც არა!

**მიტო.** ძალიან მაგარია, ნაღდი ქართული ჯიგარი...

**გედეონი.** ახმეტელმა ხომ თეატრიდან გამოგაგდო?

**მიტო.** არ უნდა გამოვეგდე? სპექტაკლის წინ დალევა იქნება? სად დაიბადე, სად გაჩნდი ეგეთი ქაჯი! მაგის ქართულ ჯიგარს ვენაცვალე -- ერთი თვის მერე მომნახა, მობრძანდი, შენი ადგილი დაიკავეო, მააშ, მოვიდა და მითხრა: დაისაჯე და გეყოფაო.

**გელეონი.** მერე რატო არ დაბრუნდი? ვინ დაგიშალა!

**მიტო.** კოტემ ულუკმა-პუროდ დარჩენილი მიმილო, შემიფარა, ახლა მივატოვო?

**ჟორჟიკაშვილი** (გალიზიანებული შემოდის). რა არის ეს, რას ჰგავს ეს! რა დემონსტრაციებს აწყობენ აქ. გასტროლებზე ჩამოვიდნენ? კარგია, ეს კიდევ ერთხელ გვიდასტურებს: ჩვენი პარტია და მთავრობა, როგორ ზრუნავს ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის, რომელიც ჯერ ცარიზმმა, მერე კი ბედოვლათმა მენშევიკურმა ხელისუფლებამ გადაგვარებამდე მიიყვანა, მაგრამ ქუთაისის თეატრი რატომ თამაშობს ნაცვლად 20 საგასტროლო სპექტაკლისა, ორმოცდამეთორმეტე სპექტაკლს? რა ამბავია, რა ხდება!?

**ცისფერთვალეა.** გაიხედე, ამხანაგო იქით!

**ჟორჟიკაშვილი.** ჰო, გავიხედე, დგას ხალხი... რატომ დგას, საქმე არა აქვს?

29.

**ცისფერთვალეა.** ბილეთები უნდათ ჩვენს სპექტაკლზე, გამთენიის ხანს მოდიან, იქნებ, ბილეთი ავიღოთო და რა ვქნათ ახლა ჩვენ!

**ჟორჟიკაშვილი.** ხალხი! იქ, ქუთაისში ჩვენი მშრომელები თეატრალური ხელოვნების გარეშე რომ დატოვეს! ქუთაისის საბჭოური სულისკვეთებით აღტკინებულ მოსახლეობას არ უნდა ესთეტიკური მომსახურება? რატომ უკუაგდებთ ქუთაისელი მშრომელების სრულიად კანონიერ ინტერესებს!

**ცისფერთვალეა.** ვიცი, ქუთაისელი მშრომელების დარდით ვერ დაიძინე წუხელ, მაგრამ...

**ჟორჟიკაშვილი** (ყვირის). ვის უბედავთ, ამხანაგო, ასეთ შეპასუხებას!

**კომიკოსი** (შემოდის, ლაპარაკობს ფრანგულად). კომუნისტები მსახიობს ასე რატომ ელაპარაკებიან? საქართველოს კომუნისტური პარტია შემოქმედებით ინტელიგენციას ებრძვის?

**ჟორჟიკაშვილი** (შეკრთება). ვინაა ეს კაცი!

**ცისფერთვალეა** (დაიბნევა). ეს... ეს ამხანაგი ჟორჟი...

**კომიკოსი.** ჟორჟ ფრანსუა ოლიანი – საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებში.

**ცისფერთვალეა.** რაცხა გვარი თქვა, საფრანგეთის პარტიიდან ვარო...

**ჟორჟიკაშვილი.** ჰოო... სასიამოვნო...

**კომიკოსი.** მე ჩამოგიტანეთ ფრანგი კომუნისტების სალამი. გთხოვთ განმიმარტოთ: რატომ ელაპარაკებიან კომუნისტები მსახიობებს ასე?

**ცისფერთვალეა.** სალამიო, მეც არ ვიცი კარგად. არტისტებს ასე გლახად რატომ ელაპარაკებითო...

**ჟორჟიკაშვილი.** არა, ჩვენ ისე... მეგობრულად...

**კომიკოსი.** ადგილობრივი კომუნისტები მსახიობებს, შემოქმედებითი ინტელიგენციას, უხეშად ელაპარაკებიან? ეს საყურადღებოა!

**ჟორჟიკაშვილი** (კვანტალიანს). კიდევ გვითხრა რაღაც.

**ცისფერთვალეა.** დიდი ფრანგული მეც არ ვიცი, მაგრამ ეს კი გავიგე, არტისტები უნდა გიყვარდეთო. და კიდევ: აქ ახლო-მახლო კარგად სადილობა სად შეიძლებაო.

**ჟორჟიკაშვილი.** საქართველოს კომუნისტური პარტია თბილისის საქალაქო კომიტეტის სახით მიესალმება ბურჟუაზიის უღელქვეშ მგმინავი ფრანგი ხალხის კომუნისტური პარტიის ძლიერ ბირთვის – (კომიკოსს ხელს ართმევს.) ნიშნად სოლიდარული გრძნობებისა, მე გთხოვთ ერთად ვისადილოთ. (კომიკოსს ხელს გაუყრის. მიჰყავს).

**ცისფერთვალება.** ამხანაგო, ამხანაგო, საით?... რაღაცას მეუბნებოდა მოძმე კომპარტიის წარმომადგენელი.

**ჟორჟიკაშვილი.** მეგობრული კომუნისტური სადილი გვაქვს.

**ცისფერთვალება.** კომუნისტური? წაით, წაით, კარგად ბრძანდებოდეთ!

**ჟორჟიკაშვილი.** თქვენც გეპატიჟებით, წამობრძანდით, ჩვენ არტისტებთან მეგობრობა გვაქვს, კოლექტიურად ვისადილოთ, ხომ უნდა გავიგოთ, რას მეტყვის ამხანაგი... ამხანაგი ჟორჟი!

**აპლოდისმენტები ქარიშხალივით შემოიჭრება. სპექტაკლით მოხიბლული ხალხი მხურვალედ უკრავს ტაშს მსახიობებს.**

**გვესმის შედახილები:**

- დიდება მარჯანიშვილს!
- ვერიკო, ვერიკო!

30.

-- უშანგი, უშანგი!

**ჟორჟიკაშვილი** (აღშფოთებული). ეს რა არის, რას გავს ეს!

**კომიკოსი** (აღტაცებული). ექსელანს, ექსელანს!

**ჟორჟიკაშვილი.** ეს ხომ მშობლიური პარტიის და მთავრობის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციაა!

**ცისფერთვალება** (ჟორჟიკაშვილს). ნუ მიაქცევ ყურადღებას, ამხანაგო, წავიდეთ, კომუნისტურია, თუ რაცხაა, სადილი მაინც სადილია.

**ჟორჟიკაშვილი.** მე ამას ასე არ დავტოვებ!

**კომიკოსი.** ექსელანს, ექსელანს!

**ჟორჟიკაშვილი.** გავეცალოთ ამ უნიჭო საქმოსნებს, წავიდეთ აქედან! (კომიკოსს) ამხანაგო საფრანგათის მოძმე კომპარტიის წარმომადგენელო, იცო-დეთ, ყოველი ტაში, ხელის ყოველი შემოკვრა, პარტიასა და მთავრობაზე გაწილი სილაა!

**კომიკოსი** (გაცეცხლებული მოუბრუნდება). რას ჩურჩუტებ შენ, ვინცხა ხარ, ვინ არის უნიჭო, ვის აყენებ შეურაცხყოფას, სულელი ყოფილხარ ამხელა კაცი!

**ჟორჟიკაშვილი** (დაბნეული ცისფერთვალებას). ეს რა არი – აბა ფრანგიაო?!

**ცისფერთვალება.** ფრანგი ვარო არ გვითხრა? ნამდვილად ფრანგია, ეს რომ ქართველი იყოს, გაშლილ სუფრას ჩაშლიდა?

**კომიკოსი.** ჰაიტ, ვინ არი უნიჭო!

**ჟორჟიკაშვილი.** მილიცია, მილიცია! სად არის მილიცია! ქუთაისის თეატრს შეფარებული აფერისტების ბანდა აღმოვაჩინე!

**ცისფერთვალება** (კომიკოსს). წამო, წამო, ეს რა სადილი დამაკარგვინე! (ჟორჟიკაშვილს). რას გაჰყვირი, ეს ქვეყანა შენი კი არ არი. ამ ქვეყნის პატრონები ჩვენ ვართ და ჩვენ ვიქნებით! (გარბიან).

**ჟორჟიკაშვილი.** მილიცია, მილიცია-მეთქი, თაღლითები დათარეშობენ ქალაქში (მისდევს).

**ხალხს ხელში ატატებული მოჰყავს ტრაგიკოსი ქალი და ტრაგიკოსი.**

**შეძახილები:**

- გაუმარჯოს მარჯანიშვილს!
- დიდება ქართულ თეატრს!
- დიდება ქართველ მსახიობებს!

**ტრაგიკოსი ქალი.** რუსთაველის თეატრისაკენ წავიდეთ, იქ ჩავიაროთ!

**ტრაგიკოსი.** არა, არა, ნუ იზამთ ამას, ჩამომსვით!

**რეჟისორი** (ხალხს გადაუდგება). საკმარისია, მაღლობელი ვართ, დიდი მაღლობა!

**ტრაგიკოსი ქალი** (რეჟისორს გაფრთხილების ინტონაციით). გაატარე ხალხი, ჩამოდექი!

**შეძახილები:**

- გაუმარჯოს ქუთაისის თეატრს!
- გაუმარჯოს მარჯანიშვილს!
- გაუმარჯოს საქართველოს!

**მაყვალა და მიტო ამ აღფრთოვანებულ ხალხში ურევია,  
მათთან ერთად მოდიან**

**მაყვალა** (ანჯაფარიძეზე). აუ, რა მაგარია!

**მიტო.** ეგ მაგარი კი არი, მაგრამ ახლა ისინი იკითხე! რა დაუჯდება თეატრს ეს გამარჯვება?!

31.

**მაყვალა.** მთავარია ჩვენ გავიმარჯვეთ, (მიტოს ეხვევა) ნამდვილი გამარჯვებაა...

შეხე, რა ხდება!

**მიტო** (მაყვალას მოხვევით ისარგებლებს, თავადაც მოეხვევა და ძლიერ კოცნის).

ამარჯვებას გილოცავ, ეს სიხარული ხომ ჩვენც გვეკუთვნის.

**მაყვალა** (გაბრაზებული). ეს რა ჰქენი, მიტო, ეს რა გააკეთე!

**მიტო.** განა რა ვქენი, მიყვარხარ და გაკოცე. ჰა, რა მოხდა?

**მაყვალა** (სახეს დაუჭერს). გიყვარვარ?

**მიტო.** შენ, მხოლოდ შენ! ასე არავინ მყვარებია, არასოდეს! (მაყვალა მიიზიდავს, ჰკოცნის) ეს კოცნა მე მეკუთვნის, თუ თეატრის გამარჯვებას?

**გადიან.**

**რეჟისორი** (ნაღველმორეული შესცქერის მიმავალ ხალხს). ეს უკვე ბედისწერაა, ჩვენ ვერაფერს გავხდებით!

**მეორე მოქმედება**

**იგივე გარემო. გედეონი და მიტო**

**გედეონი.** ესეც ასე! მარჯანიშვილებმა მოხიბლეს თბილისი და კოტემ შეჰქმნა ჯგუფი, რომელსაც ევალეობდა თეატრის ქუთაისიდან თბილისში გადმოყვანაზე მოლაპარაკება რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან.

**მიტო.** აქედან ისე გამოვა რამე, როგორც არწივის ფრთებიდან კომშის მურაბა.  
**გელეონი.** ნუ, ნუ დასჩხავი-მეთქი თეატრს!

**მიტო** (ხითხითებს). მე რა, მე რა შუაში ვარ. რუსთაველის თეატრში ლომებს ძილი ჯერაც არ მორევათ. დღევანდელ საქართველოში ახმეტელი პირველი კაცია, ხელისუფლებაში უმაგისოდ ჩიტი ვერ შეფრინდება და თუ რამენაირად შეაღწია, მორჩა, სამარეც იქ ელის. მამ!

**გელეონი.** მარჯანიშვილის მსახიობები ამიერკავკასიის მთავრობის მეთაურის -- შალვა ელიავას სათათბირო ოთახში სხედან და ელიან როდის შემოვა ამხანაგი შალვა. აი, ისიც!

**ელიავა** (შემოდის). მივესალმები ქართული საბჭოთა თეატრის მუშაკებს. (ტრაგიკოს ქალს.) თქვენ სადღაც მინახინართ – მომხიბლავად ილიმით... დიახ, ქართველი საბჭოთა ახალგაზრდობა ილიმის, ესეიგი ცხოვრება წინ მიდის.

**ტრაგიკოსი.** ამხანაგო შალვა, მე დავალბებული მაქვს, გადმოგცეთ ჩვენი თეატრის კომუნისტური სალამი და მოგახსენოთ, რომ ჩვენ ქართულ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებას ვქმნით ქალაქ ქუთაისში.

**ელიავა.** ძალიან კარგი, კიდევ ერთხელ მოვესალმებით კულტურის ფრონტის მუშაკებს და ბოლშევიკური პირდაპირობით გეტყვით, რომ სოციალიზმის მშენებელი ხალხის თეატრი ვერ შეიქმნება რაბინების ღავლავით, ან წმინდა ქალწულთა აპოლოგეტობით. კომუნისტური პარტია თეატრისაგან მოითხოვს სოციალიზმის შეუდრეკელ მშენებელთა – მუშათა და გლეხთა სახეებს, იმის მაღალ დონეზე ასახვას, თუ როგორ ვამარცხებთ კულაკობას. გთხოვთ, განაგრძეთ!

**ტრაგიკოსი** (თავს უხერხულად გრძნობს). ჩვენი მაყურებელი კმაყოფილია.

**ელიავა.** ბურჟუაზიული ესთეტიკა ხალხს ატყუებს. თქვენ ატყუებთ საბჭოთა მაყურებელს. მუშურ-გლეხური მაყურებელი მეტ პატივისცემას იმსახურებს. იგი დიდხანს არ მოგიტმენთ.

**ტრაგიკოსი ქალი.** ამხანაგო ელიავა, რატომ არ გსურთ მოუსმინოთ კულტურის ფრონტის მუშაკებს!

**ელიავა.** ჩვენ, კომუნისტებს, პირდაპირი, გულახდილი საუბარი გვჩვევია. ახლა კი გისმენთ.

**ტრაგიკოსი.** ჩვენ აქ მოვედით იმისთვის, რომ... თეატრს სურს ბინა დაიდოს თბილისში...

**ელიავა.** მე ეგ საკითხი არ მეხება. მე ამიერკავკასიის მთავრობის მეთაური ვარ და არა საქართველოსი. თქვენ უნდა მიმართოთ ამხანაგ კახიანს.

**ტრაგიკოსი ქალი.** თქვენ არ გსურთ იზრუნოთ ქართული საბჭოთა...

**ელიავა.** მიბრძნდით ამხანაგ კახიანთან!

**ტრაგიკოსი ქალი.** თქვენ ბოლშევიკური პირდაპირობით არ ამბობთ სათქმელს...

**ელიავა.** მე ბოლშევიკური პირდაპირობით გიცხადებთ, რომ თქვენი თეატრი მშრომელ მასებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული სულისკვეთებით განაწყობს. გასტროლებს მართავთ რევოლუციური რუსთაველის თეატრის გვერდით – საოპერო თეატრში და გსურთ დაჩრდილოთ სოციალიზმის რელსებზე შემდგარი თეატრის წარმატებები, აწყოთ დემონსტრაციებს, ხელში აყვანილი გამოჰყავხართ ხალხს, თითქოს რევოლუციის ბელადები იყოთ!

**რეჟისორი.** ჩვენ ვემსახურებით მშობლიურ პარტიას და ხელისუფლებას, ჩვენ ვართ ბოლშევიკური ხაზის უდრეკი გამტარებლები თეატრის ფრონტზე. მარჯანიშვილი და რევოლუცია განუყოფელია!

**ელიავა.** მარჯანიშვილს წარსულისათვის მადლობას ვეტყვით, სადღეისოდ კი პასუხს მოვთხოვთ. ეს დემონსტრაციები, რეჟისორის, მსახიობების ხელში ატატება, შეძახილები, ბურჟუაზიული თეატრის დამახასიათებელი ნიშანია და მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. კაპიტალისტებს სჩვევიათ გახრწნილი გვამების ხელში ატატება, რომ მოხერხებულად დაასვან თავზე მუშათა კლასს, გლეხობას.

**რეჟისორი.** არა, ბატონო, არა! ჩვენ საბჭოური...

**ელიავა** (აწყვეტინებს). მე რომ უფლება მქონდეს, თქვენს თეატრს დავხურავდი.

**ტრაგიკოსი** (სრულიად შეცვლილი, მზერაანთებული). როდის, როდის, როდის!

**ყველა ტრაგიკოსს მიუბრუნდება. ის კი სივრცეს შესცქერის.**

**ტრაგიკოსი ქალი** (ტრაგიკოსს ეხვევა). რა მოგდის, შემომხედე!

**ტრაგიკოსი.** როდის, როდის, როდის! წამიყვანეთ, გამიყვანეთ აქედან!

**ტრაგიკოსი ქალი** (ელიავას). ეს ქვეყანა თქვენი არასდროს არ იქნება, არასდროს. წავიდეთ! (ტრაგიკოსს ლამის წამოაყენებს, გადიან.) თქვენ არ იქნებით, ჩვენი თეატრი იქნება, ჩვენ ვიქნებით, ესეც იქნება...

**ელიავა.** ერთი წუთით, ამხანაგო ჭავჭავაძე!

**ტრაგიკოსი ქალი.** მე ჭავჭავაძე არა ვარ, და თქვენთვის არა გვცალია!

**დაბნელება.**

**ნათდება კახიანის კაბინეტი.**



**კახიანი** (თანაშემწეს კარნახობს) „საიდუმლო, მოსკოვი, კრემლი. საქართველოში იმდენი ინტელიგენტია, რომ მათ შეუძლიათ მოემსახურონ არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ ამიერკავკასიას..“

**თანაშემწე.** ვერ ვასწრებ.

**კახიანი.** სადაცაა არტისტები მოვლენ, იჩქარე! (განაგრძობს კარნახს.) „ამიერკავკასიას და კიდევ ჩრდილოეთ კავკასიასაც. ვიდრე ჩვენს წინაშე საბჭოთა საქართველოში ღვას ეს მრისხანე ციფრი -- 120-130 ათასი თავად-აზნაურობა,

კადრის ოფიცრობა, ვაჭრები და სხვები, დარწმუნებული ვერ ვიქნებით იმაში, რომ ეს საწვავი მასალა არ ააღდება ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას -- საერთაშორისო, ან შიდა გართულების დროს. ამიტომ საქართველოს საგანგებო კომისია ადგენს, რომ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირები, როგორც პროლეტარიატის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობნი და როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების შეურიგებელი მტრები, დასჯილი იქნან უმაღლესი სასჯელით -- დახვრეტი!“ მორჩა, ხელმოწერა: საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მიხა კახიანი. საჩქარო! მგონი, არტისტებიც მოვიდნენ. (შემოდინ ტრაგიკოსი ქალი, ტრაგიკოსი, კომი-კოსი. სამივეს გულთბილად ართმევს ხელს). სალამი, სალამი, სალამი! გთხოვთ, მობრძანდით. აი, აქ დაბრძანდით. მეც თქვენთან ერთად ჩამოვჯდები. ხომ შეიძლება? რა მოხდა, ამხანაგებო, რატომ ხართ ასე მოლუშულნი? ვინმემ გაწყენინათ?

**ტრაგიკოსი.** ჩვენ ქუთაისში შევქმენით ახალი საბჭოთა თეატრი. ჩვენ ვაშენებთ ქართულ საბჭოთა კულტურას. კოლექტივი ახალგაზრდულია. ახალგაზრდებს სურთ თან თეატრალურ კულტურას ემსახურონ, თან ისწავლონ, მიიღონ სხვადასხვა სპეციალობა.

**კახიანი.** კარგია, ყოჩაღ!

**ტრაგიკოსი.** დიახ, მათი სურვილია ჩადგნენ სოციალიზმის მშენებელთა რიგებში. ქუთაისში კი, მოგეხსენებათ, უმაღლესი სასწავლებლები არ არის.

**კახიანი.** იქნება, მალე გაიხსნება.

**ტრაგიკოსი.** ჩვენ გვჯერა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ქუთაისს დიდ კულტურულ ცენტრად გადააქცევს, მაგრამ...

**კახიანი.** დიახ, ასე იქნება, ამიტომ ახლა თქვენი ახალგაზრდები წამოვიდნენ თბილისში, დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიას. რა უშლის ხელს ახალგაზრდობას (ქალაქს და კალამს მოიმარჯვებს.) ამგვარი მისწრაფების ასრულებაში?

**ტრაგიკოსი.** თეატრი?

**კახიანი.** მაშ, თეატრი? თეატრი უშლის? (იწერს).

**ტრაგიკოსი.** წამოვიდეთ? თეატრს რა ვუყოთ?

**კახიანი.** თქვენ დარდი ნუ გაქვთ, იქ სხვა ახალგაზრდებს მივიყვანთ. (წერს.) მაშ ასე: ახალგაზრდული გაწვევა თეატრში. ჩვენ ამის ორგანიზაციას კარგად ვაკეთებთ. როცა კადრები გვჭირდება მრეწველობაში, ვიწყებთ ახალგაზრდულ გაწვევას. თუ გვჭირდება სოფელში, ვიწყებთ ახალგაზრდულ გაწვევას სოფელში. აი, ამასწინათ მწერალთა კავშირში მოვაწყეთ ახალგაზრდული გაწვევა. იცით, რამდენი საბჭოთა მუშა, გლეხი მოვიდა მწერლობაში? მითხარით, რამდენი კაცი გჭირდებათ თეატრში? (დუმილი.) აჰ, თქვენ ქალებიც დაგჭირდებათ... ტაკ... ქალები... ესეიგი კომკავშირელი დამკვრელების მობილიზაცია... ასე რომ, თქვენ წამოდით! (დუმილი.) კიდევ? სხვა საკითხიც გაქვთ?

**ტრაგიკოსი ქალი.** ამხანაგო მიხეილ, თქვენ ვერ გაგვიგეთ. ქუთაისის თეატრის თბილისში გადმოყვანის საკითხს ვსვამთ.

**კახიანი.** ქუთაისის თეატრს თბილისში რა ესაქმება?

**კომიკოსი.** ჩვენ ვთხოვლობთ მთელი თეატრი გადმოგვიყვანოთ თბილისში.

**კახიანი.** რატომ უნდა გადმოხვიდეთ თბილისში?

**ტრაგიკოსი ქალი.** იმიტომ, რომ ჩვენ ვქმნით ნამდვილ თეატრალურ ხელოვნებას. ასეთი თეატრი თბილისში უნდა იყოს!

კახიანი (ოთახში ბოლთას სცემს). ამხანაგებო, ქუთაისს მალე გადავაქცევთ დიდ ინდუსტრიულ ცენტრად, თუ თქვენ არ გსურთ იქ დაბრუნება, თქვენი ნებაა, ნუ

34.

წახვალთ, ჩვენ მოვნახავთ ახალგაზრდა კადრებს, ისინი მოემსახურებიან ქუთაისის მუშათა კლასს. ხოლო თბილისში გვაქვს კარგი თეატრი. ჩვენ კმაყოფილი ვართ რუსთაველის თეატრით.

**ტრაგიკოსი.** ჩვენს თეატრში რა არ მოგწონთ? რომელ სპექტაკლს იწუნებთ?

**კახიანი.** არცერთი სპექტაკლი არ მინახავს.

**ტრაგიკოსი ქალი** (აგრესიულად). ვერ გავიგე -- ჩვენი თეატრის არცერთი სპექტაკლი არ გინახავთ?

**კახიანი.** დიახ, არცერთი სპექტაკლი არ მინახავს.

**ტრაგიკოსი ქალი.** რატომ არ გინახავთ ჩვენი თეატრის სპექტაკლები?

**კახიანი.** ძალიან დაკავებული ვარ. თქვენ იცით, რა ხდება? ტროცკისტები აწყობენ საბოტაჟს...

**ტრაგიკოსი ქალი** (ბრაზმორეული აწყვეტინებს). ვინ მოგცათ თქვენ, საქართველოს პირველ პირს, უფლება არ ნახოთ ახალი საბჭოთა თეატრის სპექტაკლები?

**კახიანი** (დაბნეული). ამხანაგო...

**ტრაგიკოსი ქალი.** მე ვერ ვიქნები თქვენი ამხანაგი, მე ვერ ვიქნები იმ ადამიანის ამხანაგი, რომელიც პირნათლად არ ასრულებს კომუნისტური პარტიის წევრის მოვალეობას, მითუმეტეს, თუ იგი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელია.

**ტრაგიკოსი.** საქართველო, საქართველო, მთელი საქართველო! (ტრაგიკოს ქალს თითქმის გაჰყავს).

**ტრაგიკოსი ქალი** (მობრუნდება). იმის გამო, რომ ახმეტელის მეგობარი ხართ, რუსთაველის თეატრის გარდა, ვერაფერს ხედავთ ქვეყანაში!

**კახიანი.** ეს უპასუხისმგებლო განცხადებაა!

**ტრაგიკოსი ქალი.** წავიდეთ, ამხანაგებო, ჩვენ ამ კაცთან არაფერი გვესაქმება!

**გადიან.**

საოპერო თეატრის ფოიე. მარჯანიშვილი, ბუნჩულა, თამარი, რეჟისორი, ცისფერთვალება, ელენე, კომიკოსი კახიანთან წასულ მეგობრებს ელოდებიან. მარჯანიშვილი მოუსვენრად მიმოდის.

შემოდინ ტრაგიკოსი ქალი, ტრაგიკოსი, კომიკოსი – დაღვრემილნი, გულგატეხილნი. შეკრებილნი ყურადღებით აკვირდებიან მეგობრებს. პასუხს მათს სახეებზე ამოიკითხავენ.

**მარჯანიშვილი.** გასაგებია.

**ღუმელი.**

**კომიკოსი.** დავანებოთ ბატონო, თავი ამ თბილისს! რა ვქნათ ახლა, თავს ხო არ მოვიკლავთ!

**ბუნჩულა.** არ მოგბეზრდა ქუთაის-თბილისს შუა წანწალი?!

**შეძახილები:**

-- მომბეზრდა და დავიღალე!

- აღარ შემიძლია მეტი, ცოლ-შვილი აქ მყავს, მე იქა ვარ!
- არა, მორჩა, დამთავრდა!
- მე ქუთაისში ველარ წავალ!
- ნუთუ, არ უნდა დაგვადგეს საშველი!

**მარჯანიშვილი.** გასტროლებს ვამთავრებთ – გამოსათხოვარი სალამო გვაქვს.  
**ტრაგიკოსი ქალი.** მაგრამ არის კიდევ ერთი გზა!

35.

**მარჯანიშვილი.** სალამოს უნდა დავემშვიდობოთ თბილისს.

**ტრაგიკოსი ქალი.** ბატონო კოტე, არის კიდევ ერთი გზა...

**ტრაგიკოსი.** რა გზას გულისხმობ?

**ტრაგიკოსი ქალი.** თუ ახლა ჩვენ მთავრობის ნებას დავყვებით, წელში ველარა-სოდეს გავიმართებით, ესენი უნდა დავამარცხოთ. ქართველი ბოლშევიკების სულიერი ბატონები მოსკოვში სხედან. ამიტომ რა უნდა ვქნათ? (ღუმილი.) ხომ არიან ამათი დედები, მამები, ბატონები მოსკოვში?

**შეძახილები:**

-- არიან!

-- დღეს ყველაფერი მოსკოვია!

-- ჩვენი საკითხიც მოსკოვში წყდება!

**ელენე.** ესეიგი რა... გამოდის, რომ მოსკოვში...

**ტრაგიკოსი ქალი.** მოსკოვში უნდა წავიდეთ საგასტროლოდ!

### ღუმილი.

**ტრაგიკოსი.** მოსკოვში?!

**ბუნჩულა.** ჩვენში შორიდან მოსული ამბის სჯერათ.

**რეჟისორი.** შინაურ მღვდელს ჭოკით სცემენ!

**ტრაგიკოსი ქალი.** საქართველოში არა კანონი, ძმაკაცობა ბატონობს, საქარ-თველო კლანურ რესპუბლიკად ყალიბდება.

**შეკრებილთ სახეზე ჯერ გაოცება გამოეხატებათ, მერე აღფრთოვანება.  
მარჯანიშვილი ჯერ ტრაგიკოს ქალს, მერე ტრაგიკოსს ეხვევა, ჰკოცნის.**

### სცენაზე შუქი ქრება.

**გედეონი.** თეატრმა დაიწყო ხარკოვსა და მოსკოვში გასტროლების სამზადისი. მოსკოვში უნდა გადაწყვეტილიყო იცოცხლებდა, თუ არა ეს თეატრი.

**მიტო** (თვალმოჭუტული, გამომცდელად შესცქერის გედეონს). ოო, რა შორია მოსკოვამდე, რომ იცოდე, რამოდენა გზაა. თქვენა გგონიათ, რუსთაველის თეატრის ლომებმა ჩასთვლიმეს? შეიხედე, ერთი, რა ხდება საქართველოს ხელოვნების სამმართველოში.

**ნათლება გურგენიძის კაბინეტი.**

**გურგენიძე გაზეთ „პრავდას“ კითხულობს.**

**რეჟისორი** (შემოდის). შეიძლება? (გურგენიძე ხელს აიქნევს, გამეცალეო. რეჟისორი უხმოდ გადის).

**გედეონი.** ვინ არის ეს კაცი?

**მიტო.** საქართველოს ხელოვნების სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ალექსანდროვიჩი გურგენიძეზე. პარტიის წევრი 1903 წლიდან, ორგზის ნაკატორღალი, საბანკო ეტლზე თავდასხმისათვის.

**გელეონი.** ესეიგი ყაჩაღი?

**მიტო.** ყაჩაღები იქით მოიკითხე, საფრანგეთში, ემიგრაციაში! საბანკო ეტლებს პარტიის საჭიროებისათვის ესხმოდა თავს. მრავალგზის გაძარცვა. ორჯერ ჩავარდა.

**გელეონი.** ოჰო, მაგარი ყოფილა!

**მიტო.** ჯერ ხუთასი ათასი ნიკოლოზის თუმნიანები, მეორედ – სამასი ათასი, მესამედ...

36.

**რეჟისორი** (ისევ შეიხედავს გურგენიძის კაბინეტში). შეიძლება?

### **გურგენიძე ისევ აიქნევს, ხელს. რეჟისორი გადის.**

**გელეონი.** რა ცეცხლი უკიდია!

**მიტო.** ცუდადაა საქმე, რეჟისორს ძალიან ეჩქარება, ყოველი წუთი ძვირფასია, გურგენიძე კი „პრავდას“ კითხულობს.

**რეჟისორი** (გადაწყვიტა). ამხანაგო გურგენიძე, კომუნისტური თეატრის დავალებით... გთხოვთ, საჩქარო საქმეა.

**გურგენიძე** (ერთხანს ყურადღებით აკვირდება რეჟისორს). ამხანიგო, ვინ გითხრათ უარი? მშრომელი მასებისათვის ჩემი კარი ყოველთვის ღიაა.

**რეჟისორი.** ასეთი ამბავია ახლა აქ. მე ქუთაის-ბათომის თეატრიდან ვარ. ჩვენი თეატრი ხარკოვსა და მოსკოვს მიემგზავრება გასტროლებზე.

**გურგენიძე.** რატომ მიხსნი, ამხანიგო? მე ყველაფერი ვიცი.

**რეჟისორი.** საგასტროლო აფიშების ბეჭდვა შეგიჩერებიათ... თეატრის წარმომადგენელს უნდა ველაპარაკო. აგერ ვარ, ბატონო თქვენი ყმა და მონა-მორჩილი!

**გურგენიძე** (კარგა ხანს დუმს). რა გინდათ, ამხანიგო, ხარკოვში? რა გესაქმებათ ჩვენი დიდი სამშობლოს გულში – მოსკოვში?

**რეჟისორი.** ეს საკითხი თქვენთან ხომ შევათანხმეთ. წერილიც მოგართვით. თქვენ...

**გურგენიძე** (თითქმის ყვირის). მე თქვენ გეკითხებით, ამხანიგო: რატომ, რისთვის აწუხებთ საბჭოეთის გულს, მის მოსახლეობას?

**რეჟისორი** (თითქოს ტრიბუნაზე იდგეს, ხმამაღლა, პაუზის გარეშე). ამხანიგო გურგენიძე, ქუთაის-ბათომის თეატრი მოსკოვს მიემგზავრება იმისათვის, რომ საბჭოეთის გულს აჩვენოს, თუ როგორ ზრუნავს მშობლიური ხელისუფლება ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის, როგორ აშენებს მშობლიური პარტია და მთავრობა თეატრს, რომელიც ლამის გადაშენებამდე მიიყვანა ჯერ ცარიზმმა, შემდეგ კი მენშევიკების უხეირო ხელისუფლებამ.

**გურგენიძე** (მოწონებით). სწორია, ყველაფერი სწორია, უხეირო ხელისუფლება იყო, მაგრამ... (თითქმის ყვირილით) და ეს გაძლევთ უფლებას მოატყუოთ ჩვენი სამშობლოს გული – მოსკოვი? (აფიშის ანაბეჭდს მაგიდაზე დააგდებს). რა წერია აქ?

**რეჟისორი.** გრუზინსკიი გოსუდარსტვენნი ტეატრ...

**გურგენიძე.** მერე? არ იცით, რომ საქართველოში ნამდვილი სახელმწიფო თეატრი ერთა-დერთია – რუსთაველის თეატრი! რუსთაველის თეატრის ადმინისტრატორს, სტამბაში უნახავს ეს თქვენი აფიშა. იცით, რა ამბავი ატყდა? რატომ ჩამაგდეთ ამ დღეში. (რეჟისორი საქალაქის გახსნის, რაღაცას დაეძებს. მონახავს. გურგენიძეს მაგიდაზე ფურცელს დაუდებს.) ეს რა არის?

**რეჟისორი.** არის თუ არა აქ თქვენი ხელმოწერა.

**გურგენიძე** (ქალაქის ყურადღებით დასცქერის). ესე იგი მეს მიერ? ესე იგი რა გამოდის ახლა აქ -- მე მოგვცით უფლება დაგეწერათ გოსუდარსტვენნი ტეატრ?

**რეჟისორი.** სავსებით სამართლიანად მოგვეცით.

**გურგენიძე.** მაშ, ეს არის?

**რეჟისორი.** დიას!

**გურგენიძე.** მხოლოდ ეს?

37.

**რეჟისორი.** მხოლოდ ეს!

**გურგენიძე.** სხვა დაკუმენტი არ გაქვთ?

**რეჟისორი.** არ არის საკმარისი? ჩვენს ქვეყანაში ლამის ცოლიც სახელმწიფო საკუთრება გახდეს, კერძო თეატრი რომელია?!

**გურგენიძე.** გასაგებია! (ქალაქის პირში ჩაიღებს. ჭამს).

**რეჟისორი** (გაოგნებული). ბატო... ბატო... რას შერებით, ამხანაგო... ამხანაგო! (უცებ.) ნუ ჩქარობ, ნელა ჭამე, კაცო, არ გადაგცდეს! (გრაფინს დასწვდება.) წყალი?

**გურგენიძე.** ხომ არ დამეწვეოდი?

**რეჟისორი.** არა, მე ჭყინტი ყველი და მჭადი მირჩენია.

**გურგენიძე.** ვსიო, მორჩა, არ არის დოკუმენტი, არ არის საჩივარი! აფიშას დააწერეთ კუტაისსკი გოსუდარსტვენნი ტეატრ!

**რეჟისორი.** უკრაინელ მაყურებელს კუტაისსკი არაფერს არ ეუბნება, არც მოსკოველს.

**გურგენიძე.** სამაგიეროდ, მე რუსთაველის თეატრი არ შემჭამს.

**რეჟისორი.** ესე იგი, თქვენ არ ზრუნავთ მოძმე უკრაინელ ხალხზე. ხვალ დილით მარჯანიშვილი და ადმინისტრატორი ანდრონიკაშვილი ხარკოვს მიემგზავრებიან. თუ აფიშები არ წაიღეს, გასტროლები ჩაიშლება.

**გურგენიძე.** მიბრძანდით, დაბეჭდეთ ისე, როგორც გითხარით.

**რეჟისორი** (მშვიდად). არა, ეს გასტროლების დამარცხებას ნიშნავს და ჩვენ საკავშირო ხელოვნების სამმართველოს, პარტიის ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას ვაცნობებთ, თუ რატომ ჩაიშალა გასტროლები.

**გურგენიძე** (ირონიულად). რაო, რატომ ჩაიშალაო?

**რეჟისორი.** იმიტომ, რომ საქართველოში არსებული საბეჭდი ქალაქი ამხანაგ გურგენიძეს შემოეჭამა.

**გურგენიძე** (ბრაზმორეული შესცქერის რეჟისორს). და არა იმის გამო, რომ საქართველოში სახელმწიფო თეატრი არის ერთი -- რუსთაველის თეატრი?

**რეჟისორი.** ამხანაგო გურგენიძევ, მე მხოლოდ იმის დაწერა შემიძლია, რაც ვნახე.

**გურგენიძე.** ვტორი გრუზინსკი გოსუდარსტვენნი ტეატრ პოდ რუკავოდსტვომ მარჯანიშვილი?

**რეჟისორი.** რაო, რაო, რა თქვით?

**გურგენიძე.** ვტოროვი გრუზინსკიი გოსუდარსტვენნი ტეატრ პოდ რუკავოდსტვომ მარჯანიშვილი.

**რეჟისორი.** კარგია, დარეკეთ სტამბაში, უკარნახეთ ტექსტი!

### დაბნელება.

**გელეონი.** აჰა, ასრულდა! ქართულმა თეატრმა საზღვარი გადალახა. უკრაინელი მაყურებელი აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს. 1930 წლის 30 აპრილს კი ქართველი მსახიობები პირველად გამოვიდნენ მოსკოველი მაყურებლის წინაშე – ამიერკავკასიის თეატრების მიმღებმა კომისიამ, საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებამ და ამიერკავკასიის მუდმივმა წარმომადგენლობამ მოსკოვში მოაწყეს მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლების დახურული ჩვენება. ამ საღამოს თეატრმა გაითამაშა „ჰოპლას“ მესამე მოქმედება, „როგორ?“-ის მესამე მოქმედება, „ურიელ აკოსტას“ მეორე მოქმედება და „ყვარყვარე თუთაბერის“ პირველი მოქმედება.

**ნინელი.** აჰ, მაყურებელი აღფრთოვანებული იყო? მერე მაგ აღფრთოვანებას

38.

პასუხი ხომ უნდა! რაღაცით ხომ უნდა მოევლოს? ბატონო კოტე, აი, რას წერენ თქვენზე (მარჯანიშვილი მოუბრუნდება, უსმენს.) „კავალერისტი“ „ახალგაზრდა კომუნისტი“ (კითხულობს.): „თეატრის გარშემო შემოკრებილი იქმნა კლასიურად უცხო ელემენტები: კულაკები, ყოფილი თავადები, ვაჭრები და სხვა კატეგორიის საეჭვო ელემენტები, რომელთაც ვერსად გაასაღეს თავი და რატომღაც ქუთაისის თეატრში ჰპოვეს თავშესაფარი“.

**რეჟისორი.** რა არის ეს, რა საჭიროა ამის კითხვა, გთხოვთ მიბრძანდეთ!

**გელეონი.** აქ თქვენზეც წერია!

**რეჟისორი.** ვიცი, ვიცი და არ არის საჭირო!

**მარჯანიშვილი.** სჯობია, ვიცოდეთ, რას წერენ ჩვენზე!

**გელეონი** (კითხულობს.) „რეჟისორი მღვდლის შვილია, ამჟამად კი კულაკური ელემენტი“.

**ნინელი** (კითხულობს). „თეატრის დირექტორის მოადგილე ყოფილი თავადია“.

**გელეონი** (კითხულობს). „წამყვანი მსახიობი კი ქუთაისში ცნობილი ვაჭრის შვილია“. ახლა დასკვნა, ბატონებო, დასკვნას მოუსმინეთ (კითხულობს.): „ჩვენი ხელისუფლება ვერ აპატიებს მარჯანიშვილს იმას, რომ მან თეატრის გარშემო შემოიკრიბოს ვაჭრები და თავადიშვილები და უმიზნოდ ხარჯოს სახაზინო თანხები“.

**მარჯანიშვილი** (კარგა ხანს დუმს, თითქმის თავისთვის). რა ჭუჭყი ედება სამშობლოს კრიალა ზეცას! ქარიც ყოველი მხრიდან ქრის -- ცივი, გამთოშავი ქარი... ნუთუ, ეს არის სამშობლო! ჩვენი ხელისუფლება ვერ აპატიებს მარჯანიშვილს... ჩვენი ხელისუფლება ვერ აპატიებს... ხელისუფლება... ხელისუფლება... ვიდრე რუსეთს ვიყავი, ყველაფერს მპატიობდნენ... ძილმორეულ სამხატვრო თეატრის მღორე სტილზე კავკასიელი აბრაგის თავდასხმასაც კი... უმიზნოდ ხარჯოს... მართლა ეგრეა, მართლა უმიზნოდ ხარჯავთ?

**რეჟისორი.** ყოველი კაპიკი... ყოველი კაპიკი დახარჯულია კანონიერად, საჭიროებისათვის. ვერავინ ვერ შესძლებს ჩვენს თეატრს ჩირქი მოსცხოს.

**მარჯანიშვილი.** ძალიან თუ მოინდომეს?

**რეჟისორი.** კომუნისტურ აკადემიაში გვაგვიანდება, ბატონო კოტე!

**მარჯანიშვილი.** (ხმადაბლა.) ჩვენ ალბათ, ყველას დაგვაპატიმრებენ.

**რეჟისორი** (შემფოთებული მობრუნდება). რა?!

**მარჯანიშვილი.** აი, ეს წაიკითხე! (გაზეთს მიაწვდის). ამაზე რას იტყვის საქართველოს კომუნისტური პარტია?

**რეჟისორი** (გაზეთს გამოართმევს. კითხულობს). „ქუთაის-ბათომის თეატრი ესთეტიკური და ფორმალისტურია. რუსთაველის სახელობის თეატრი – რევოლუციური და პროლეტარული“. (წაკითხულმა შეაშფოთა). ჰოო...

**მარჯანიშვილი.** ახლა აი, ეს – გლებოვის სტატია.

**რეჟისორი.** „ვეჩერნაია მოსკვა“?! ეს გლებოვი... პიესა „ზაგმუკის“ ავტორი -- ახმეტელმა რომ დადგა? (მარჯანიშვილი თავის დაქნევით უპასუხებს. სტატიას კითხულობს.) გლებოვი არ მაღარდებს... ცუდია, მაგრამ არ მაღარდებს. აი, ის...

**მარჯანიშვილი.** ალბათ, დაგვიჭერენ და თეატრს დაგვიხურავენ.

**რეჟისორი.** როცა თეატრზე წერენ ესთეტიკური და ფორმალისტურიაო, ამას ამზადებენ, მაგრამ... (ღუმილი.)

**მარჯანიშვილი.** იქნებ, აღარც დაგბრუნდე საქართველოში? მე იქ არ ვუნდი-ვართ... ხელს ვუშლი.

**რეჟისორი.** რას ამბობთ, ბატონო კოტე!

**მარჯანიშვილი.** მაგრამ თუ მე მოსკოვში დავრჩები, თქვენ ჩაგაგდებენ მძიმე დღეში... არა, არ შეიძლება, მე აქ არ დავრჩები, თბილისში უნდა დავბრუნდე.

39.

**რეჟისორი.** არა, ეს ტყუილია, შეცდომაა! ჩვენი თეატრი არ არის ესთეტიკური და ფორმალისტური! (დაბეჯითებით, ხაზგასმით). ქუთაის-ბათომის თეატრი მემარცხენე თეატრია.

**მარჯანიშვილი** (გაოცებული). მემარცხენე?

**რეჟისორი.** დიახ, ჩვენი თეატრი მემარცხენეა. (პაუზა) არა, ქუთაის-ბათომის თეატრი მემარცხენე-თანამგზავრული ხასიათისაა.

**მარჯანიშვილი** (დაბნეული). მემარცხენე-თანამგზავრული? ეს რას ნიშნავს?

**რეჟისორი** (მხრებს აიჩეჩავს). მემარცხენე-თანამგზავრული თეატრი როგორ არ იცით!

**მარჯანიშვილი** (ვერაფერი გაიგო). მემარცხენე კიდევ ჰო... რაღაცას ჰგავს... თანამგზავრული თეატრი რას ნიშნავს?

**რეჟისორი.** ბატონო კოტე, საბჭოთა თეატრი უნდა იყოს პროლეტარულ-თანამგზავრული, ან რევოლუციური, შეიძლება იყოს მემარცხენე-თანამგზავრულიც. თუ არც ერთია, არც – მეორე, საბჭოთა ხელისუფლებას არ სჭირდება.

**მარჯანიშვილი.** და ხურავს?

**რეჟისორი.** ასეა კი.

**მარჯანიშვილი.** ჩვენ რომელი ვყოფილვართ? რაო, რა სთქვი?

**რეჟისორი.** ახმეტელი ამბობს, რომ მისი თეატრი არის რევოლუციურ-პროლეტარული. ამიტომ საქართველოს კომპარტია იცავს, პატივს სცემს.

**მარჯანიშვილი** (მოუთმენლად). ჩვენ? ჩვენ ვინა ვართ?

**რეჟისორი** (დაბეჯითებით). ჩვენი თეატრი არის მემარცხენე-თანამგზავრული თეატრი და ვემსახურებით სოციალიზმის იდეებს.

**მარჯანიშვილი.** ისეთ რამეს ამბობ... გამიმეორე, თუ კაცი ხარ!



**რეჟისორი.** ჩვენ ვაშენებთ მემარცხენე-თანამგზავრულ თეატრს, ვემსახურებით სოციალიზმის იდეებს...

**მარჯანიშვილი.** ჩვენ ვაშენებთ მემარცხენე-თანამგზავრულ თეატრს, და ამით ვემსახურებით... არა, ხალხში შეგვაქვს სოციალიზმის იდეები. ასე ხომ?

**რეჟისორი.** კი, ასეა.

**მარჯანიშვილი.** ჰო, მაგრამ... თეატრი რომ სინარულ უნდა ანიჭებდეს ადამიანს? ხელოვნების მიზანი ხომ ის არის, ადამიანს მიანიჭოს სინარული.

**რეჟისორი.** არა, არა, ბატონო კოტე, ჯერ სოციალიზმის იდეები და მერე – სინარული. ჩვენ ხომ ახლა კომუნისტურ აკადემიაში მივდივართ, დისპუტზე. თქვენს გამოსვლაში რამდენჯერმე უნდა ახსენოთ მემარცხენე-თანამგზავრული თეატრი გვაქვსო. რამდენჯერმე!

**მარჯანიშვილი.** კი, კარგია, გასაგებია, მაგრამ ეგ მემარცხენე-თანამგზავრული თეატრი რას ნიშნავს?

**რეჟისორი.** (მიმოიხედავს. ხმადაბლა.) თქვენ გგონიათ, ახმეტელმა იცის, რას ნიშნავს პროლეტარულ-რევოლუციური თეატრი? სულ მაგაზე ფიქრობდა დამფუძნებელი კრების წევრი რომ იყო!

**მარჯანიშვილი.** აბა?

**რეჟისორი.** ასე სჯობია და ამბობს.

**მარჯანიშვილი.** მაშ, მთავარი ლაპარაკია? სიტყვები, სიტყვები, სიტყვები!

**რეჟისორი.** მთავარია გქონდეს ლოზუნგი!

**მარჯანიშვილი** (იმეორებს). მემარცხენე-თანამგზავრული თეატრი, მემარცხენე-თანამგზავრული თეატრი... ესეიგი ლევო-პოპუტნიჩესკი ტეატრ... „ურიელ აკოსტაა“ ლევო-პოპუტნიჩესკი, თუ „ყვარყვარე თუთაბერი“, ან იქნებ, „კაკალ გულში?!“ ახმეტელი როგორ ამბობსო, თქვი?

**რეჟისორი.** პროლეტარულ-რევოლუციური.

40.

**მარჯანიშვილი.** პროლეტარულ-რევოლუციური! რა არის ეს პროლეტარულ-რევოლუციური!

**რეჟისორი.** ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია თქვა!

**მარჯანიშვილი.** იმათ აქვთ „რღვევა“, „ანზორი“. ჩვენ?

**რეჟისორი.** ვაგვიანებთ, ბატონო კოტე!

### დაბნელება.

შემოდის მაყვალა. ფეხმძიმედაა, მუცელი ერთობ წამოზრდია.

**მაყვალა.** მიტო არ გამოჩენილა?

**გედეონი** (გულდაწყვეტილი მაყვალას სიბრალულით). რა, არ მინახავს.

**მაყვალა.** გუშინ?

**გედეონი.** არც გუშინ. რი დღეა არ მინახავს.

**მაყვალა.** სად ვეძებო?

**გედეონი.** ხომ ხედავ, როგორ დაგვესიენ მოსკოველი გოგოები. იქნება სადღაც გაერთო.

**მაყვალა.** სპექტაკლი? თეატრიდან ხომ გააგდებენ. სად ვეძებო?

გელეონი. ნულარ დაეძებ, არ არის საჭირო, თავად მობრუნდება, თავად მოგნახავს და... კარგსაც მიიღებს ჩემგან.

მაყვალა (გადის). კარგით!

**კომუნისტური აკადემია. დარბაზში სხედან კომუნისტური იდეოლოგიის წარმომადგენლები, კრიტიკოსები.**

რეჟისორი (ჩურჩულით). ბატონო კოტე, ლევო-პოპუტინჩესკი.

მარჯანიშვილი (ტრიბუნასთან). „ამხანაგებო, ჩვენი თეატრის მიმართ ბრალდება-ნი ძირითადად იმას შეეხებოდა, რომ ჩვენ არა ვართ პროლეტარული თეატრი“.

რეჟისორი (უჩურჩულებს). მაგრამ ვართ მემარცხენე-თანამგზავრული!

მარჯანიშვილი. „მე, ამხანაგებო, სწორედ იმით დავიწყე და უპირველეს ყოვლისა, სავსებით ცხადად მოგახსენებთ, რომ ჩვენი თეატრი პროლეტარული არაა“.

ტრაგიკოსი ქალი (ტრაგიკოსს). რას ამბობს! (დააკვირდება.) რატომ ხარ ასე გაფითრებული?

ტრაგიკოსი. სს... ყური უგდე...

მარჯანიშვილი. „და რასაკვირველია, ერთი წუთითაც არ თვლის თავს პროლეტარულად“.

ტრაგიკოსი. ააუჰ!

ტრაგიკოსი ქალი. რატომ გადევს ასეთი ფერი!

მარჯანიშვილი. „სხვა საქმეა ჩვენი მისწრაფება. ეს მისწრაფებანი კი სავსებით მკაფიოა“.

რეჟისორი (მარჯანიშვილს ხმადაბლა). ჩვენი თეატრი არის მემარცხენე-თანამგზავრული და ემსახურება!..

ტრაგიკოსი. მას არ შეუძლია მოიტყუოს... იგი ამას ვერ იზამს...

რეჟისორი. (ტრაგიკოს ქალს). იქნებ, შენ გვიხსნა!..

მარჯანიშვილი. „უაღრესად მაღლობელი ვარ იმ ამხანაგების, რომელთაც საჭირო შენიშვნები მომცეს. სასაცილო იქნება იმის ფიქრი, რომ მე ხვალ კომკავშირში ჩავეწერები. (დარბაზში იცინიან.) მე უკვე სამოცი წლისა ვარ. დავიბადე სრულიად სხვა წრეში. სასაცილო იქნება, ახლა რომ გითხრათ, ხვალიდან კომკავშირელი ვხდები-მეთქი. სასაცილო იქნებოდა ისიც, ამის მოლოდინი რომ ჰქონოდა ვინმეს“.

რეჟისორი (ტრაგიკოსს). დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა!

ტრაგიკოსი ქალი. ხოლოდნაია უნას ბუდეტ ზიმა!

მარჯანიშვილი. „პროლეტარული თეატრი, როგორც ასეთი, ჯერჯერობით საერთოდ არ არსებობს. ყველგან მიმდინარეობს ფორმირების პროცესი. მუშა ახალგაზრდობის თეატრები, რომლებმაც საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავეს და რომელთა წინაშეც მე ქედს ვიხრი, ჯერ კიდევ ვერ ფლობენ საკმაო ტექნიკას. ეს უდაო რამაა. თუ ვინმე პროლეტარულ თეატრად მიიჩნევს მუშა ახალგაზრ-დობის თეატრს, ძლიერ ცდება.“

ტრაგიკოსი ქალი (ხმამაღლა, მარჯანიშვილს). თქვენ გაურბიხართ პროლეტარულ თეატრს?

მარჯანიშვილი (დაეძებს, თუ ვინ დაუსვა შეკითხვა. ტრაგიკოსი ქალი კულისას მოეფარება). „რაც შეეხება იმას, თითქოს გაურბივართ პროლეტარულ თეატრს, ეს არაა სწორი. ჩვენ არ გაურბივართ პროლეტარულ თეატრს. ჩვენ გეზი გვაქვს აღებული პროლეტარული თეატრისაკენ, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცნობთ მას, მაგრამ ვეძებთ გზებს“ (დამსწრენი ტაშს უკრავენ.)

რეჟისორი. ასე რა!!

მარჯანიშვილი. „ლაპარაკი იმაზე, რომ ამას გაგურბივართ, სწორი არაა.“

42.

ტრაგიკოსი ქალი. თქვენ ძალიან შორსა ხართ თეატრში თანამედროვეობის ასახვისაგან?

მარჯანიშვილი (კვლავ დაეძებს, რეპლიკის ავტორს, ვერ ხედავს, რადგან ტრაგიკოსი ქალი კულისას ამოეფარება). „აი, ერთ-ერთმა ამხანაგმა განაცხადა, რომ ჩვენ ძალიან შორსა ვართ თანამედროვეობის ასახვისაგან. ჩვენი თეატრი იყო პირველი – და დაბეჯითებით ვიმეორებ, ერთადერთი თეატრი საქართველოში, რომელმაც ყურადღება გაამახვილა პროლეტარულ მწერლობაზე. ამას მე ოფიციალურად ვაცხადებ და ვამბობ: ჩვენამდე არცერთი თეატრი არ იღებდა ახალგაზრდა დრამატურგების პიესებს. არა მარტო არ იღებდნენ, ებრძოდნენ კიდევ. ჩვენ კი გვწავლია, რომ ისინი ჩვენთან ერთად იზრდებოდნენ.“ (დამსწრენი ტაშს უკრავენ.) „ჩვენ გამოვაჩინეთ ახალგაზრდა ავტორები: კარლო კალაძე, დემნა შენგელაია, პოლიკარპე კაკაბაძე. მათ ჩვენთან ერთად სურთ შექმნან თანამედროვე თეატრი და მომავლის თეატრიც“.

**ტრაგიკოსი, როგორც ჩანს, თავს ცუდად გრძნობს. კედელს მოეჭიდება.**

ტრაგიკოსი ქალი (შეშფოთებული). რა მოგდის!

ტრაგიკოსი (შიშმორეული). გამეცალეთ, გამეცალეთ, რა გინდათ, გამეცალეთ!

ტრაგიკოსი ქალი. რა მოგდის!

რეჟისორი. რა იყო ბიჭო, რა მოგივიდა!

ტრაგიკოსი (ცახცახებს). მომეშვით, მომშორდით!

ტრაგიკოსი ქალი (ამაოდ ცდილობს მიუახლოვდეს). რა მოგდის! (ჩაიკეცება და მოთქვამს.)

ტრაგიკოსი (ყვირის). არა, არა, არა!

**დაბნელება.**

**მოსკოვი, კრემლი. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის**

**პრეზიდიუმის მდივნის – აბელ ენუქიძის სამუშაო ოთახი.**

**ოთახში ტრაგიკოსი ქალი და თამარი არიან.**

თამარი (ჩურჩულით). ეს ვისი სურათია?

ტრაგიკოსი ქალი (საჩვენებელ თითს ტუჩებზე მიიდებს). სს... ალბათ, ცოლის -- კრემლში საყვარლის სურათი ხომ არ ექნება!

თამარი (ძალიან დაინტერესებული). ჰყავს?

ტრაგიკოსი ქალი (უჯავრდება). სუს!

**პაუზა. უხმოდ ათვალიერებენ ოთახს.**

თამარი (ისევ ჩურჩულით). რუსია?

ტრაგიკოსი ქალი. ვინ?

თამარი. საყვარელი.

ტრაგიკოსი ქალი. თამარ, რა მოგივიდა!

**თამარი.** ჰო, კარგი, რა მენახშირე ვანუასავით იბღვირები! (დუმილი.) ბუდიონი? (საულვაშეზე თითებს გადაისმევს, რითაც ბუდიონის აპრეხილ ულვაშზე მიათითებს.) მარშალი ბუდიონიც აქ არის? (ტრაგიკოსი ქალი მიანიშნებს გაჩუმდით. თამარი უხმოდ ზის. მის მზერას მრავალ ტელეფონთაგან ერთ-ერთი მიიქცევს. ტრაგიკოს ქალს ხელით მოქაჩავს, ტელეფონზე დაკრულ ქაღალდზე ანიშნებს, ჩურჩულით.) ხედავ, რა წერია? გენერალნი სეკრეტარ! სოსელო, ჩვენი სოსელო,

43.

ისიც აქ ყოფილა! დავურეკოთ, სპექტაკლზე დავპატიჟოთ.

**ტრაგიკოსი ქალი** (ჩურჩულით). სულელო, სულელო!

**თამარი.** რა უჟმური ხარ!

**ტრაგიკოსი ქალი.** გაჩუმდი-მეთქი, გაჩუმდი!

**თამარი.** თუ თვითონ ვერ მოვა, ცოლს მაინც გამოუშვებს. ალილუევას ნახვა მინდა. (მოულოდნელად ტელეფონს დასწვდება, აიღებს).

**ტრაგიკოსი ქალი** (შემფოთებული). აჰ!

**ხმა** (მშვიდი, აუღელვებელი). სლუმაიუ, ტოვარიშ...

**თამარი** (სტალინის ხმის გაგონებაზე, ყურმილი ხელიდან დაუვარდება). სო-სო-სე... სოსელო!

**ტრაგიკოსი ქალი.** სულელო, სულელო!

**ხმა.** ია ვას სლუმაიუ... სლუმაიუ... აბელი ხარ? ამოიღე ბიჭო, ხმა, რა მოგივიდა!

**ტრაგიკოსი ქალი** (ყურმილს დასდებს და აღელვებული დაეშვება სკამზე). წადი, გაიპარე აქედან, თორემ...

**ენუქიძე** (შემოდის). ხომ არ გამიბრაზდით? ნუ გამინაწყენდებით! მოულოდნელად მიხმეს.

**ტრაგიკოსი ქალი** (მომხიბლავი ღიმილით). არა, არა, ეს ჩვენ შევიშალეთ ხელი.

**ენუქიძე.** თქვენი სტუმრობა ხომ დაუგეგმავი იყო...

**თამარი.** ყველაფერი აგირ-დაგირიეთ.

**ენუქიძე.** მაგრამ ქართველ მსახიობებთან შეხვედრაზე ვერ ვთქვი უარი. ჩემი ტელეფონი ვინ მოგცათ?

**თამარი.** თეატრში...

**ტრაგიკოსი ქალი** (აწყვეტილებს). კრემლის კომენდატურაში დავრეკეთ.

**ენუქიძე.** ძალიან კარგი! მაშ, გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი, ხომ? რაზე შევჩერდით?

**ტრაგიკოსი ქალი.** მე უკვე ყველაფერი გითხარით -- პატიოსნად გიამბეთ, თუ როგორ ექცევა საქართველოს კომპარტია ჩვენს თეატრს, კოტე მარჯანიშვილს.

**ენუქიძე.** ჩაი რატომ არ დალიეთ? გაცივდებოდა. (თამარს.) თქვენ? თქვენც ყველაფერი თქვით?

**თამარი.** დიან... თუმცა, ერთი რამ არ მითქვამს... საქართველოში მხოლოდ თავიანთი წრის ადამიანებზე ზრუნავენ და არა ხალხზე. საქართველოში კლანებს აქვთ გამარჯვების უფლება, დღეს ეს არის კახიანის კლანი.

**ენუქიძე.** მარჯანიშვილი? მარჯანიშვილი როგორ აფასებს ასეთ დამოკიდებულებას?

**ტრაგიკოსი ქალი.** თუ ჩვენი საკითხი სასწრაფოდ არ გადაწყდება, თუ ჩვენი თეატრი თბილისში არ გადმოიყვანეს, მარჯანიშვილი დატოვებს საქართველოს.

**ენუქიძე.** ეს არ შეიძლება. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ორჯონიკიძე, ვოროშილოვი,

ლუნაჩარსკი, მე ვიყავით თქვენს რამდენიმე სპექტაკლზე... ხვალაც ვაპირებთ...  
თქვენ გაათბეთ მოსკოვი... დიდებული თეატრია, დიდებული!  
**ტრაგიკოსი ქალი.** საქართველოს კომპარტიის არცერთ ხელმძღვანელს არ  
უნახავს ჩვენი თეატრის არცერთი სპექტაკლი...  
**ენუქიძე.** შეუძლებელია!

**ტრაგიკოსი ქალი.** ვფიქრობ, დასკვნისთვის სავსებით საკმარისია.

**ენუქიძე.** მე დღესვე მოველაპარაკები ამხანაგ ლუნაჩარსკის. მაღლობელი ვარ.  
ჩვენი საუბარი ფრიად სასარგებლო იყო.

#### დაბნელება.

სცენაზე შუქი ქრება. პროექტორი რუს კრიტიკოსთა სახეებს გამოკვეთს.

44.

**პირველი კრიტიკოსი.** მე მივიჩნევ, რომ მარჯანიშვილის თეატრი სოციალისტურ  
სინამდვილეში ბურჟუაზიულ ესთეტიკას ამკვიდრებს. ეს კი შეუთავსებელია  
სოციალიზმის მშენებელი მუშათა კლასის გემოვნებასთან.

**მეორე კრიტიკოსი.** ის, ვინც მიიჩნევს, რომ მარჯანოვი ბურჟუაზიულ ესთეტიკას  
ამკვიდრებს, ხელოვნების ვულგარიზატორია.

**მესამე კრიტიკოსი.** ამხანაგებო, ამხანაგებო! მარჯანიშვილის თეატრი ეს არის  
მემარცხენე-თანამგზავრული თეატრი, რომელიც სოციალიზმის იდეების განმტკი-  
ცებას ემსახურება.

**მეოთხე კრიტიკოსი** (თითქმის პანიკურად). არა, არა, არა! არავითარ შემთხვე-  
ვაში! მე არ შემიძლია დაგეთანხმოთ – საქართველოს მეორე სახელმწიფო  
თეატრი რევოლუციური თეატრია!

**ლუნაჩარსკი.** „მე ვეტყობი ამხანაგ ქართველებს, მთელს საქართველოს, საქარ-  
თველოს კომუნისტურ პარტიასა და საქართველოს მთავრობას: კარგად მოუარეთ  
მარჯანიშვილს, მიეცით მას კარგად მუშაობის სრული შესაძლებლობა. თუ ამას  
არ გააკეთებთ, ჩვენ მას წაგართმევთ“.

**გედეონი.** საქართველოს კომპარტიის ცეკამ თეატრს ქუთაისიდან თბილისამდე  
ფერად-ფერადი ხალიჩები დაუფინა – სასწრაფოდ მიიღეს დადგენილება და  
თეატრს თბილისში გადასცეს დიდებული შენობა.

**ნინელი.** მარჯანიშვილი ადრეც ფიქრობდა დაედგა მჭედლიშვილის „ოიანა ბუიანა“  
და აი, ახლა ბერიკაობის თამაშით შედის ახალ შენობაში.

მარჯანიშვილის თეატრის შესასვლელი მარჯანიშვილის ქუჩის მხრიდან.

ბერიკები ხმაურით, ჟივილ-ხივილით მოედებიან სცენას – ცეკვა-თამაშით, სიმღე-  
რით უახლოვდებიან შენობას, რომელიც ხელისუფლებამ მათ უბოძა. მსახიობებს,  
მათს მოთაყვანე მაყურებელს დიდი დღესასწაული აქვთ. ყველა თავისე-ბურად  
გამოხატავს ამ განწყობილებას.

მაყვალაც იმათ შორისაა, რომლებიც ცეკვა-თამაშით შედიან თეატრში. უცებ  
ერთი ბერიკა მოუჭრის გზას.

**ბერიკა.** კაცსა, ღვთისაგან ჩენილსა  
თოლი უზის ეშმაკისა,  
ათას კარგი ცოლი ჰყვანდეს,  
მაინც ეკეთება სხვისა.

**მაყვალა.** სანამ ქალი ვარ, გაჯავრებ

არას დაგიდევ ჯარსაო.  
 გზა კვალიც გადამიღობო,  
 უმაღლ შეგიყრი ხალხსაო.  
**ბერიკა.** წუნელ სიზმარი ვნახე,  
 ხორბალაურთან მეძინა,  
 ქვეშ მეგო არხა-ურხუა,  
 ფარჩის საბანი მეხურა,  
 გვერდთ მეწვა ლამაზი ქალი  
 პირი მისაკენ მებრუნა.  
**მაყვალა.** ეგრე არ იყო, შავბიჭავ,  
 საღორის კართან გეძინა  
 ქვეშ გეგო ჩალა-ჩულანი  
 ზედ ნაბდის ძველა გეხურა.  
 გვერდ გება ფაშატი ვირი,

45.

**ბერიკა.** პირი მისაკენ გებრუნა.  
 ქალო შენმა სიყვარულმა,  
 შუა გზაზე გამიარა,  
 დამაკარგვინა მათრახი,  
 მებრუნა და მატრიალა.  
**მაყვალა.** ანთებულს სანთელს გამსგავსე,  
 ვარსკვლავსა მთოვიარესა,  
 ნეტავი შენთან მყოფნელსა,  
 შენს მკლავზე მწოლიარესა.

**ბერიკა** (ნიღაბს მოიხსნის). მე ისე გატყობ, შენ კიდევ მიცანი და კიდევ მაპატიე!

**მაყვალა.** გაპატიე?

**მიტო.** რა ვქნა, მაყვალ, მიყვარხარ. იქით ვეცი, აქეთ ვეცი, ხომ ხელავ, მაინც შენთან მოვბრუნდი.

**მაყვალა** (მიუახლოვდება მუქარით). მოვბრუნდი თუ...

**მიტო.** მოვბრუნდი, აი, მოვბრუნდი.

**დაიჭერს და ძლიერ კოცნის, იმდენად ძლიერ,  
 რომ მიტოს სუნთქვა ეკვრის.**

**ცისფერთვალეზა** (ავანსცენაზე გამოდის). თბილისში, ვარდისუბანში დავიბადე, აქ გავი-ზარდე, ყოველი კუთხე კუნჭული ვიცი, ეზოდან ეზოში ყოველი გასასვლელი, მეკურტნე არამადან მოყოლებული მთელს უბანს ვიცნობ.

იმ ღამეს, მოძღვარმა ქუთაისში წავიდეთო, რომ ბრძანა, ძალიან მეტკინა გული, მაგრამ მასთან თამაში ისე მეწადა... რა მექნა. აქ რომ ჩამოვედით, ჩაბნელებულ, ყველასგან მივიწყებულ თეატრთან ქარი ქალაქის ნაგლეჯებს აფრიალებდა... აღარავინ შერჩენოდა ქალაქს... ქუთათურთა გულითადი მასპინძლობაც არ მითბობდა გულს. მოგვიანებით შევამჩნიე, რომ გიორგი ბაბუს აგებული შენობები ყოველდღე მეგებებოდა... ამ ქუჩებში ყოველდღე ვხვდებოდი ჩემს კაფანდარა, ნაცრისფერი კიტელით მოსიარულე ბაბუს. ბაბუ ამ ქალაქის განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო, როგორც ის კილოკავი ქუთაისელთა ქართუ-

ლს რომ დასდევს თან. სულ რაღაც ორ-სამ თვეში მეც მათსავით ავლაპარაკდი – სულის სიღრმეში ის კიდობანი გაიხსნა, ჩემი ბავშვობა რომ ჩამწყვდიათ. და მივხვდი: კი არ ჩამოვედი, დავბრუნდი ქალაქში, რომელსაც ვაკლდი.

ყოველ დილა-საღამოს, რეპეტიციაზე, თუ სპექტაკლზე მიმავალს, ბაბუა მეგებება, აი, ბიბლიოთეკასთან: „მშვიდობა მოგცეს შვილო, ღმერთმა“, მერე აბანოსთან, ხარაჩოზე დგას „როგორ ხარ, ბაბუ?!“ „შენ რომ გხედავ, ცუდად რატომ უნდა ვიყო“, ბანკის შენობა თეატრამდია. მის კედელზე ბაბუს სახელი და გვარი ამოუტვიფრავთ. პორტრეტიც. ეს ხომ ჩემი სახელი და გვარია. მის მიერ აგებულ კედელს ხელს ისე ვადებ, თითქოს რომაელთა მიერ დანგრეული იერუსალიმის ტაძრის ერთი შემორჩენილი კედელი იყოს – იმედის კედელი.

ზურგი ვერ ვაქციე სითბოს, რომელსაც ეს ქალაქი ყოველდღე მიწილადებს, თეატრს უკან თბილისში არ გავყევი – აქ დავრჩი, კედელთან მივედი, ხელი დავადე. ბაბუს ხმა ჩამესმა, ზარივით რეკდა სიხარულმორეული ბერიკაცის ხმა. იმდენ სითბოს გადმომცემდა, იმოდენა რწმენა მეღვრებოდა სულში, მთელს ქალაქს ეყოფოდა.

ვარსკვლავებისაგან დაცლილ, დაბნეულ თეატრში მივედი და ვთქვი: ერთ კვირაში სპექტაკლი გვაქვს: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“.

## ნათლება სცენა

**ბუნჩულა.** როგორც კი მოსკოვმა მარჯანიშვილი კვლავ იხილა, გაიხსენა მისი დიდი ხელოვნება. მარჯანიშვილს სპექტაკლების დასადგმელად იწვევენ მცირე თეატრში, ოპერეტის თეატრში...

**თამარი.** მის ახალგაზრდა თანამებრძოლებს მიაკლდათ მზრუნველი თვალი, აღარ იქმნება ახალი როლები, დავიწყებას ეძლევა აღფრთოვანებული მაყურებლის მზერა, ტაში... გაქრა შემოქმედება, მისი თანამდევნი -- სიხარული.

**გელეონი.** 1932 წლის ზაფხული. გასტროლები ხაშურში, აი, როგორ იგონებს ხაშურის სიმწარეს დოდო ანთაძე: (კითხულობს.) „თეატრში გართულდა მდგომარეობა. გარკვეული ჯგუფი ამტკიცებდა, რომ მარჯანიშვილს უკვე აღარ შეუძლია თეატრის ხელმძღვანელობა“.

**ჟორჯიკაშვილი.** ახლა? ახლა რა პასუხი გაქვთ! მხოლოდ მკაფიო საბჭოთა სისტემა არის გარანტი...

**გელეონი** (კითხვას განაგრძობს). „კრებაზე დიდ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი, დილას დაწყებული კრება საღამოსაც გაგრძელდა. გვიან საღამომდე გას-ტანა ცხარე კამათმა. უცებ გაიღო კარი და ხელზე ატატებული კოტე შემოიყვანეს რეჟისორის თანაშემწემ ჭ. გელეიშვილმა და დარაჯმა ი. ზიბარევმა...“

**ტრაგიკოსი ქალი** (სიტყვას ამთავრებს, დარბაზში შემოყვანილ მარჯანიშვილს ვერ ხედავს). „მოხუცი აღარაფერს აღარ ქმნის, იგი აღარაფერს აღარ გვაძლევს, ჩვენ კი შრომა გვწყურია, როლები, წარმატება გვინდა. როგორც ჩანს, დადგა დრო ვთხოვთ დასტოვოს თეატრი. ჩვენ გავუძღვებით თეატრს.“

**რეჟისორი** (განაგრძობს კითხვას). „მარჯანიშვილს პლედი ჰქონდა მოხურული ბეჭებზე, უცნაურად უბრწყინავდა თვალები. უძღურების დასაძლევად, თურმე მორფი გაუკეთებია. ძლიერ გაგვაკვირვა ბატონი კოტეს გამოჩენამ, რადგან მძიმე მდგომარეობაში გვეგულებოდა. ყველანი ფეხზე წამოვდექით, გარდა რამ-დენიმე „ოპოზიციონერისა“.

**ჟორჯიკაშვილი.** ისა სჯობია, ისევ ახმეტელს ჩაუვარდეს მუხლებში, იქნებ, მიიღოს თეატრში!

**მარჯანიშვილი.** ყმაწვილებო, ორი დღე დამაცალეთ ან მოკვდები, ან მოვრ-ჩები, მერე თქვენ იცით... (ცრემლი ერევა).

**გელეონი** (გაზეთს გაშლის). იმ დღეებში ხაშურის რაიონული გაზეთიც კი აუშხედრეს მარჯანიშვილს, გაზეთი, რომელიც მეთესლეობაზე, მეფუტკრეობის განვითარებაზე წერდა, უცებ... (კითხულობს.) „მარჯანიშვილის დადგმები თავისი გაფორმების მთავარ მომენტში თვითტკობას ემსახურებიან. რეპერტუარი ვერ დგას საბჭოთა იდეოლოგიის სიმაღლეზე“.

**მიტო** (ირონიით). ააუჰ! ეს რა უქნია!

**გელეონი.** ყური მიგდე! (კითხულობს.) „ყვარყვარე თუთაბერი“ მუშა მაყურებელზე ვერ ახდენს საჭირო ეფექტს“.

**მიტო.** (გაზეთს გამოართმევს, თავად განაგრძობს კითხვას.) „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთ საპასუხისმგებლო როლში, როგორიც ივლითია, ირინე დონაურის გამოყვანა, რაც არა მხოლოდ დაუშვებელია, არამედ თეატრის კულტურის დემორალიზებულ მომენტად უნდა ჩაითვალოს“.

**დაბნელება.**

„ოტელოს“ რეპეტიცია.



**მარჯანიშვილი.** მშვიდად, მშვიდად, ხმასაც ნუ აუწევ – ხმამალა ნათქვამში აგრესიაა.

47.

**ბუნჩულა.** „სიდარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო, კეთილშობილნო და სულდიდნო, უფალნო ჩემნო! მართალი არის, მე მოვსტაცე ამ მოხუცს ქალი, ისიც სწორეა, რომ მე იგი ცოლად შევიერთე. ეს არის ჩემი შეცოდების თავი და ბოლო.“

**მარჯანიშვილი.** ასე რატომ ლაპარაკობ? აბა, მითხარი: ვინ ხარ შენ?

**ბუნჩულა.** ოტელო ძღვეამოსილი სარდალია, რომლისთვისაც...

**მარჯანიშვილი** (აწყვეტინებს). არა, არა... განა მდგომარეობაზე, კაცის ბუნებაზე გელაპარაკები. რანაირი კაცია...

**ბუნჩულა.** ძლიერი კაცია. ვენეციის სამმა დიდებულმა სთხოვა იაგოს ხარისხი მოუმატეო, თანაშემწედ გაიხადეო, სამმა დიდებულმა, „მაგრამ ისეა მავრი გატაცებული თავის მძლავრობით, თავის ზეავის მედიდურობით...“

**მარჯანიშვილი.** მაგას იაგო ამბობს ოტელოზე, სინამდვილეში? (ბუნჩულა დუმს, ფიქრობს.) როგორ გგონია, შენ რატომ ავირჩიე ოტელოს როლის შემსრულებლად?

**ბუნჩულა.** იმიტომ რომ... (გაჩუმდება).

**მარჯანიშვილი.** განა ამ თეატრში არ არიან მძლავრთა, ზვიადთა მოთამაშენი?

რატომ შენ -- ალალი, ბუნჩულა კაცი, რისთვის?

**ბუნჩულა.** იმიტომ, რომ ძლიერ მეწადა ამ როლის თამაში, ჭაბუკობიდან მეწადა.

**მარჯანიშვილი.** ოტელო ალალი კაცია, მიმნდობი... იგი მიენდო იაგოს: რას ამბობს იაგოზე?

**ბუნჩულა.** „მე ჩემს ასისტავს დავტოვე აქ, თუ ნებას დამრთავთ, პატიოსანი კაცი არის და ფრიად სანდო“.

**მარჯანიშვილი.** ხედავ? ფრიად სანდოო. მერე?

**ბუნჩულა.** „ჩემის მეუღლის წამოყვანას, იმას მივანდობ, თუ გამოგზავნით ჩემთან რასმე, მასვე უბოძეთ!“

**მარჯანიშვილი.** ეს კი რას ნიშნავს?

**ბუნჩულა** (უხალისოდ). დიახ, გეთანხმებით, მიმნდობი კაცია.

**მარჯანიშვილი.** შენი პირით კი, ძალის მოიმედე, ძალოვანი ადამიანი მეტყველებს. არა, ისაუბრე როგორც უბრალო, ჩვეულებრივმა ადამიანმა, მიმნდობმა კაცმა. დავიწყოთ?

**ბუნჩულა.** დავიწყოთ, კი, ბატონო! (პაუზა. მაინც ძალუმად, შემართებით წამოიწყებს): „სიდარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო, კეთილშობილნო და სულდიდნო უფალნო ჩემნო...“

**მარჯანიშვილი** (აწყვეტინებს). რა მოსდევს შენს ხმას – სილბო, თუ აგრესია... ვთქვათ მშვიდად, აუღელვებლად „სიდარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო“... ხმას ძალას ნუ დაატან.

**ბუნჩულა.** „სიდარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო... კეთილშობილნო და სულდიდნო უფალნო ჩემნო...“

**მარჯანიშვილი.** რბილად, უბრალოდ...

**ბუნჩულა** (თავში ხელს წაიშენს). უნიჭო ვარ, ხომ ხედავთ, არაფერი გამომდის, უნიჭო ვარ, უნიჭო! ან როგორ გამომივა, სპექტაკლს „ოტელო“ ჰქვია, თითქოს

მე ვარ მთავარი, სინამდვილეში კი, იაგო – უშანგი ჩხეიძე გამოგყავთ მთავრად, იაგო!

**მარჯანიშვილი.** რეპეტიცია დამთავრებულია (დარბაზში.) ჩააქრეთ შუქი! (ბუნჩულას.) მოდი, აქ დაჯექი, ჩემთან!

### შუქი ქრება. ავანსცენა.

48.

**გედეონი.** შეხედეთ, რა ბედნიერია ხალხი „ოტელოს“ გასინჯვის შემდეგ!

**კრიტიკოსი.** მარჯანიშვილმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ დიდი შემოქმედია, ძალიან დიდი!

**პენსნიანი.** და მოწაფეებიც დიდებული აღზარდა. ტრაგიკოსის იაგო გენიალურია, ამ როლმა დაგვიდასტურა, თუ როგორ მუშაობს მარჯანიშვილი მსახიობებთან.

**კრიტიკოსი.** თუმცა, ვერც ბუნჩულას ოტელოზე იტყვი აუგს.

**კრიტიკოსი ქალი.** ვერა, ვერ იტყვი, მე კი ის მაინტერესებს, თუ როგორ ითამაშებდა ამ როლს სხვა რეჟისორის ხელში.

**პენსნიანი.** იმას, რასაც მათ აძლევს მარჯანიშვილი, ვერ მისცემს ვერავინ, ვერცერთი რეჟისორი. (შემოდის მარჯანიშვილი.) ტაში, ტაში დიდ ქართველ რეჟისორს! (მარჯანიშვილს.) თქვენ შეჰქმენით დიდებული სპექტაკლი, ხოლო იაგოს როლი...

**მარჯანიშვილი.** მობრძანდით პრემიერაზე, კიდევ შეიცვლება ზოგი რამ... პრემიერაზე მობრძანდით.

### დაბნელება.

კვლავ მარჯანიშვილის ოთახი. მარჯანიშვილი პრემიერისთვის ემზადება. ღიღინ-ღიღინით ყელსახვევს ინასკვავს. შემოდის რეჟისორი.

**მარჯანიშვილი.** მოდი, მოდი... ახლავე... ჯერ ხომ კიდევ გვაქვს დრო. პრემიერის დაწყებამდე ორი საათია.

**რეჟისორი** (ერთობ მოღუშული). დიახ... ორი საათია და...

**მარჯანიშვილი.** აი, მოვდივარ... მსახიობები როგორ გუნებაზე არიან?.. დაილაღლე? დაიღლებოდი, დიდი ჯაფა დაგადგა.

**რეჟისორი.** ჰო, დიახ, მაგრამ ბატონო კოტე...

**მარჯანიშვილი** (დააცქერდება). რა ხდება?

**რეჟისორი.** იმის სათქმელად მოვედი...

**მარჯანიშვილი** (უღონოდ, ძალაწართმეული, ეს ხმაზეც დაეტყო). რა, რა უნდა მითხრა!

**რეჟისორი.** ტრაგიკოსი უარს ამბობს თამაშზე.

**მარჯანიშვილი** (ძლივს გვესმის მისი ხმა). ააა... რაა?..

**რეჟისორი.** დღეს არ ვითამაშებო, შეუძლოდ ვარო... არ მინდაო...

მარჯანიშვილი ტახტზე მოცელილივით დაეშვება.  
დაბნელება.

**მიტო.** ეს რა ჰქნეს, კაცო, გაგიჟდები, რა! ისეთი ელდა ეცა, ორი საათი ენა ვერ ამოიდგა. ჩაუვარდა რა, ენა სადღაც ჩაუვარდა. მსახიობმა მაინც ითამაშა,

მარჯანიშვილი კი პრემიერაზე ვერ წავიდა.

**გედეონი.** თეატრში ისევ დამაბული მდგომარეობაა. რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი ამ წიგნში იმასაც იხსენებს, თუ როგორ გაასამართლეს მოწაფეებმა მასწავლებელი.

**შუქი.** სცენაზე ჩამწკრივებულან რეჟისორი, ტრაგიკოსი, ბუნჩულა, ცისფერთვალეა, კომიკოსი. შუა სცენაზე მარჯანიშვილის სავარძელი დგას. უხმოდ, შემოდის მარჯანიშვილი. თავის სავარძელთან მიდის. არ დაჯდება. ერთხანს დუმს.

49.

**მარჯანიშვილი.** სამსჯავროზე მიხმეთ? გისმენთ, ყმაწვილებო. პირველად რომელი დამკრავს ქვას? (შეკრებილთ ჩამოუვლის, ყურადღებით აცქერდება.) ისევ თქვენ – ისინი, ვინც ახმეტელს აქციეთ ზურგი... (ცისფერთვალეას). შენ? შენ ხომ იქ არ იყავ, ჩვენ მიგიღეთ თეატრში -- ახლა იწყებ? (დანარჩენთ გადახედავს) თამარი? არ მოვიდა, მოერიდა... ვერიკო? თეატრიდან წასულია (რეჟისორს.) რატომ წავიდა ვერიკო თეატრიდან? (რეჟისორი თვალს არიდებს.) გამახსენე: ვერიკო რისთვის წავიდა თეატრიდან? (დუმილი.) მითხარი, რატომ დაგვტოვა? (დუმილი. ბუნჩულას.) იქნებ, შენ მითხრა?

**ბუნჩულა** (თითქმის თავისთვის). არ დაგეთანხმათ... არ მოსწონდა ის, რომ... (პაუზა).

**მარჯანიშვილი.** გისმენ.

**ბუნჩულა.** დოდო ანთაძის მთავარ რეჟისორად დანიშვნა არ მოსწონდა.

**მარჯანიშვილი** (რეჟისორს). ასე იყო? (დუმილი.) მაშ, დავიწყით!

**რეჟისორი** (გაუბედავად). არა, ივდითის როლი შეილობილს -- ირინეს დონაურს რატომ მისცაო.

**მარჯანიშვილი.** აჰა, გასაგებია, მხოლოდ მეო, მხოლოდ მე... დავიწყით, პირველ ქვას ვინ დამკრავს? (დუმილი.) გისმენთ, რატომ მიხმეთ?

**ბუნჩულა** (გაუბედავად). ბატონო კოტე, მე მინდა... ამხანაგებმა მე დამავალეს...

**მარჯანიშვილი.** უფრო გაბედულად, ყოჩაღად, თორემ ამხანაგები დაგცინებენ ლულლულებდაო. შენ ხომ მარჯანიშვილის გამოზრდილი მსახიობი ხარ. თუ თვითონ არ გჯერა იმისა, რასაც ლაპარაკობ, სხვას როგორ დააჯერებ!

**ბუნჩულა** (ძალას მოიკრებს). ამხანაგებმა მე დამავალეს მოგახსენოთ, რომ...

თქვენ დიდი რეჟისორი ბრძანდებით, ძალიან დიდი შემოქმედი.

**მარჯანიშვილი.** ეგ ყველაფერი ვიცი, მაგრამ დღეს თქვენგან ნათქვამს სავარძელში უკეთ მოვისმენ (სავარძელში მოკალათდება.) გისმენთ.

**ბუნჩულა.** დიახ, თქვენ დიდი, ძალიან დიდი ხელოვანი ხართ. თქვენ შექმენით ქართული საბჭოთა თეატრი... თქვენ ხართ ჩვენი აღმზრდელი... თქვენგან ვისწავლეთ... თქვენი მეოხებით გავხდით... რომ არა თქვენი გენია...

**მარჯანიშვილი.** ნუ ღელავ, მშვიდად!

**ბუნჩულა.** რომ არა თქვენი გენია, არ იქნებოდა ჩვენი სპექტაკლები, არ იქნებოდა ეს თეატრი (აშკარაა, რომ უჭირს. პაუზის შემდეგ.) არ ვიქნებოდით ჩვენ, როგორც ქართული საბჭოთა თეატრის შემოქმედნი, მაგრამ დღეს თქვენ აღარაფერს აძლევთ თეატრს, აღარაფერს გვაძლევთ ჩვენ – მსახიობებს, ჩვენ კი შრომა გვსურს, ჩვენ გვინდა შევქმნათ ახალი როლები, გვინდა ვმონაწილეობ-დეთ

სამშობლოს წინსვლაში, ქვეყნის, თეატრის მშენებლობაში. დრო გარბის... თქვენ ყოველთვის გიზიდავთ ახალი. ახლა გაგიტაცათ მოსკოვის თეატრებმა, ჩვენ კი ერთ ადგილზე ვდგევართ. თეატრში არაფერი კეთდება, უნდა გადაწყვიტოთ, ბატონო კოტე, თქვენ აღარ გაინტერესებთ ჩვენი თეატრი...

**მარჯანიშვილი უძრავად ზის. ბუნჩულას ამ მონოლოგისას, თითქოს დაპატარავდა, წელში მოიხარა. ამ წუთში თავჩაქინდრული ის ასე ხედავს, აღიქვამს იმას, რაც სცენაზე ხდება: მისი მოწაფეები სავარძელს წრეს უვლიან და სხვადასხვა ინტონაციით შესძახიან:**

- აღარაფერს გვაძლევთ!
- აღარაფერს გვაძლევთ!
- ჩვენი თეატრი აღარ გაინტერესებთ!
- თქვენ მოსკოვი გიზიდავთ!

50.

- აღარ გინდივართ!
- აღარაფერს გვაძლევთ!
- მიგვატოვეთ!
- უპატრონოდ დაგვყარეთ!

**მარჯანიშვილი** (წამოიჭრება, ბუნჩულას ეკვეთება) „დამიბრუნე, ახლავე დამიბრუნე ჩემი ოტელო, დამიბრუნე-მეთქი! (ბუნჩულა თავჩაქინდრული დგას. ყვირის.) დამიბრუნე! (ტრაგიკოსს.) დამიბრუნე, ურიელი ჩემია, დამიბრუნე ჩენჩი, ჩქარა, სწრაფად, ახლავე, ჰამლეტი დამიბრუნე! (კომიკოსს.) მომეცი, დამიბრუნე ყვარყვარე! (რეჟისორს სიმწარეგარეული ალერსით) როგორ მიყვარდი, როგორ გზრდიდი! (კვლავ სავარძელში ჩაეშვება -- დუმილი. ამჯერად უღონოდ, ძალაგამოცლილი.) მე თქვენ მოგეცით ყველაფერი, რისი მოცემაც შემიძლო... გაძლევთ, რაც გამაჩნია... თქვენ უკვე ქართული თეატრის ნაწილი ხართ... უთქვენოდ საქართველოს ისტორია ვერ დაიწერება“ (წამოდგება.) მე ხელოვანებად შეგქმენით თქვენ, შეგქმენით საქართველოსთვის – ჩემი ქვეყნისთვის (დუმილი) ქვეყნისთვის, რომელმაც ამდენი შხამი მასვა, ვინც... (წაბორძიკდება, სავარძელში ჩაეშვება).

**ნინელი.** ვახტანგ ტაბლიაშვილი დასძენს (კითხულობს): „მეტი აღარაფერი თქვა, თუმცა, სათქმელი ბევრი ჰქონდა... ადგა, ჩაფიქრდა და ოთახიდან გავიდა. ეს იყო მარჯანიშვილის უკანასკნელი დღე თავის თეატრში.“

**მაყვალა.** არა, მეორე დღეს მაინც მოვიდა თეატრში, სწორედ იმ ოთახში შევიდა, რომელშიც თავისი მოწაფე ეგულებოდა.

**რეჟისორი** (გასძახის) ვანო, ვანო, ჩქარა, ჩქარა!

**ვანო.** გისმენთ, ბატონო!

**რეჟისორი.** ხედავ, მარჯანიშვილი მოდის! უთხარი, რომ თეატრში არავინ არის. მე მთავრობაში წავედი, უშანგი წევს, შეუძლოდაა-თქო, შალვაც... ერთი სიტყვით, არავინაა თეატრში, მე გავალ, ტრაგიკოსს და ბუნჩულას გავაფრ-თხილებ (გარბის).

**შუქი სცენაზე**

**მარჯანიშვილი** (შემოდის დაბერებული, უილაჯო, ნაბიჯს ძლივს დგამს, ხელში პატარა ჩემოდანი უჭირავს). გამარჯობათ. ვერ გცნობთ.

**ვანო.** ივანე, ბატონო კოტე, ივანე -- ადგილკომის თავმჯდომარე.

**მარჯანიშვილი.** დოდოს დაუძახეთ, აქ მომიყვანეთ.

**ვანო.** არ მოსულა, დარეკა მთავრობაში ვარ, დღეს იქნება ვერ მოვიდეთ.

**მარჯანიშვილი.** შალიკოს დაუძახე, მანდ იქნება.

**ვანო.** ახლახან წავიდა.

**მარჯანიშვილი.** წავიდა? (დაბეჯითებით შესცქერის. პაუზა.) შენ გინდა მითხრა, რომ არც უშანგია თეატრში?

**ვანო.** დიახ, ბატონო კოტე, შეუძლოდაა, წევს.

**მარჯანიშვილი** (ხანგრძლივი დუმილი). რატომ, რატომ არის ასე ჭუჭყიანი სამშობლოს კრიალა ზეცა?

**ვანო.** (იცინის). ჰი, ჰი, ჰი, ბატონო კოტე...

**მარჯანიშვილი** (პატარა ჩემოდანი მუხლებზე უდევს, მხრებჩამოყრილი, მობუზული) სამგზავრო ფული... მასესხეთ ორი ათასი მანეთი... თუ ვიცოცხლე, დაგიბრუნებთ... თუ არ... თუ ვერ დაგიბრუნებთ... ნუ დამზრახავთ... მე ყველაფერი მოგეცით თქვენ.

### დაბნელება

51.

**ტრაგიკოსი.** მე ვგრძნობ თქვენს გაბრაზებას, მეკითხებით, აქვს თუ არა გამართლება, ჩვენს საქციელს? (პაუზა.) ერთმა სახელოვანმა პოეტმა ელვარე გულის მსახიობი მიწოდა. ელვარე გული... რამდენ რამეს იტევს მსახიობის გული... რამდენი ადამიანის გული შეიძლება მოთავსდეს ერთი მსახიობის გულში, რომ ელვარე გახდეს? და როგორი ხდება ეს ელვარე გული მაშინ, როცა მსახიობს უსულო არსებად, თიხად, უბრალო, ჩვეულებრივ თიხად მიიჩნევენ? ასე გამოვიდა... ჩვენი ტანჯვითა და სინარულით აღვსილი ცხოვრება ასეთი გახდა – მოძღვარი თიხისაგან ფიგურებს ზელდა. ფიგურები ყველას მოსწონდა, ყველა ტაშს უკრავდა... აღფრთოვანებულნი იყვნენ... მერე ფიგურები ჯამში ჩაყარა და წავიდა... სხვა ფიგურების შექმნამ ისე გაიტაცა, ისეთი ჟინით, აღმაფრენით ქმნიდა, მივავიწყდით, აღარ ვახსოვდით... ჩვენ კი სიცოცხლე გვწყუროდა, არ გვეწადა მივიწყების ბინადარ ფიგურებად დავრჩენილიყავით. მასთან ერთად შრომა – ახალი როლების შექმნა გვინდოდა.

და გაჩნდა ის, რაც ასეთ შემთხვევაში უსათუოდ ჩნდება— უმაღური მოწაფეებისა და მსხვერპლის ამბავი. კარგად ვიცოდით: მსხვერპლი შეერქმეოდა იმას, ვინც ჩვენ შორის პირველი გაეცლებოდა წუთისოფელს. ის გაეცალა. სინამდვილეში არც ჩვენ ვიყავით უმაღურნი, არც ის იყო მსხვერპლი. ის თავისი გზით მიდიოდა — ახლის შექმნის, შრომის წყურვილს მიჰყავდა ამ გზაზე. ჩვენც ახალი სახეების, როლების დაუოკებელი წყურვილი გვახრჩობდა. წყარო კი მასთან გვეგულეობდა, მასში... იქითაც და აქეთაც შემოქმედის აღუვსებელი სული ბორგავდა. მაშინ ვერ ვგრძნობდით, რომ ყველანი ზვარაკად ვეწირებოდით აი, ამ სცენას, თეატრს... ისიც, ჩვენც — ყოველი ჩვენგანი. ჩვენ ისევე გვაქვს გამართლება, როგორც მოძღვარს ჩვენსას — ყველანი შეწირულნი ვიყავით.

**ვანო.** წავიდა ჩვენი მოძღვარი, მარტო გაუყვა რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალ გზას. მძიმე, ათრეული ნაბიჯებით მიდიოდა, დიდების მზე არ მიაცილებდა, ციოდა. ვაგონში ერთხანს უხმოდ იჯდა, მატარებელი რომ დაიძრა, წამოდგა, ფეხზე მდგარი დაემშვიდობა თბილისს, თითქოს გრძნობდა, რომ ველარასოდეს ველარ ნახავდა საყვარელ ქალაქს — რამდენიმე თვეში ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა მოსკოვში, საიდანაც მოწაფეებს ყოველდღე სწერდა წერილებს, მოწაფეები კი... მოწაფეებს პასუხის გასაცემად არ ეცალათ, თეატრს -- ხელმძღვანელობდნენ.

**ელენე.** კოტეს ცხედარი მოსკოვის მცირე თეატრში დაასვენეს, მერე პატარა ყუთში მოქცეული მისი ფერფლი თბილისს წამოიღეს, მოწაფეებმა გარდაცვლილი მოძღვარი გულით იგლოვეს და დიდი პატივით დაკრძალეს ოპერის თეატრის ბაღში. მოგვიანებით, როცა რეჟისორი ლოლო ანთაძე თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გახდა, ბევრი იმეცადინა და მარჯანიშვილის ნეშტი მთაწმინდაზე გადაასვენეს.

**მარჯანიშვილი.** (სცენის სიღრმიდან მოდის) არა, არა, მე კვლავაც ცოცხალი ვარ, მე ვარ თქვენს სულებში, თქვენს მიერ შექმნილ ყოველ როლში ვარ... თეატრის მიზანი ხომ სულ უბრალოა -- მიანიჭოს ადამიანებს სიხარული, ბედ-ნიერება, სწორედ ამისთვის ვიტანჯებოდი. თუ თავად არ იტანჯე, სხვას ბედ-ნიერს ვერ გახდი. ჩვენი ტანჯვა შობს თქვენს სიხარულს. ამიტომ, გვინთია ერთ თვალში სიხარული, მეორე თვალიდან კი ცრემლი გვდის... ეს ცრემლი შეგახსენებთ, რომ ხართ ადამიანები... ად-ა-მი-ა-ნი. ეს დიდი... ძალიან დიდი ბედნიერებაა. მე ისევე აქ ვარ, ჩემი მოწაფეებიც აქ არიან, ჩემთან ერთად... ყველანი აქ ვართ — თქვენს შორის, თქვენთან ერთად, ჩვენ გიმზერთ თქვენ, ყოველ ცისმარე ღღეს, ყოველ წუთს თქვენთან ერთად ვიცინით და თქვენთან ერთად ვღვრით ცრემლს. ჩვენ აქ ვართ, აქ ვართ -- ამ კედლებში და მარად თქვენთან ვიქნებით.

ფარდა

2007-2008 წ.